



თვანტრი

და

ცხვრებ

4

2009

1910 წლის 14 იანვარს –
ქართული თეატრის დღეს –
გამოვიდა
”თეატრი და ცხოვრების”
პირველი ნომერი.

2010 წლის 14 იანვარს –
ქართული თეატრის დღეს –
ღინიძნება უურხაღ
”თეატრი და ცხოვრების”
100 წლისთავი

თეატრი და ცხოვრება

რედაქტორი

გურამ ბათიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი

ნინო მაჭავარიანი

4

2009

ივლისი

აგვისტო

19101926

„თეატრი და ცხოვრება“

19501990

„თეატრალური მოამბე“

სარჩევი

საკატალოგი

ნანა ბობოხიძე-ჟამი განსაცდელისა	3
მერაბ გეგია-ილუზიები შეგვასხენებენ.....	14
მრგვალი მაგიდის ირგვლივ ოზურგათის თეატრი	18
ჩვენი საყვარელი საბავშვო თეატრი	22
მანანა თევზაძე-თემურ ნინუა	28
გიორგი ჩართლანი - იქნებ, მათ კიდეც შევხვდეთ.....	39
ანა წონორია-ბალიში თუ აულტი?!.....	40
გვანცა გორგაძე-მხატვრული "თვითკმაყოფილება" ქართულ ტელევიზიაში	46
შორენა ყორყოლიანი-ტელერადიო ჟურნალისტიკა.....	50
გამოთხოვება ირინა გოცირიძესთან	
საქართველოს თეატრალური საზოგადოება.....	54
ქეთევან კიკნაძე - ჩემო ირინა!.....	54
რევაზ თავართქილაძე - თაობების მასწავლებელი	55

სპექტაკლები

ნანა ბოზოხიძე

ჟამი

განსაცდელისა...

არსებობს განცდა, რომლის სიტყვით გადმოცემა შეუძლებელია... ასე იყო, როცა კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის საშინელი ომისგან ლტოლვილი დასი თბილისელი მაყურებლის წინაშე წარსდგა...

“დიდოსტატის მარჯვენა”.

სიჩუმე.

მდუმარე გლოვა.

ჩუმი ცრემლი სცენაზეც, დარბაზშიც...

ყველა ტირის და ვერაფერ იღებს ხმას, — ძალიან ძნელია იმ ფოტოებისთვის თვალის გასწორება, უსაშველო ტკივილით რომ ანათებენ დარბაზს...

ერთბაშად ათი სიცოცხლე გაიღო სოხუმის თეატრმა მაშინ, — უზომოდ ბევრი ერთი პატარა ქვეყნისთვის... მით უფრო — ერთი თეატრისთვის...

თითქმის ორი ათეული წლის შემდეგაც ლტოლვილები ჰქვიათ. თუმცა, დროებითი თავშესაფარი დროებით აქვთ ხოლმე, მაგრამ, იშვიათია რეპერტუარით ასე დატვირთული თეატრი. მეტიც, — ის ყოველთვის, სოხუმშიც და აქაც, თბილისშიც, სავსე იყო სათქმელით, სპექტაკლებით...

ასეა დღესაც...

საზოგადოდ, ქართული თეატრი ყოველთვის მოზიარე იყო ერის ჭირვარამისა და მონაწილე მისი ზეობისა თუ მწუხარების. ზოგჯერ, თითქოსდა რაღაც სასწაულით

თეატრის მიერ წინასწარ განჭვრეტილი წინ უსწრებდა ქვეყნის ცხოვრებაში მერე მომხდარსა თუ მომავალში მოსახდენს... ზოგჯერ თეატრი ურთულესი სიტუაციიდან გამოსავალსაც კი კარნახობდა... “თეატრი ბევრს შემთხვევაში მარტო ხელოვნების მსახური არ არის. ადგილი, დრო და გარემოება მას ზოგჯერ სხვა სამსახურსაც კისრად სდებს და ამ მხრით თეატრი დაუფასებელი რამ არის და ჩვენ არ ვიცით სხვა მისებრ უებარი საშუალება, რომელიც ეგრე გამარჯვებულად, სასწრაფოდ და პირდაპირ მოქმედებდეს ადამიანის უკეთესთა გრძნობათა გამოფხიზლებასა და მოძრაობაზედ” (ილია ჭავჭავაძე).

თეატრის ეს უკეთილშობილესი მისია მთელი თავისი სისავსით განსხეულდა სოხუმის თეატრის ბიოგრაფიაში — თეატრსაც ხომ ადამიანივით საკუთარი ბიოგრაფია და ბედი აქვს...

სოხუმის თეატრს ყოველთვის ჰქონდა მაყურებლისთვის საგულისხმო სათქმელი და მაინც — ბოლო წლების სპექტაკლებიდან ორს გამოვარჩევდი, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანს. ამ ორ სპექტაკლს ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი აქვს საერთო, მაგრამ იდეა, თემა, პრობლემები თუ სატიკვარი ისევე აკავშირებს ამ ორ დამოუკიდებელ დადგმას, როგორც მიზეზს — შედეგი, ანდა — პირიქით... თუმცა, დრო მათ საკმაოდ აშორებთ, — “...ზღვა, რომელიც შორია...” 2005 წელს დაიდგა (პრემიერა 24 სექტემბერს, სამეფო უზნის თეატრში შედგა), “ენერში მდგარი თხმელა” კი სულ ახლახანს (პრემიერა — 21, 22 იანვარი, 2009 წელი). პრობლემა, რომელიც თეატრმა “ენერში” წარმოაჩინა, ჩემი ფიქრით იყო მიზეზი, რომლის შედეგმაც “ზღვაში” იჩინა თავი, უფრო სწორად — თეატრმა უაღრესად მგრძობიარე, სათუთი ინტუიციით მიაგნო მიზეზს (“ენერი”) და მთელი სიცხადით წარმოაჩინა ლოგიკური, მაგრამ უაღრესად შემზარავი შედეგი (“ზღვა”)...

მეც, უპირველესად მიზეზზე მოგახსენებთ... 2009 წლის იანვრის თვეში თეატრმა კონსტანტინე გამსახურდიას რომანისა (“დიონისოს ღიმილი”) და ნოველების საფუძველზე განახორციელა სპექტაკლი სახელწოდებით “ენერში მდგარი თხმელა”, რომლის რეჟისურა, ინსცენირება და მუსიკალური

12/39



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფორმება ეკუთვნის რეჟისორ გიორგი თავაძეს.

ამ ბოლო დროს თითქოს გახშირდა პრეცედენტი, როცა თეატრალური ნარმოდგენის სხვადასხვა და სხვადასხვაგვარ კომპონენტთა გაერთიანების, ერთ მთლიანობად ქცევის ავტორად თავად დამდგმელი რეჟისორი გვევლინება, ადრე ეს შედარებით იშვიათი მოვლენა იყო და ერთეულ ხასიათს ატარებდა, რადგან მიიჩნეოდა, რომ მუსიკალურ გაფორმებას კომპოზიტორი უფრო კარგად გაართმევდა თავს, პლასტიკურ თუ ქორეოგრაფიულ მონახაზს—ქორეოგრაფი და ა.შ. და ა.შ. ამ მოსაზრებას გააჩნდა კიდევ მყარი საფუძველი, რადგან თუ ასე არ ხდებოდა, შედეგიც ძირითადად უარყოფითი იყო.

ამჯერად ასე არ მოხდა და მრავალმხრივმა ავტორობამ გაამართლა.

ინსცენირების მცდელობა საკმაოდ დიდი რისკია, რადგან ჩნდება საშიშროება, — ინსცენირების ავტორმა შესაძლოა ისე “გადაამლაშოს”, რომ უნებურად სულ სხვა, ახალი ნაწარმოები შეიქმნას. პირადად ჩემთვის ინსცენირების მცდელობათა შორის განსაკუთრებული და იდეალური შედეგით გამორჩეულია თემურ ჩხეიძის მიერ დამოუკიდებლად თუ თამაზ გოდერძიშვილთან ერთად შექმნილი ინსცენირებები.


რთულია ინსცენირება მაშინაც კი, როცა ამა თუ იმ მწერლის მხოლოდ ერთი ნაწარმოების სცენისთვის მორგება ხდება. და განსაკუთრებით რთულია მაშინ, თუ ინსცენირებაში მწერლის რამდენიმე ნაწარმოები ერთიანდება,... და ეს მწერალი დიდი კონსტანტინე გამსახურდია...

ამ ანბანური ჭეშმარიტების კიდევ ერთხელ გამეორება მხოლოდ იმისთვის დამჭირდა, რომ განსაკუთრებულად აღმენიშნა რეჟისორის დამსახურება. მან შეძლო ზღვა მასალის — ეპიზოდების, აქცენტების, სახეების, ამბების შეკვრა და გამთლიანება. ნარმატივულია ამ უდიდესი მწერლის არაჩვეულებრივი, განსხვავებული, უჩვეულო და რთული სამყაროს სასცენო ნაწარმოებად ქცევის მცდელობა. შეიქმნა სპექტაკლი, სრულიად გარკვეული, გამოკვეთილი სათქმელით, საინტერესო ფორმით და, რაც მთავარია, ტკივილით, რომელსაც დღეს ჩვენ ყველანი ერთად ვატარებთ...

- “ — სად დაიბადა? ”
- “ — საქართველოში? ”
- “ — საქართველოში? ”
- “ — ეს რუსეთის იმპერიის ნაწილია თურმე, არც მე ვიცოდი აქამდე! ”
- კონსტანტინე გამსახურდია (“ევროპა გალიაში”).

დიდი მწერალი ყოველთვის “გახვევს თავს” საკუთარი ნაწარმოების გრძნობათა ბუნებას, განწყობილებას, ფერსაც და სურნელსაც კი. “სმენას ელამუნება ხევებში მიყუყული წისქვილების ამო გრუხუნი ... ალაგ—ალაგ უნაყოფო ეწერი და ძეძვი... ღრუბლების უბეში მთვლემარე ციხეები... ხან თეთრი ეკლესიის ნანგრევები გაიღვებს ბეხრეკა ცაცხვებს შორის გამორიყული, ხანაც აივნიბიანი ოდასახლი, უზარმაზარ მუხებს შორის მდგარი“ (კ.გამსახურდია. კოლხეთი. მწერლის ბლოკნოტიდან).

სპექტაკლის სცენური გარემოს (მხატვარი ანა კალატოზიშვილი) ამგვარი გადანყვება თავიდან ცოტა არ იყოს მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის. სპექტაკლის ნახვამდე ნარმოსახვაში იდუმალებით მოცული მწვანე გაურკვევლობა “თვლემდა”, ცხადში კი, — მოთეთრო ფერის, აქა—იქ გამომშრალი თივით “გაცოცხლებული” გარემო თანდათანობით უფრო და უფრო სახიერი და თავისი ლაკონურობით უაღრესად მეტყველი გახდა.



სცენა სპექტაკლიდან
“ზღვა, რომელიც შორია...”

მკრთალი სითეთრე (სპექტაკლის მსვლელობისას სხვადასხვა ფერის შუქით შეფერილი) სახიერ კონტრასტს ქმნის ამბავთან, რომელსაც რეჟისორი მოგვითხრობს.

სცენის შუაგულში რკინის ხვეული, უცნაური კონსტრუქცია აღმართულა, რომელიც სცენური ეპიზოდის შინაარსის მიხედვით იცვლის მნიშვნელობას. ის ხან აფრააშლილი პატარა ხომალდია, ამ ცოდვილი სამყაროს დაუნდობელ ზვირთებზე აცეკვებული, ხან ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მოხეტიალე მწერლის (მსახ. მერაბ ბრეკაშვილი) შეხვედრის ადგილი სხვადასხვა ეროვნების ადამიანებთან (კაფე, საპატიმროს ჯურღმული, საყვარელი ქალის ოთახი), ხანაც კი, ხეა...

ახლა ორ სიტყვას ვიტყვი ხეზე, რომელსაც ჰქვია ხე სიცოცხლისა, რომლის ფესვიც და კენწეროც ერთ მარადიულ წრებრუნვას ემორჩილება და რომლის ძარღვებშიც მზე დაცურავს, — “ხეებს დიდი და გაუმხელელი სიხარული აქვთ გულში” — კონსტანტინე გამსახურდია ფიჭვზე წერდა ასე...

სცენაზე არ დგას ასეთი ხე...

გაპარტახებული მამულის შუაგულში მდგარი ხის წვეროზე უბედური ქოსა გახუს (მსახ. მერაბ ყოლბაია) საბრალო ნაშიერს, თემრას (მერაბ კორსავა) დაუდევს ბინა... თითქმის მთელი სპექტაკლის მანძილზე ხის კენწეროზე ზურგშექცევით ზის პატარა თემრა და უტყვი მოწმეა ყველაფრის, რაც ამ ცოდვილ მინაზე ხდება...

ამ ხის ძირში შემზარავი ცოდვის, ინცესტის ნაყოფი, გველის მგეშავი ტაგუ სამუგია (მსახ. დიმა ჯაიანი) დროდადრო ასრულებს იდუმალ უძველეს რიტუალს, ისეთსავე ძველს, როგორც თავად სამყაროა...

ბევრი რამ ხდება ამ ხის ქვეშ... თუმცა, ამაზე შემდეგ...

ახლა კი, სცენის სიღრმეში სუფრას მისხდომიან გერმანელი კომერსანტი (მსახ. ნიკა წერეთიანი), ჩერქეზი ხალილ ბეი (მსახ. პაატა ვახტანგიშვილი), ტერორისტი თადა ლანდია (მსახ. სესე მიქავა) და მწერალი (მსახ. მერაბ ბრეკაშვილი), მოშორებით მსხდომი მთვრალი რუსი ოფიცრები (მსახიობები გიორგი გასვიანი და ვახტანგ მოსიძე) ბოშა ქალთან (მსახ. ლონდა კაცია) ერთობიან. საბოლოოდ, როცა ინტერნაციონალური სუფრის ეს შემადგენლობა კიდევ ერთხელ შეეცდება ზერელედ “გარკვევას” იმ გამოცანაში, თუ

ბოლოს და ბოლოს ვინ არიან ეს ქართველები, თუ ვინ ვისი მტერია ან მოკეთე, — დროსტარებას ლოგიკურ წერტილს ისევ ჩერქეზი ხალილ ბეი დაუსვამს — ილღიაში ამოიჩრის გადამთვრალგათავხედებულ რუს ოფიცრებს...

მანამდე კი, სუფრასთან სასაუბრო თემას შეეახსენებთ:

გერმანელი კომერსანტი — “თუ ქართველები აზიელები არ ხართ, გამოდის, ევროპელები ყოფილხართ”.

“მე რომ ქართველი ვიყო, ჩემს ხალხს ვურჩევდი მუდამუამს იმეგობროს რუს ხალხთან.”

თადა ლანდია — “არც კი ვიცი, ვისი ან რისი იმედი უნდა გვქონდეს ჩვენ.”

რუსი ოფიცრები — “ოსტავტე ვაში დიკიე ვოპლი!”

გეცნოთ ალბათ, არა?

ჰოდა, ამ არეულ დროში თუ შენს მინაზე არ დგახარ მყარად, რას უნდა მოელოდე კარგს? ჩვენ კი, როგორც ვდგავართ, ყველამ კარგად ვიცით!..

ტაგუ სამუგია — “კიდევ კარგი, არც ამერიკაში რომ არ ყოფილა ქვეყნის დასასრული...”

... ცეკვითა და ვნებით აღტკინებულ ამერიკელს, ამერიკული ყოვლისშემძლეობის და მისი მომავლის მეხოტბეს, მისის ბლუტს (მს. ჯულიეტა პაკელიანი) ხვდება მწერალი. ამ სცენური გმირის პორტრეტი პლასტიკის, ქორეოგრაფიული მონახაზის საშუალებით “შეითხზა” (ქორეოგრაფები იური ყინაშვილი, კირა მებუკე). ეს მსუბუქი ხასიათის, ცხოვრებისგან გაღალბებული ქალის პორტრეტია, მუდმივად აჟიტირებული, მუდმივად ნდომით შეპყრობილი და ზერელე, სულ ცეკვა-ცეკვით რომ ჩაატარებს მწერალთან სასიყვარულო აქტის სცენას და ასევე ცეკვა-ცეკვით დაიფიცებს ყველაფერს...

სპექტაკლის სტრუქტურა მოგონებისათუ რეალობის ზღვარზე ერთმანეთის მონაცვლე ეპიზოდებზეა აგებული. ეს მწერლის სულსა და გონებაში მფეთქავი სამყაროა, ციებაშეყრილი კაცის ავადმყოფურ ხილვათა კასკადი (უნებლიედ გონებაში ცოცხლდება “დიონისოს ღიმილი”, 52ე ნოველა, ჯოჯოხეთად ჩასვლა კონსტანტინე სავარსამიძისა) და როცა ყოველი მონაკვეთი თანმიმდევრობით ჩაივლის ჩვენს თვალწინ, სათქმელიც გამოიკვეთება — დრო და სამყარო, სადაც

ერთმანეთი არავის უყვარს, განწირულია დასაღუპად... სადაც ღვთიური სიყვარული იკარგება და მხოლოდ ცოდვა, მდაბალი ვნება და ბოროტება ბობოქრობს, — იქ ავსულები იბუდებენ... სადაც წინაპრის ლოცვას წყევლა ცვლის, იქ მომავალი აღარ არსებობს... და თუკი სამყაროს განუყოფელი ნაწილი ხარ ("მზე დედა ჩემი...") და მაინც არსად ხარ, წინაპრის წყევლა გაგანადგურებს მაშინ...

რეჟისორები ყოველთვის აწყდებიან ერთ სირთულეს, — ეს შემაკავშირებელი მონაკვეთების იმდაგვარად დახვეწაა, როცა ერთი ეპიზოდი სრულყოფილად, "შეუმჩნევლად" გადადის მომდევნოში (რა თქმა უნდა, მაშინ თუ სპექტაკლის წყობა ამას მოითხოვს), თუ ეს არ ხერხდება, მთლიანობაც ვერ მიიღწევა. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ორგანული მთლიანობა, რომელიც ამ სტრუქტურულად საკმაოდ რთულ სპექტაკლს გააჩნია.

... უცნაური რამაა დრო. თითქოს მიდის, გარბის და სადღაც, უსასრულობაში მიგვაქანებს, თურმე კი, ისევ იქ გვაბრუნებს, საიდანაც დავიწყეთ... ამჯერად მე 20 საუკუნის ოციან წლებზე მოგახსენებთ, იმ აზნაურზე, კონსტანტინე გამსახურდიამ "ზედმეტი ადამიანი" რომ უწოდა — საზღვარგარეთ

მოხეტიალეზე, ფესვს, ნიადაგს, სამშობლოს მოწყვეტილზე, წარსული და აწმყო ერთმანეთთან ვერასგზით რომ ვერ შეაკავშირა და ამიტომაც შემოაღამდა ცხოვრების ნახევარგზაზე... უფესვოსა და უნაყოფოს მამის წყევლამ რომ უწია... ვერც ქრისტეს რჯული რომ ვერ მიიღო და ვერც წარმართულ წარსულში პოვა შვება...

ეს ყველაფერი იქ ხდება, ლიტერატურულ პირველწყაროში.

აქ კი, სცენაზე, დღევანდელი ქართველი დგას, ესეც ფესვმოწყვეტილი და უნაყოფო... დღესაც, 21ე საუკუნეშიც ვერ გაუგია, ბოლოს და ბოლოს აზიელია თუ ევროპელი, საიდან უნდა ელოდეს თავდასხმას ან დასახმარებლად გამოწვდილ ხელს (?), ვის ან რას მიენდოს...

იქ, იმ უღმერთობის ეპოქაში ასე თუ ისე იმალებოდა, ვინ იყავი, რა გინდოდა, რას ესწრაფოდი — ბნელსა თუ ნათელს... დღეს კი ყველაფერი ისე კარგად ჩანს, როგორც ხელისგულზე — დღეს, ისე, როგორც არასდროს, მომრავლებულან ქვეყანაში უღმერთონი, ურწმუნონი, უსამშობლონი, უწინაპრონი, უფესვონი და ალბათ ამიტომაც — უმომავლონი... რა დაგვემართა, რა! იქნებ სწორედ ამის გამო დაგვკარგეთ აფხაზეთი?!

(და არა მარტო აფხაზეთი...)

... ამბობენ, ამქვეყნად ყოველივე თავის სანყისს უბრუნდებაო... წრე სადღაც ხომ უნდა დაიწყოს, რომ ისევ შეიკრას სადმე?!.. ჰოდა, მეც ვიწყებ, — "მზე დედა ჩემი, მთვარე მამაჩემი"...

კაცისთვის ნადირობა ოდითგანვე თვითდამკვიდრების ერთგვარი რიტუალია, მისი კაცობის საზომი. და თანაც, თურმე "არაფერი ისე არ აახლოვებს ადამიანებს, როგორც ნადირობა" (მწერალი).

სამშობლოში დაბრუნებული მწერალი ტაგუ სამუგიასთან, თავის გამზრდელთან ერთად სანადიროდ გასულა ენერში. ნადირობას მწვევარი ხომ ჭირდება?! ჰოდა, აგერ არაა ქოსა გახუ?! კურდღელზე სანადიროდ საიმედოდ დაუგეშავს ტაგუ სამუგიას... (ბედის მწარე ირონია, — ადამიანი — მწვევარი! თანაც როგორი — აზნაურთა გვარის! და კიდევ უფრო დიდი ირონია — გამოგონილი სიგიჟე!) თოფების ხმა არყევს ენერის სიჩუმეს... ტაგუს მიერ მწვევრად გამოზრდილი, ტყვიას გადავენებული ქოსა ნანადირევს მოარბენინებს. ხტუნვა-სირბილისას



სცენა სპექტაკლიდან „ენერში მღვარი თხაშლა“

ყურებივით მოაფრიალებს უცნაური ქუდის ჩამონელი ნაჭრებს და მართლა მწვეარ ძაღლს ჰგავს...

მწერლის ხილვაში მამაცოცხლდება (მსახ. ნუგზარ წერედიანი), ჩონგურზე უკრავს სევდიან მეგრულ ჰანგს, რომელიც ირგვლივ ყველაფერს ავსებს... ამ სევდიან მოხუცს უცნაური მეტამორფოზა ჩვენს თვალწინ დარდისგან შეშლილ კაცად აქცევს.

შემზარავია ის დრამატიზმი, რომლითაც მსახიობი წყევლის თითოეულ სიტყვას წარმოთქვამს: “თუ ჩემი გზა დაივინყო და ტაგუ სამუგიას უკულმართ გზებს მისდით, ყოველი ქალი, რომელსაც შენ გაეკარები, ისე უნაყოფო ჰქნას წმინდა გიორგიმ და მაცხოვარმა, როგორც ენერის ჭაობში მდგარი თხმელა”... თეთრი, მქრქალი შუქი ედება მოხუცის სახეს და მომაკვდავი მამის ღიად დარჩენილ თვალებში სანთლის ალივით მკრთალად კიაფობს სიცოცხლე...

მისის ბლუტის, ამ ზედმეტად “ხორციელი” ქალის სრული ანტიპოდია ფროილიან არიშინი (მსახ. ნანა ხურითი), წვიმის ქალი წვიმის ქვეყნიდან (“გადამიყოლებს მე ეს წვიმები”), მძიმე წარსულით, გაურკვეველი მომავლით, ფერმკრთალი, ფრესკული სახით, უზარმაზარი, ფართოდ გახეილი შავი თვალებით... თითქოს ამაყად შემართული, მაგრამ მონყვეტილი ფოთოლივით ათროლებული, შიშნარევი და ტკივილიანი მზერით—სევდით დაღდასმული, სუსტად მფეთქავი, მინავლებული ძარღვი—შორეთში გადახვენილი... ნანა ხურითის არიშინი თითქოს მართლაც სულია მხოლოდ, მშვენიერი, ოცნების ქალი, რომელსაც რაიმე ქვენა გრძნობას ვერც კი შეკადრებ, ის თითქოს მხოლოდ სულს უნდა უყვარდეს...

არიშინი — “სწორედ მაშინ გადაიკარგეთ, როცა მივხვდი, რომ თქვენი ნაყოფი მყავდა მუცელში... მე ალბათ აღარასდროს მიყოლება შვილი...”

მწერალი — “ამიხდა, ამიხდა მამის წყევლა, მაინც ამიხდა!”

სპექტაკლში განსაკუთრებულად იკვეთება სამი პერსონაჟი, სამი კაცი — მწერალი, ტაგუ სამუგია და ქოსა გახუ.

რწევით მოარული, თავზე უცნაური ქუდით (მწვერის ყურებს რომ წააგავს), რალაცნაირი, მოყანყალე ხმით, მუდმივად დაჭიმული, გასაქცევად შემართულია მერაბ ყოლბაიას ქოსა გახუ.

ხვარამხეს, უღვაშიანი ქალკაცას (მს. გვანცა გიორგობიანი) თქმით — “ლენჩი, სულელი ბატონიშვილი” ამ კაცთაგან ერთადერთია, ვისაც პირმშო ყავს, რომლის ბრბოსაგან დასაცავადაც მოიგიჟიანა თავი...

ტალღებზე მოქანავე ხომალდს ხმელი ფოთლებივით მოწყდა თეთრი იალქნები და შეკივლებამ ამცნო ქვეყანას თემრას სიკვდილი... “ხესა” თუ “ხომალდს” ზურგით აკვრია დარდით მოცეცილი, სახეშეცვლილი, მაგრამ უკვე მშვიდი ქოსა გახუ და ეს სიმშვიდე კიდევ უფრო ამძაფრებს შვილის სიკვდილით განადგურებული კაცის ტკივილს. ახლა მას სულელის, ლენჩის გამოგონილი ნიღბის მორგება უკვე აღარაფერში ჭირდება. შემზარავ საიდუმლოსაც გაამხელს — ტაგუ სამუგია ღვიძლი ძმაო ჩემი, მანუჩარ ბატონიშვილისა და მისი დის, ხათუნას შვილი, — საზარელი ცოდვის, ინცესტის ნაყოფი... (ჯაჭვივით ებმება კაცთა ცოდვა ერთმანეთს — აი, თურმე რატომ ეჯავრებოდა მწერლის მამას ტაგუ სამუგია!)

“ტაგუ — ქალი კაცს დაემსგავსება და კაცი ქალს. სულელი ბრძენი ეგონება ყველას, ბრძენი თავს მოისულელებს... ადამიანს ღმერთი დაავიწყდება და ღმერთი დაივიწყებს ადამიანს”...

(იქნებ ამიტომ დავკარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო?... იქნებ ამიტომ დაიღვარა ამდენი უცოდველი სისხლი... იქნებ ამიტომ ვეღარ ვაგნებთ გზას...)

არაჩვეულებრივად სახიერია დიმა ჯაიანის სცენური გმირი — თითქოს ფეხის წვერებზე დადის... ფრთხილი და მუდმივად ჩასაფრებული თვალსაც იშვიათად უსწორებს ვინმეს... ეჭვიანი, უნდო გამოხედვით მსჭვალავს მოსაუბრეს და განვრთნილი ხელებით მაგიური შელოცვის რიტუალებს ასრულებს. ის მუდმივად თან “სდევს” მწერალს, მუდმივად მის ფიქრსა თუ ქვეცნობიერში სახლობს, ისევე, როგორც მოხუცი მამის მარადიული წყევლა (მწერალი — “რატომ მასწავლე, ტაგუ სამუგია, ბავშვობაში უბელო ცხენზე ჯდომა!), ქოსა გახუს მსგავსად ტაგუც სულ ზამბარასავითაა დაჭიმული.

კ.გამსახურდია წერდა: ქართულ ეკლესიას “ძალა არ ეყო ქრისტიანობამდის არსებული რელიგიების ფესვები ამოეთხარა ქართული სინამდვილიდან”... ტაგუ სამუგიას სცენური სახე წარმართული რელიგიის ყველა იმ ნიშანს ატარებს, რომელიც უნდა



ჰქონდეს უკუღმართი რწმენით დაღდასმულ კაცს. სპექტაკლისეული ტაგუ სამუგიას მხატვრული სახე "ქოსა გახუსა" და "დიონისოს ღიმილის" ტაია შელიას ლიტერატურული პერსონაჟების მიხედვით შეიქმნა, და ახალი შტრიხებითაც შეივსო — ის ხვარამხეს იღუმალი სატრფოცაა (ნოველიდან "ტაბუ"), შემზარავი არსება, რომელთან თანაცხოვრებამაც შვა ხვარამხეს პირმშო — წყეული მორიელი...

ეს ყოველივე საკმაოდოზით შეიცავს ერთგვარ მაცდუნებელ ხიბლს მსახიობისათვის — შესაძლებელია ცდუნებამ გძლიოს და გამომსახველობითი საშუალებები ისე გაამძაფრო, სადმე გადაამეტო კიდეც. ამ შემთხვევაში ასე არ მოხდა — მსახიობმა უაღრესად ზომიერი, გააზრებული სიტყვით, მიმიკით, უესტით — ზუსტად გამოძერწა ეს საკმაოდ რთული მხატვრული სახე. ამიტომაც გახდა ამგვარი "სიძუნე" კიდეე უფრო მეტყველი, კიდეე უფრო შთამბეჭდავი.

ტაგუსა და გახუსგან განსხვავებით სულაც არ არის მოჭიმული სიმივით დაძაბული მერაბ ბრეკაშვილის გმირი. პირიქით, — მოშვებულა, ხეტიალით გადაღლილი, გრძნობებისგან დაცლილი. მართლაც ისაა, ვისაც "ცხოვრების ნახევარგზაზე შემოაღამდა", — უსაყრდენო, ჰაერში გამოკიდებული კაცი. თუმცა კი, მის გაღიზიანებულ, ცინიკურ მზერაში, უფრო სწორად, სადღაც, სულის სიღრმეში მიმალულა ის ნაპერწკალი, საზარელ ცეცხლს ციებცხელებად რომ შეუნთებს ჯვარცმის უარყოფელს... ("ჩვენ გეძახოდით, შველას გთხოვდით, თქვენი პაპები და მეფეები კი ფარისევლურ ეპისტოლეებით გვაჯილდოვებდნენ").

ახლა ის არც ქრისტიანია და არც წარმართი... ის ავად არის... შიშით შეპყრობილი მოუხმობს ტაგუს: "მეშინია, ძალიან მეშინია... შენი და საკუთარი თავის... სისხლის მეშინია, ჩემი და შენი შავბნელი სისხლის!"

ეს სცენა არაჩვეულებრივად მეტყველი, სახიერი მეტაფორით გამოირჩევა — სახეშეშლილ, არეულ მწერალს ხელთ ისე უპყრია ჯვარი, თითქოს წვაესო... მისი კრუნჩხვამორეული სხეულის მოთოკვას ამაოდ ცდილობს ამ სურათის ხილვით შეძრული ტაგუ სამუგია... რალაც ნამებში მწერლის სახეზე მასხარას მზერა გაკრთება — თითქოს კი არ იტანჯება, თამაშობსო ამას ყველაფერს... ეს ორსახოვნება კიდეე უფრო შემზარავია... და

როცა კაცი ძალაგამოცლილი განერთხმება ძირს, გჯერა მისი კვნესით აღმომხდარი სიტყვების — ჭეჭეთობა ღამეს გული ამომაცალესო ჭინკებმა და ქაჯებმა...

ერთხელ უშველა "ხეზე" შემოხვეულმა, ტაგუს შელოცვილმა პერანგმა თემრას... მეორედ ვერა.

ამ სცენაში თავს იყრის მთელი სპექტაკლის სიმივით დაჭიმული, მზარდი დინამიკა, და როცა თოფით ხელში "მოცეკვავე", როკვით შეპყრობილი მწერალი ქაჯთა ენაზე ამეტყველდება, — შემზარავი ხმა გაკვეთს სივრცეს (თეთრი აფრები მოწყვეტილი ფოთლებივით დაეშვებიან მიწაზე) — თემრა ჩამოვარდაო ხიდან, შტო ჩამოუტყდაო მსხალზე გასულს, — ვერ გაიხარა ფესვს მოწყვეტილმა, სუსტმა ნაშიერმა უსიყვარულო დროსა და სივრცეში...

მუსიკალური გაფორმება არაჩვეულებრივად ესადაგება და ამთლიანებს სპექტაკლს. მუსიკალური აქცენტები ზედმიწევნით ზუსტადაა მორგებული, იქნება ეს დოლის რიტმი (რიტუალის იღუმალეებას რომ ამძაფრებს), თუ საფორტეპიანო პიესა (სცენები არიშიანთან), ჩიტების ჟღურტული თუ "აკა სირე ქიშო", — მამის მიერ ჩონგურზე აჟღერებული სევდიანი მელოდია... უცნაური, კივილის მსგავსი, იხვების გადაფრენა თუ ტყის იღუმალი ხმები ("ოჰ, კარგად მესმის მე მშობლიური მელანქოლია ამ ქვემძრომების ქორალურ მოთქმაში" — კ. გამასახურდია, კოლხეთი. მწერლის ბლოკნოტიდან.)

"მწერალი — ღმერთო, ეგებ შენ მასწავლო გზა, როგორ გავიდე ამ უღრანი ტყიდან... ეგებ შენ გვასწავლო გზა ამ სამ, უნაყოფო მამაკაცს.

ის მაინც მასწავლე, გამოუთქმელი როგორ გამოვთქვა..."

იქნებ საშველი იქაა, სადაც ოდესღაც დაიწყო წრე...

"მზე დედაა ჩემი, მთვარე მამაჩემი, მოციმიციმე ვარსკვლავები და და ძმია ჩემი..."

ქართველისთვის, მისი თვითაღქმისათვის, დამახასიათებელია ყოვლისმომცველი, თანაც შეუვალი შეგრძნება სამყაროსთან შერწყმის, მასთან ურთიერთობის. თუ არა ასე, აბა სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას ეს "ამბიციური" გამონათქვამი — "მზე დედააო ჩემი"...

ალბათ, მხოლოდ ქართველს შეუძლია სასურველი იმგვარად მოგანოდოს, რომ მის უტყუარობაში დაგაჯეროს...

ეს ისე ხუმრობით...

თუმცა, ჩვენგან განსხვავებით ის, ვინც პირველმა თქვა მზე დედაო ჩემი, — გაცილებით სუფთა, მართალი, გაურყენელი და მიამიტი იყო ალბათ, ამიტომაც იყო გარესამყაროსთან აბსოლუტურ ერთიანობაში, სრულ ჰარმონიაში.

ერთი კია, —თუ მართლაც ასეთი მაგრები ვიყავით, რატომ გვეშლება ასე გამუდმებით ბევრზე ბევრი რამ?! მუდამ უფსკრულის პირას სიარულს რა გვაიძულებს?! მრავალ გამოცდათა შორის მრავალში რატომ ვიჭრებით მუდამ...

ალბათ, მაგიტომაც ვისჯებით!...

ამბობენ, ცხოვრება მოულოდნელობებითააო სავსე. თითქოს მართლაც ასეა, მაგრამ თუ ფიქრს ძალიან, ძალიან ჩაულრმავდები, წარსულს გახედავ და მოვლენებს, ფაქტებს ქრონოლოგიურად დაალაგებ, თანმიმდევრობას ლოგიკას მოარგებ და კიდევ ერთხელ დაფიქრდები — მთელი სიცხადით დაინახავ აპოკალიფსის ტოლფას სიმართლეს, რომელსაც ჯერ კიდევ ორი

ათეული წლის წინ შევეჯახეთ — ომს თავად ქართველებს დაგანყებინებთ. ქართველების წინააღმდეგ ომი აფხაზ მცირე ერს აღიარებას მოუტანს, აღიარება კი დამოუკიდებლობასო — ამბობენ, ეს სიტყვები ვლადისლავ არძინბამ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე ქართველ დეპუტატებს მიაძახაო...

და დაიწყო კომმარი... სადღაც გაქრა ძმობა, მართალი სიტყვა და ურთიერთნდობა და ის სიყვარული, რომელიც ამ ორ ერს აკავშირებდა...

ახლა ის, — მესამე, ვისაც ამ საქმეში ლომის წვლილი მიუძღვის... ჩუმად დაგვცინის და ჩვენს უბედურებაზე აშენებს ახალ ქვეყანას. მაგრამ ჩვენ თვითონ რა დაგვემართა? რატომ დავუშვით ის, რაც მოხდა?...

დიდმა გერმანელმა დრამატურგმა ბერტოლდ ბრეჰტმა მე20 საუკუნეს “სისხლიანი აურზაურის“ საუკუნე უწოდა... იყო იმედი, რომ 21ე საუკუნეში აუცილებლად შეიცვლებოდა რაღაც... მაგრამ ასე არ მოხდა... მაინც შევეცდები მის რჩევას მივდიო — “ჩვენი სისხლიანი აურზაურის, დაკანონებული უკანონობის, დაგვემილი ქაოსისა და არაადამიანური ჰუმანურობის საუკუნეში, თუკი კვლავ და კვლავ რაღაც განმეორდება,



სტენა სპექტაკლიდან „ენერჟი მღვარი თხემლა“

ღვთის გულისათვის, არ იფიქრო, რომ ეს ბუნებრივია. ეს ხომ სამყაროს უცვლელობის აღიარება იქნებოდა...”

გურამ ოდიშარიას პიესის სიუჟეტი აბსოლუტურად თავისუფალია ზედმეტი, ხელოვნურად გამძაფრებული აქცენტებისგან, სტრუქტურა კი დიალოგების მონაცვლეობაზე აიგო. ამბავი უბრალოდ ითქმის — ბავშვობის მეგობრები, — ქართველი (ზურაბი) და აფხაზი (ასტამური) სოხუმში ხვდებიან ერთმანეთს. მშობლიურ ქალაქში ზურაბს ახლა მხოლოდ სიცოცხლის რისკის ფასად შეუძლია ჩასვლა... ამ ამბის მიღმა, დიალოგებში კი ფრაზებსა და სიტყვებს შორის იკითხება ორი ერის უდიდესი ტრაგედია — ომმა და ორივე მხარეს დაღვრილმა სისხლმა დაანგრია ადამიანთა ფსიქიკაც, დაანგრია შერეული ოჯახები... ეჭვად და უნდობლობად აქცია ყველაზე სათუთი, სანუკვარი, შეურყვნელი და წმინდა... ახლა ბავშვობის მეგობრებს მხოლოდ საყვედურები აკავშირებთ ერთმანეთთან...

გურამ ოდიშარია სოხუმელია და მისთვის უაღრესად სისხლბორცეულია ყოველი სიტყვა, რომელსაც პიესის გმირები წარმოთქვამენ, ნათქვამი თუ უთქმელი განცდა, ყველა პრობლემა, რომელთა მიზეზსაც ძველი მეგობრები ერთმანეთისთვის ნათქვამ სიტყვებსა თუ მზერაში ეძებენ...

ჩვენ, მგონი ბოლომდე ვერც შევაფასეთ და ვერც დავაფასეთ ბატონი გურამის დამსახურება — ის განსაკუთრებული მაღლობაც ვერ ვუთხარით, რომელიც ჩვენგან ეკუთვნის ამ არაჩვეულებრივ მწერალს...

გმადლობთ, ბატონო გურამ, იმისათვის, რომ თვალნათლივ დაგვანახეთ გზა, რომელიც ყველაზე მართალი და ნაღდი იყო... და დღესაც... მიუხედავად ყველაფრისა, ერთადერთ გზად რჩება... მეტიც, — შეიძლება ითქვას, რომ ის პროგრამაა, ჩატეხილი ხიდის აღსადგენი...

სპექტაკლი “...ზღვა, რომელიც შორია”... გამორჩეულია არა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი თეატრალური ხელოვნების დიდოსტატმა, ბატონმა თემურ ჩხეიძემ დადგა, — პრემიერიდან ოთხი წელი გავიდა და შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართულ თეატრალურ სივრცეში ოთხი წლის მანძილზე არ განხორციელებულა დადგმა, რომელიც ასეთი სისავსით, ასე ყოვლისმომცველად წარმოაჩენდა ქვეყნის უპირველეს სატიკვარს...

გამგები გაიგებს და დამნახავი დაინახავს...

ავს...

მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ისე ხდებოდა და ხდება, რომ ქვეყნის გარეთ — მტერი, მოკეთე თუ უბრალო გულშემატიკვარი უფრო მეტად აფასებდა და აფასებს ამ სპექტაკლს, როგორც მოვლენას (და არა მხოლოდ მის ღირსებებს).

სპექტაკლში კიდევ ერთხელ გამოიკვეთა რეჟისორის განსაკუთრებული, უაღრესად რაფინირებული, დახვეწილი ხელწერა, რომელიც ერთდროულად ადამიანის ფსიქიკის, მისი სულის უშორეს სიღრმეებსაც სწვდება, ეძიებს მისი აღმაფრენისა თუ დაცემის მიზეზებს და განაჩენივით მკაცრ და ერთადერთ შედეგსაც გვიჩვენებს... სპექტაკლის მსვლელობისას ერთი ნამითაც კი ვერ მოადუნებ ყურადღებას...

ზღვისპირა კაფე... მხილოდ ტალღების ხმა არღვევს უცნაურ სიჩუმეს... შენობის “სიმარტოვეს” ვერ ნიღბავს სცენის ორივე მხარეს ამავალ ფართო კიბეებთან ჩირაღდნებივით ანთებული ლამპიონები... სულ ეს არის... (მხატვარი შმაგი სავანელი)... თუმცა, არა — არის კიდევ ერთი “პატარა დეტალი” — სცენის შუაგულში მიწაა, კენჭებით სავსე — და როცა მას ეხებიან, ხმას თითქოს თან მოყვება მლაშე სურნელი... ასე ნაცნობი, სასურველი, მშობლიური სურნელი ზღვის, რომელიც დღეს ასე შორია...

პიესაში ხუთი პერსონაჟია, — ოთხი მამაკაცი და ერთი ქალი, ბავშვობის მეგობრები, ახლობლები, თანშეზრდილები... მათ საერთო წარსული და უზომოდ ძვირფასი მოგონებები აერთიანებთ, მაგრამ ასეთივე უზომო და უსაშველო ტკივილი, — დღევანდელი რეალობა ამორებთ... ეს უკიდევანო ტკივილი მთელი სპექტაკლის მანძილზე დადის მათ შორის, როგორც კიდევ ერთი პერსონაჟი, — ის ხან კედელთან მივდებულები, დამსხვრეული ველოსიპედი ა წყლის, ხან ზღვის ტალღების ნაცნობი და საყვარელი ხმა, ხან სიმღერაა — ომხიანი ქართული მხედრული, ხანაც აფხაზური “ვარაიდა”... საიდას თვალები, ...ზურაბის მთრთოლვარე ხმა... ქვებზე ფრთხილად მთარული ქართველის ფხვქვეშ ახმაურებული კენჭების ჩხრიალი (“გამარჯობად” რომ ჩაესმის ზურაბს)... და ასტამურის პირქუშ მზერაში გამკრთალი უზომო სიყვარულის ნაპერწკალი...

სპექტაკლის ენა რუსულია და ამან კიდევ უფრო გამძაფრა დღევანდელი ვითარების

რეალური განცდა... ასე უფრო ნამდვილია, ნალდი... აკი ასტამური (მს. მერაბ ბრეკაშვილი) ეუბნება კიდევ ზურაბს (მს. დიმა ჯაიანი) — გეტყვიორ სიტყვას ქართულად, შენ აფხაზურად გამცემო პასუხს?

სცენიდან არაჩვეულებრივად მართალი სიტყვა მოდის... უფრო სწორად, — კი არ მოდის, ზღვასავით მოედინება და ამოსუნთქვის საშუალებას არ გაძლევს... საათნახევრის მანძილზე გგონია, რომ სულსა და გონებაში ნემსებივით გიყრიან ყველა შეკითხვას, ყველა სიტყვას და ... ყველა პასუხს... საბოლოოდ, უზარმაზარ შიშთან რჩები — ნუთუ გვიანია? ნუთუ მართლა დაკარგულია ყველაფერი?... ნუთუ სიძულვილმა სამუდამოდ წააღწია და წაიღო იმედი...

სამეფო უზნის სცენისა და დარბაზის ერთგვარმა მეტამორფოზამ, ფუნქციების გაცვლამ (სცენა მაყურებელთა დარბაზში გადავიდა) არაჩვეულებრივად “მოირგო” სპექტაკლი...

მეხსიერებაში ჩარჩენილი, სოხუმის სანაპიროზე მდგარი კაფე უკაცრიელია... ზამთარია... ამალამ ძველით ახალი წელი გათენდება — (ომის შემდეგ თორმეტი წელი გავიდა)... თოვლიც მოვა და ზღვის კენჭებზე ერთმანეთის გვერდივერდ მჯდომი ორი ძველი მეგობრის თვალებს რაღაცნაირი, უცნაური სითბოთი გაათბობს...

“ზურაბი — შეხედე, როგორ გადათეთრდა ყველაფერი...

ასტამური — ზღვის გარდა...

ზურაბი — მე ეს წვიმები მომენატრა... ამ წვიმების ქვეშ გავიზარდე”...

მუსიკალური თანხლება (მუს. გაფორმება ია საკანდელიძისა) — ქართული მხედრული, აფხაზური “ვარაიდა”, შიგადაშიგ თითქოსდა უდროო დროს ჩართული მუსიკალური აქცენტი — უცხო სიმღერა — ამძაფრებს სპექტაკლის უწყვეტ, დაჭიმულ დინამიკას და იმდენად ორგანულია, ხშირად ვერც კი ამჩნევ, როდის ჩნდება ან ქრება... გგონია, სულ გესმის კენჭების ხმაც და ტალღების ხმაურიც... და ეს ხმოვანმუსიკალური ფონი “გაიძულვებს” მუდმივად ემოციურ ტალღაზე იყო...

თორმეტი წლის შემდეგ სოხუმში ჩასულ ზურაბს ძველი ახლობლები ხვდებიან, რომა (მს. მერაბ ყოლბაია) და გივი (მს. ნუგზარ ჩიქოვანი).

პიესაზე ექსკლუზივის უფლება არავის

აქვს. ის შეიძლება ნებისმიერ თეატრში, ნებისმიერმა მსახიობებმა ითამაშონ. შეიძლება არც მქონდეს იმის თქმის უფლება, რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ვერც ერთ სხვა თეატრში ვერ იქნებოდა ვერც ასეთი გივი, და ვერც ასეთი რომა (ალარაფერს ვამბობ საიდაზე, ზურაბსა და ასტამურზე), ეს ისე ნახევრად ხუმრობით... სრულიად სერიოზულად კი ვიტყვოდი, რომ ნუგზარ ჩიქოვანმა და მერაბ ყოლბაიამ არაჩვეულებრივი სახეები შექმნეს (ასევე სერიოზულად იმასაც ვიტყვი, რომ ალბათ სოხუმის თეატრის მიერ განხორციელებული გურამ ოდიშარის პიესის თემურ ჩხეიძისეული დადგმა, ჩემი ფიქრით, ერთადერთია და განუმეორებელი).

გივი და რომა თავიდან სიფრთხილით, უნდოდ “ზვერავენ” ზურაბს, თითქოს ის გაუცხოებულია მათთვის... მერე, თანდათანობით, როცა მოგონებებით “გათბებიან”, ქვიშაზე მჯდარ, დარდით სახეშეცვლილ და მოლოდინში დაძაბულ ზურაბს აქეთიქიდან მოუსხდებიან... სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილები... და მათ სახეებს სევდიანი ღიმილი გაანათებს...

საიდა პირველი ხვდება სოხუმში ჩამოპარულ ზურაბს... საიდა... შავით მოსილი, მშვენიერი აფხაზი ქალი... საშინელი ტვირთით, ქვრივის ტკივილით დამძიმებული და მაინც, უზარმაზარი სიყვარულით სავსე (საიდა — “შენი წიგნი წავიკითხე... როგორ იყინებოდნენ ქართველები მთებზე გადასვლისას... ვტიროდი... მეუბნებოდნენ, ქართველებმა ქმარი მოგიკლეს, შენ კი, გეცოდებო...”) მძიმე ნაბიჯით დადის, ოდნავ მოხრილი... თითქოს ყველა იმ ქალის უზარმაზარ ტკივილს დაატარებს, ვინც ომი გამოიარა, ვინც ომში ახლობელი, საყვარელი ადამიანი დაკარგა... მის მზერაში სიყვარულთან და წარსულის მოგონებებით გაცოცხლებულ გრძნობებთან ერთად სიფრთხილაც მოჩანს — როგორ შეხვდებიან ერთმანეთს ასტამური და ზურაბი... რა მოხდება, თუ ზურაბს მოაგნეს?... და კიდევ — ერიკა, მისი უფროსი შვილი, მესაზღვრეა... გალში დგას, საზღვარზე... ისე საუბრობს, თითქოს უცრემლო ტირილს აგრძელებს... ნერვული მოძრაობით აწყობს სუფრას და როცა დროდადრო სცენიდან გადის, მაინც იგრძნობა მისი იქ ყოფნა — თითქოს მაინც იქაა და ძველი მეგობრების შეხვედრას მფარველი ანგელოზივით

დარაჯობს... სცენაზე შლეიფივით რჩება მისი ტკივილი... (საიდა — “ზოგჯერ მგონია, რომ ომის დროს დავიბადე, დავბერდი და მოვკვდი კიდეც”...)

ბავშვივით “გაბუტულ” ზურაბს (რომელიც რამდენჯერმე წამოავლებს ზურგჩანთას ხელს და წასვლას აპირებს, რადგან სულ სხვაგვარ შეხვედრას ელოდა) კიდევ ერთხელ მოაბრუნებს საიდა და კიდევ ერთ უზარმაზარ, საიდუმლო სატკივარს გაანდობს — “ნამდვილად ვიცი, რომ ანზორის საფლავში სხვა ნევს და ის სხვა — ქართველია... იქნებ ის არის, ვისმა ტყვიამაც ანზორი მოკლა, ან ის, ვინც თვითონ ანზორმა მოკლა — ასეა, ერთმანეთის საფლავებში ვწვებით ზოგჯერ, როცა ცოცხლები ადგილს არ ვუტოვებთ ერთმანეთს... ალბათ, ამიტომაც გვსჯის ღმერთი...”

არც ერთი ზედმეტი ჟესტი, ცარიელი სიტყვა თუ მზერა... მსახიობი საოცარი სისადავით, ძუნწი შტრიხებით ახერხებს ტრაგიკული ბედის, ცხოვრების, ტანჯვის, ტკივილის, განცდის გადმოცემას.

საიდა ლილი ხურითის მიერ განსახიერებულ როლებს შორის ერთერთი საუკეთესოა და უთუოდ დამსახურებული იყო ჯილდოც, რომელიც მან ამ როლისათვის მიიღო — ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემია.

სპექტაკლში შედგა ორი მსახიობის არაჩვეულებრივი ტანდემი — დიმა ჯაიანისა და მერაბ ბრეკაშვილის დუეტი. ასტამურისა და ზურაბის ყოველი სცენა — დიალოგი სავსე და დატვირთულია ემოციით, ღია თუ დაფარული განცდით, დიდი ხნის უნახავი ორი მეგობრის ტკივილიანი შეხვედრის უხერხულობითა თუ მონატრებით... და კიდეც, — იმიტაც, რამაც ისინი ერთმანეთს დააშორა...

“ასტამური — შენ საზღვარი დაარღვიე... ზურაბი — მამის საფლავზე ვიყავი. რა, იქ დამაპატიმრებდნენ?”

ასტამური — აპირებდნენ და მე არ ვქენი...”

და კიდეც: “ასტამური — თუ ძმები ვიყავით, რატომ ვერ გადაგვარჩინა ერთმა სისხლმა?... ისე აიღეთ სოხუმი, თითქოს ბერლინი იყო...”

ზურაბი — თქვენ?! უიარაღო მოხუცებს რას ერჩოდით, ბიჭო! საიდან ასეთი სიძულვილი!..”

და კიდეც: “ასტამური — მე გამარჯვებუ-

ლი ვარ! უბედური, მაგრამ გამარჯვებული ზურაბი — ფრთხილად, ასტამურ! რამდენიმე წლის შემდეგ შენ აქ აფხაზურ სიტყვას ველარ გაიგონებ...”

ორივე მხარეს არის სიმართლე... ორივე თავისებურად მართალია, მაგრამ ასევე ორივე მხარეს არსებობს შეცდომებიც, რადგან ვერ შეძლეს სხვაგან დაწერილ “სცენარს ამ კოშმარისას” არ დაეწვია ხიდი მათ შორის...

დიმა ჯაიანის ზურაბი თითქოს უფრო გახსნილია, მის უზომო მონატრებას ასტამურის ჯიუტი თავშეკავება ხვდება, რითაც თავს იცავსო თითქოს (ასტამური — “ მეც მენატრება ჩემი ნაწილი, მაგრამ მეც სხვა ვარ უკვე... ომმა მოკლა სოხუმი... სისხლში ჩაძირა... არარსებულს ვერ დაიბრუნებ... არასოდეს გაპატიებ ამ ომს...”) და როცა ასტამური წარმოთქვამს, არასოდეს გაპატიებო ამ ომს, ქვეტექსტი თითქოს ასეც უღერს — არასოდეს გაპატიებ იმას, რომ შენის გამოისობით დაგკარგეო...

მსახიობები დიდი სიმართლით, უაღრესად ფაქიზი ნიუანსებით, ზუსტად მიგნებული ფსიქოლოგიური აქცენტებით წარმართავენ ურთულეს დიალოგებს, — ყველა სვლა სწორია და ერთადერთი... და ზომიერებაც, ე.წ. “ოქროს კვეთის” შეგრძნება, არ ღალატობს არც ერთ მათგანს.

ამ როლების განსახიერებისთვის დიმა ჯაიანსა და მერაბ ბრეკაშვილს კოტე მარჯანიშვილის პრემია მიენიჭათ.

ბატონი დიმა ჯაიანი ერთერთ ინტერვიუში აღნიშნავდა, რომ სპექტაკლი დროთა განმავლობაში უფრო და უფრო დაიხვენა, და რომ ასე ფიქრობდა ბატონი თემურიც. სპექტაკლი მართლაც იხვენება, კიდეც უფრო იმუხტება, სათქმელიც მძაფრდება (ეს ხომ ყოველთვის და მხოლოდ ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოების თანამდევნი ნიშანია)... 2008 წლის აგვისტოს ომამდე, — მსახიობები სცენაზე იმედით ცხოვრობდნენ და როლებსაც ამ იმედით დატვირთულები განასახიერებდნენ... და ნაიშალა ზღვარი მსახიობებსა და პერსონაჟებს შორის — ასე ხდება, როცა თავად ხარ ტკივილი, რომელსაც განასახიერებ...

ასტამურს მობილურზე რაღაც ამბავს ატყობინებენ, ის სასწრაფოდ მიდის და გვიც მას მიყვება... შემფოთებული რომა ცდილობს სიმშვიდე შეინარჩუნოს... ასტამური

ისე ბრუნდება, თითქოს არაფერი მომხდარა და მერე ჩუმად გაუმხელს ზურაბს — საზღვარზე, სროლის დროს საიდას შვილი, ერიკა დაჭრეს... საიდამ არაფერი იცისო (ასტამური — “ომი ისევ გრძელდება”...)...

ზურაბი საჩქაროდ უნდა დაემშვიდობოს ახლობლებს, მშობლიურ ქალაქს... მაგრამ ჯერ ზღვასთან უნდა დაანთოს სანთელი (სანთელი უნდა დაანთოსო, სანთელი! — როგორც ჭირვეულ ბავშვზე, ისე ამბობს ასტამური ზურაბზე...)...

ზურაბი კენჭებში არჭობს სანთლებს.. დანარჩენებიც... აანთებენ და... მოულოდნელად შუქი ქრება... აფხაზები ჯერ იხუმრებენ — რა მოხდა, ისევ საქართველოს ხომ არ მიგვაერთესო... მერე, როცა ზღვის ხმაურს კატერის ხმაც შეუერთდება, სანთლების შუქს და ნაპირზე მყოფთა შემფოთებულ სახეებს სათითაოდ გადაუვლის მოხტუნავე შუქი... ერთმანეთს ეფარებიან, თითქოს საფრთხისგან იცავენო ზურაბი, ასტამური, საიდა, რომა და გივი... და მაშინ, ღამის სიბნელეს ზურაბის შიშნარევი ხმა გაკვეთს — ვინ ხართ?! სანაპიროსთან სულ ახლოს მისული კატერიდან უცხო და მხიარული სიმღერა მოისმება... ჩაივლის და დატოვებს თითქოს უკაცრიელ კუნძულზე გარიყულებს, თითქოს მთელ სამყაროს მოწყვეტილებს, უცხო და უხეში ძალისაგან ერთმანეთს ძალით მოგლეჯილებს და გაურკვეველი მომავლის შიშით შეპყრობილებს...

სანთლების შუქი ანათებს ზღვის კენჭებში ჩამხობილ ზურაბს, სულისშემძვრელი კაცური ცრემლით რომ ალბობს მშობლიურ მიწას... მთრთოლვარე ხელებით რომ ეფერება და ეჩურჩულება... — მესიზმრებო... არ შემიძლიაო უშენოდ...

ასტამური ვერ შეძლებს მის წამოყენებას. — ვერ ააგლეჯს მიწას და შებრუნდება, რომ ვერავინ დაინახოს მისი ცრემლი...

ტალღების ხმაურს გადაფარავს “ვარაიდა”, სევდიანი აფხაზური სიმღერა...

ერთ საჟურნალო ინტერვიუში ლილი ხურითი შეკითხვაზე ასე პასუხობდა — “ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ აფხაზები ჩვენს გულწრფელობაში დავარწმუნოთ... ჩვენ ჩვენსას ვცდილობთ და ნაწილობრივ ვაღწევთ კიდეც შედეგებს. ამის დასტური ცრემლებია, რომელსაც ჩვენი მეგობარი აფხაზების თვალებში სპექტაკლის

შემდეგ ვხედავთ. ვფიქრობ, სპექტაკლი აქტუალური იქნება შერიგების მერეც, რომ ეს საბედისწერო შეცდომა არც ერთმა მხარემ აღარ დაუშვას”..

მაშინ სპექტაკლის ჩანანერი სოხუმში ფარულად ვრცელდებოდა და ბევრ იქაურს ჰქონდა ნანახი. აფხაზურ უნივერსიტეტში სპექტაკლის განხილვაც კი მოენყო...

ხარკოვის ფესტივალზე უკრაინის საბაჟომ დეკორაციის გამოტარება დააგვიანა. შიშველ სცენაზე ითამაშეს, უბრალოდ, მაყურებელს აუხსნეს, სად რა უნდა მდგარიყო. სპექტაკლის შემდეგ კი კულისებში მსახიობებთან შესული მაყურებელი ტიროდა და მადლობას უხდიდა მათ — დიდი მანქანის მიერ დადგმულ სპექტაკლში უდეკორაციოდაც ყველაფერი გასაგებიაო...

სპექტაკლმა გრანპრი მიიღო, ხოლო დიმა ჯაიანმა პრიზი მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისათვის.

ეს იყო 2008 წლის აგვისტომდე...

სულ ახლახანს, მაისის თვეში სოჭში საქართველოში მცხოვრებ ხალხთა ასამბლეაზეც მოუწიათ იმპროვიზებულ სცენაზე თამაში... მაყურებლები ქართველებიც იყვნენ, ოსებიც, აფხაზებიც და რუსებიც... სპექტაკლის ბოლოს ტიროდა ყველა... განსაკუთრებით კი ერთი — რანგით, თანამდებობით მნიშვნელოვანი... და ეროვნებით რუსი... — რას იზამ, ესეც, ალბათ, ჩვენი განსაკუთრებული ბედის განსაკუთრებული ირონიაა...

ომის შემდეგ, როცა ქვეყანა თავზე ჩამოგვექცა, გაჩნდა ეჭვი, — ჭირდება კი დღეს ვინმეს ეს სპექტაკლი? მონანიება ან მიტევება, ან ფიქრი იმაზე, თუ რა მოხდა ჩვენს შორის...

დღეს კიდევ უფრო მეტად გვჭირდება!

თუკი ოდესმე გაჩნდება იმედი, მისკენ მიმავალი ერთადერთი გზა ყველაზე ნათლად სწორედ ამ სპექტაკლში ჩანს...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს — პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დროს, რომელშიც დღეს საქართველო ცხოვრობს, უამი განსაცდელისა უწოდა...

ჭეშმარიტად — დღეს განსაცდელში მყოფი საქართველო მოლოდინითა და იმედით ცხოვრობს...

მერაბ ბაბია

ილუზიები შეგვახსენებენ...

არავის არასოდეს შეუქმნია ისეთი საქველმოქმედო კანტორა, სადაც სულიერ კრიზისში მყოფ ადამიანებს ფარულად ეხმარებიან. ასეთი კანტორა გამოიგონა ესპანელმა დრამატურგმა ალეხანდრო კასონამ იმიტომ, რომ სავსებით რეალურად ეამბნა ჩვენთვის, თუ რა შეუძლია ადამიანურ თანადგომას, რა ადვილია ადამიანი გაახვიო ილუზიის საბურველში და აჩუქო ბედნიერების განუმეორებელი წუთები.

მაგრამ ყველა ილუზიის ბოლო ხომ ერთია — გაქრობაგაუჩინარება. მისი გაუჩინარების შემდეგ, რეალობა კიდევ უფრო უცხო და უხეში მოჩანს. მაშ რაღად გვინდა ასეთი უნიადაგო, არაფრის მომცემი, ფუჭი ნეტარებანი?

იმად, — გვეუბნება ალეხანდრო კასონა, — რომ სწორედ ილუზიები შეგვახსენებენ იდეალის არსებობას. იდეალი კი ის ფასეულობაა, რომლისკენ ლტოლვა თავისთავად ქმნის სიცოცხლის საზრისს. მაშასადამე, ილუზია საჭიროა. იგი შეუცვლელი ადამიანური ფასეულობაა. ვაი მას, ვისაც ილუზიები აქვს, მაგრამ კიდევ უფრო მძიმე ხვედრი ელოდება იმას, ვისაც ისინი არ გააჩნია. ილუზიები არ ქრებიან, ისინი ხეებზე უხეურად კვდებიან და თავის თავს ყველგან და ყოველთვის შეგვახსენებენ. ვფიქრობ, ასე წარმოიშვა კასონას პიესის სახელწოდება — „ხეები ზეზეურად კვდებიან“.

ადამიანის სულიერი დაცემის მიზეზთა შორის, ყველაზე მტიკივნიული ცხოვრების საზრისის დაკარგვაა. ცხოვრების საზრისი

კი მრავალგვარია: ოჯახური კერა, პროფესია, საზოგადოება, სამშობლო, კაცობრიობა, რელიგია. ყოველი მათგანი ადამიანის თავშესაფარია. პიესაში „ხეები ზეზეურად კვდებიან“ ყველაფერი იწყება ოჯახური იდეალების მარცხით და მთავრდება საკაცობრიო იდეალების გამარჯვებით. და ყოველივე ეს მეტისმეტად დეკლარაციული და მაღალფარდოვანი იქნებოდა, რომ არა მისი ემანაცია სრულიად უბრალო ადამიანურ ქცევაში, როგორცაა ნითელი ვარდების თაიგული, რომელიც სასონარკვეთილ ქალბატონს მიართვა ვილაც უცნობ-მაჯენტლმენმა; რომ არა მოხუც სენიორ ბალბოას წერილები, რომელსაც იგი ფარულად უგზავნის მასთან ერთად განმარტოებულ, საყვარელ მეუღლეს, უგზოუკვლოდ გადაკარგული, „გაბანდიტებული“ შვილიშვილის სახელით. საკმარისია სულ მცირედი რამ, გვეუბნება ალეხანდრო კასონა, და ადამიანი პირს იბრუნებს სააქაოსკენ. სენიორ ბალბოას საყვარელი მეუღლის, სენიორა ეუხენიას როიალი კვლავ ემოციურად აუღერდება და სავარძელიც კვლავ შებრუნდება ფანჯრისაკენ. იქ, ფანჯრის მიღმა, ღირსეულად და ბედნიერად ცხოვრობს მისი შვილიშვილი მაურისიო. ის სახელგანთქმული არქიტექტორი გამხდარა, დაქორწინებულა კიდევ, და რაც მთავარია, ადრე თუ გვიან, ჩამოვა, მკერდში ჩაიკრავს საყვარელ ბებიას და ორივენი სიხარულის ცრემლებად დაიღვრებიან.

მაგრამ ამ ხელოვნურად შექმნილ მყუდრო გარემოს საფრთხე დაემუქრა. ნამდვილი წერილი, გამოგზავნილი ნამდვილი შვილიშვილის მიერ, უთუოდ გამოააშკარავებს სენიორ ბალბოას კეთილ სიცრუეს და კატასტროფას უქადის მის საყვარელ მეუღლეს.

სენიორა ეუხენია კი მეცხრე ცაზეა. მისი შვილიშვილი მისკენ მოემართება. ბოლოს და ბოლოს ახდა მისი ოცნება. სულ რამდენიმე დღე, ან იქნებ სულ რამდენიმე საათი დარჩანანატრ შეხვედრამდე.

მაგრამ სიურპრიზები ამით არ მთავრდება. სენიორ ბალბოა დილის გაზეთებიდან შეიტყობს, რომ გემი, რომლითაც მოემგზავრებოდა მისი შვილიშვილი, ჩაიძირა. მისი სიცრუე გადარჩენილია, მაგრამ ბებიის ოცნებები კი — არა. და სენიორ ბალბოა გადანყვეტს თხოვნით მიმართოს საქველმოქმედო კანტორას, გამოძებნოს შვილიშვილის და

რძლის შემცველი და მით გადაარჩინოს მეუღლის მაცოცხლებელი ილუზიები.

აი, ასეთი, ერთი შეხედვით, მარტივი ინტრიგა იქცა მოქმედების მექანიზმად. შვილიშვილიც გამოინახება კანტორის დირექტორის სახით, რძალიც, კანტორაში დახმარების სათხოვნელად მოსული მშვენიერი ქალბატონის, მარტას სახით, და სენიორა ეუხენისა ბედნიერებაც გარანტირებულია. სიუჟეტური მექანიზმის ბოლომდე მოსამართად კასონას ახლა ისლა დარჩენია, რომ ბედის თუ ბედუკუღმართობის წყალობით, შვილიშვილი მართლაც დააბრუნოს, მაგრამ მხოლოდ ერთი განზრახვით, რომ სამემკვიდრეო ფული გამოსძალოს მოხუცებს.

ეს მელოდრამატული სიუჟეტი, გაშლილი მოხუცი ცოლქმრის სენტიმენტალური ურთიერთობების ფონზე, იქნებ მხოლოდ ძველი საამო დროის გასახსენებლად თუ გამოდგებოდა, რომ არა თეატრალური სასწაული, განხორციელებული ვერიკო ანჯაფარიძის მიერ.

მიზეზთა და მიზეზთა გამო, სამსახიობო ხელოვნება ძნელად ექვემდებარება დანანვერებას და ფსიქოლოგიურ ანალიზს. ვამტკიცებ (და იქნებ ღია კარსაც ვამტვრევ), რომ მიხეილ ჩეხოვის ცნობილი დეტერმინაცია — „თეატრალურ შემოქმედებას სამი ძირითადი საიდუმლო აქვს: მეტყველების საიდუმლო, მოძრაობის საიდუმლო და მხატვრულ სახეში შეღწევის საიდუმლო“ — დაიყვანება მხოლოდ ერთ საიდუმლომდე: სამსახიობო ხელოვნება არის ცნობიერების ნაკადის მიერ ნაკარნახევი მაგიური ქმედება და მასში ავტომატიზმი უფრო მეტია, ვიდრე ხელოვნების ყველა სხვა დარგში ერთად აღებული. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ სამსახიობო ხელოვნება პირნიმნდად მისტიკური ფენომენია და მისი რაციონალიზაციის ყოველგვარი ცდა მარცხით მთავრდება.

გასაოცარი იყო ვერიკო ანჯაფარიძის უნარი, ყოფილიყო მაყურებელთა გრძნობების და ფიქრების მეფე. იგი თავისი ხელოვნებით ცხადყოფდა მარჯანიშვილის ცნობილ ფორმულას: „მეტყველია არა სიტყვა, არამედ მთლიანად ადამიანი სცენაზე. მსახიობს უნდა უყვარდეს სცენის სივრცე და საკუთარი სხეულით უნდა ავსებდეს მას.“ და მართლაც, ვერიკო ანჯაფარიძის არა მხოლოდ სიტყვა, ყოველი ჟესტი, მიმოხრა, თვით უბრალო გამოხედვაც კი,

თანაბარი ძალით ასახავდა ხანშიშესული ქალბატონის სულიერ სამყაროს, და არა მხოლოდ ასახავდა, არამედ გვაყვარებდა მას (ეს უნარი, მაყურებელს პირველი ნახვისთანავე შეაყვარონ პერსონაჟი, როგორც წესი, მხოლოდ გამორჩეულ მსახიობებს აქვთ). მხატვრული ტრანსცენდენცია იმდენად მყარი იყო, რომ უდიდეს თანაგრძნობასთან ერთად, რაღაც გაურკვეველი ალტაცების გრძნობა იბადებოდა...

როგორც ყოველთვის, ამ როლშიც საკვირველი გამოკვეთილობით გამოირჩეოდა ვერიკო ანჯაფარიძის მოძრაობა და მეტყველება. ოდნავინამღერებითნარმოთქმული სიტყვები, კეთილზმოვანებასთან ერთად, აფართობდა როლის ფონეტიკურ სპექტრს. ეს ხან ჟღერტული იყო, ხან ტუქსვა, ხან დაყვავება, ხან თავის მოკატუნება, ხან ბავშვური მორჩილება. ფინალში კი, როცა იგი შეიტყობდა ყოველივეს, რაც მოხდა, ჩვენს თვალწინ ეს უსაყვარლესი მოხუცი ისეთ ავაზად გადაიქცეოდა, რომ შვილიშვილი რა სახსენებელია, მაყურებელთა დარბაზში ლამის მისტიკური შიში ისადგურებდა.

მაგრამ მოძრაობა და მეტყველება რა გასაკვირია, როცა თითის უბრალო ამოძრავებასაც კი, იგი რაღაც მაგიურ შინაარსს ანიჭებდა. მთელი მისი არსება თითქოს გვეუბნებოდა — ჰო, დიახ, მე სცენაზე ვარ, ეს მხატვრული რეალობაა. ის უფრო ნამდვილია, ვიდრე სცენის მიღმა არსებული სინამდვილე. ეს თუ არ გჯერათ, შემომხედეთ და დარწმუნდებით, რომ განვიცდი ყოველწამს, რომ მთელი არსებით ვისმენ სხვა პერსონაჟების სიტყვებს, რომ მთელი ჩემი არსებით ვრეაგირებ მათზე. ყოველი ჩემი ძაფინერვი განიცდის ამ სიტყვებს. და თქვენ დაიჯერებთ ისევე, როგორც მე მჯერა...

ფრანსუა ტალმას ორი მოსაზრება საოცრად ესადაგებოდა ვერიკო ანჯაფარიძის სამემსრულელო ხელოვნებას: „ჟესტი, პოზა, მზერა — წინ უნდა უსწრებდეს სიტყვებს ისევე, როგორც ელვა წინ უსწრებს ქუხილს.“ და მეორე: „თეატრში სულის ნებისმიერი მოძრაობა, ადამიანს უნდა მიაქანებდეს იდეალისკენ“. და აქვე წარმოიშვება პარადოქსი, ერთხელ უკვე განდიდებული დენი დიდროს მიერ — ვერიკო ანჯაფარიძე როლში ჩაკარგვით კი არ შორდებოდა, პირიქით, ეგზისტენციალურად უახლოვდებოდა მაყურებელს.

სადაც არ არის მძაფრად დრამატული



სიუჟეტი, იქ დიდ მსახიობს არაფერი ესაქმება. ასეთი სიუჟეტი დრამატურგმა უნდა შექმნას არა მაყურებლისთვის, არა რეჟისორისთვის, არამედ მსახიობისთვის. თანამედროვე, პოსტმოდერნისტულ ხანაში დრამატურგებ-მა რატომღაც თავი ჩვეულებრივ მწერლებად წარმოიდგინეს. არა, ბატონებო! დრამატურგია პროზა არ არის! მსახიობს თქვენ უნდა შეუქმნათ როლის პარტიტურა, თქვენ უნდა მისცეთ ბიძგი მის მხატვრულ მედიტაციას და პოეტურ ექსტაზს. პიესის წერის დროს იფიქრეთ მსახიობზე და მხოლოდ მსახიობზე. მხოლოდ ამ გზით მოინადირებთ მაყურებლის გულს და დაამარცხებთ თქვენს „ურცხვ მეტოქეს“ – რეჟისორს. ალექსანდრო კასონამ სწორედ ამ პრინციპით ააგო პიესა და ამიტომაც ნაწარმოები სცენურიც გამოუვიდა და სამაყურებლოც.

სპექტაკლის რეჟისორებ-მა ვერიკო ანჯაფარიძემ და თენგიზ კანდინაშვილმა, ავტორის გრძნობათა ბუნების სრული დაცვის მიუხედავად, მოქმედების ადგილი გარეგნული ნიშნებით არ დააკონკრეტეს. ამბავი ესპანეთში ხდება, მაგრამ იგი შეიძლება მომხდარიყო დედამიწის ნებისმიერ კუთხეში. სულ მცირედი მინიმუმაც კი საკმარისი აღმოჩნდა ქვეყნის კოლორიტის გადმოსაცემად. ასეთი იყო კასტანიეტებით ცეკვის სცენა, სადაც ეუხენიავერიკო გამოხატავდა მედიდურ სიხარულს შვილიშვილის და რძლის ჩამოსვლის გამო (თუმც არასრულწლოვანი ვიყავი, მაგრამ სამუდამოდ მეხსიერებაში ჩამრჩა ვერიკო ანჯაფარიძის ცეკვა, აშკარად დუნდესთან ზიარებული, ეგზალტირებული). დღემდე მახსოვს მაყურებელთა დარბაზის აღტაცება...

კასტანიეტებით ცეკვა არამც და არამც არ იყო ცალკეული ნომერი როლის ან სპექტაკლის პარტიტურაში. ეუხენიავერიკო ამ გზით გვანვდიდა პერსონაჟის ცხოვრებისეულ დახასიათებას. ზემოქმედება წარმოებდა მსახიობის სულიდან მაყურებლის სულში, უშუალოდ დამაკავშირებელი ძაფების გაბმით.

დახვეწილი პლასტიკა, არაჩვეულებრივად გამომსახველი მიმიკა, გმირის ბუნებიდან ამოზრდილი საცეკვაო შესტი თითქოს შეგვახსენებდა, რომ სცენა ახალი რეალობაა და რომ ყოველივე ის, რაც მის ზედაპირზე ხდება, ცხოვრების, სიცოცხლის ყველაზე მნიშვნელოვანი ნუთების ანარეკლია და ამი-

ტომ უფრო რეალურიც კი, ვიდრე თავად ცხოვრებაა...

ქართველ მსახიობს არ ახასიათებს არტისტული ეგოცენტრიზმი. თავად ვარ მომსწრე, როგორ ზრუნავდნენ პარტნიორებზე აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, სერგო ზაქარიძე, ვასო გოძიაშვილი, ოთარ მეღვინეთუხუცესი. შესაძლებელია, რომ ეს მიდრეკილება ჩვენმა უმთავრესმა არტისტულმა ფენომენმა, ქართული სიმღერის მრავალხმიანობამ ჩამოაყალიბა. სპექტაკლი „ხეები ზეზეურად კვდებიან“, ეუხენიას გამორჩეულობის მიუხედავად, ანსამბლურობის პრინციპით იყო შექმნილი. ყველა მსახიობს მიცემული ჰქონდა დამოუკიდებელი ასპარეზი, როლის შექმნის ყველა პირობა. ეს შესაძლებლობა ყველა მსახიობ-მა გამოიყენა, მაგრამ მაინც გამოვყოფდი მედეა ჯაფარიძის (მარტა) და ედიშერ მაღალაშვილის (დირექტორი) დუეტს. ცოლქმრის როლის თამაშში გართულნი, ისინი თავისდა უნებლიედ, თავად წარმოშობენ ახალ დრამას – მარტას შეუყვარდება დირექტორი.

დავალების შესრულებით გართული ედიშერ მაღალაშვილიდირექტორი ვერც კი შეამჩნევდა მედეა ჯაფარიძემარტას მშვენიერებას, მათ თამაშში ეუხენია რომ არ ჩარეულიყო. სწორედ მან აუხილა თვალები დირექტორს და დაანახა მარტას მთელი მშვენიერება.

და აი, ადამიანების მიერ ხელოვნურად შექმნილ ამ ჰარმონიაში მკვეთრ დისონანსად შემოიჭრება ნამდვილი შვილიშვილის, ნაძირალა მაურისიოს თემა. მას, პირველ რიგად, მარტა გადაეღობება:

„მარტა – შეჩერდით, ვერ გაგიშვებთ.

მაურისიო – გაფრთხილებთ, არასოდეს შევუჩერებიათ ქალებს, რომლებიც თავის თავს მთავაზობდნენ, მით უმეტეს ისეთებს, რომლებიც მემუქრებოდნენ. გზა მომეცით!

მარტა – გაფიცებთ ყველაფერს, რაც წმინდა გაქვთ. დაფიქრდით, შემდეგ გვიან იქნება. ნუთუ არ გესმით, რომ ერთი თქვენი სიტყვა მოკლავს მას.”

მარტა—მედეა ჯაფარიძე, მთელი თავისი ქალური სათნოების მოშველიებით, ცდილობდა გადაერჩინა ქალბატონ ეუხენიას ილუზიები, ხოლო მაურისიო – იაკობ ტრიპოლსკი, კრიმინალის ეგოისტური სისასტიკით ცდილობდა თავისი მიზნის განხორციელებას. აქ, ამ მომენტში გაისმოდა ვერიკო ანჯაფარიძის სიტყვები — „რა ამბავია, იზაბელა?“

ეს სრულიად უბრალო, ერთი შეხედვით არადრამატული სიტყვები, ვერიკო ანჯაფარიძის მიერ წარმოთქმული იყო ისეთი მისტიკური სიღრმით, რომ დაძაბულობა ერთბაშად ზენიტს აღწევდა.

დრამატულ სიტუაციაში უბრალო სიტყვების მისტიკურ სიმძაფრემდე აყვანა, საერთოდ ნიშნეული იყო ვერიკო ანჯაფარიძის საშემსრულებლო ხელოვნებისათვის (გავიხსენოთ ოთარაანთ ქვრივის „მარტო დამტოვეთ“, ივლითის „ახლა ჩემი ხარ, ჩემი, ურიელ! მე შენი თავი გამოვტაცე უსამართლობას.“). ამ ეფექტს იგი აღწევდა პოზის, სახის გამომეტყველების და სიტყვის ინტონირების გამთლიანების შედეგად. მაგრამ მთავარი იყო დრამატულ სიტუაციაში მისი შემოჭრის აქტივობა, რაც საოცარ ენერგეტიკას ასხივებდა. ჩემს მეხსიერებაში აღბეჭდილ ყველა დიდ მსახიობს გააჩნდა ეს უნარი...

იზაბელასადმი მიმართვის შემდეგ, ვერიკო—ეუხენიამ შვილიშვილს გახედა. ამ გამოხედვაში ეუხენიას მთელი არსება იყო განთავსებული. ვერიკომ თავისი სიტყვები თითქოსდა თვალებით დაამონმა. საერთოდ, დისტანციური სიშორის გამო, მსახიობების თვალები თითქმის არ გვამახსოვრდება. მაგრამ ვერიკო ანჯაფარიძე ამ შემთხვევაშიც გამონაკლისი იყო. რა თქმა უნდა, იგი მზერის (და არა თვალების) საიდუმლოებას ფლობდა. სცენურ სივრცეში განთავსებულ მზერის სიზუსტეს კი უთუოდ მოსდევს თვალების ექსპრესია.

ეუხენიას გამოხედვამ ყველაფერი დაიტიო — გაცრუებული იმედები, ფერფლადქცეული სიყვარული შვილიშვილისადმი, უდიდესი რწმენა წმინდა ფასეულობების მიმართ და მზადყოფნა მათ დასაცავად, თუნდაც სასიცოცხლო ინსტინქტების დათრგუნვის გზით...

უაღრესად დრამატული და არცთუ ხანგრძლივი დიალოგის შემდეგ (სადაც ეუხენიამ ზეადამიანური ნებისყოფა გამოიჩინა), მაურისიო ხვდება, რომ ბებიასთან არაფერი გამოუვა და იმავე გულგრილობით ტოვებს მშობლიურ სახლს, როგორი გულგრილობითაც დაბრუნდა მასში. იაკობ ტრიპოლსკი მცირე ეპიზოდშიც კი ახერხებდა შეექმნა ზნედაცემული, ცინიზმით გაყლენილი კრიმინალის საძულველი სახე.

და უეცრად, ანჯაფარიძეეუხენია, თითქოსდა კომმარული სიზმრისგან გამოერკვაო, ამბობდა შემდეგ სიტყვებს:

„ბავშვებს ხომ არაფერი გაუგონიათ?“ ამ შეკითხვაში განთავსებული იყო უდიდესი შემოფოთება და სიყვარული იმ ახალგაზრდების მიმართ, რომლებიც ცდილობდნენ მოხუცი ქალბატონის ილუზიის გადარჩენას.

..ბაღბოა — არ გინდა, უთხრა იმათ?

ბებია — არავითარ შემთხვევაში. მათ მონანიჭეს ჩემი

სიცოცხლის საუკეთესო დღეები.”

სიუჟეტის მელოდრამატულობამ ხელი ვერ შეუშალა ვერიკო ანჯაფარიძეს და მასთანერთად მთლიანად სამსახიობო ანსამბლს, რომ სპექტაკლი აჟღერებელიყო როგორც უდიდეს ფასეულობათა ჭიდილის შედეგად წარმოშობილი ადამიანური ტრაგედია. დრამატიზმი იზრდებოდა მთელი სპექტაკლის მანძილზე და პიკს აღწევდა ბოლო სცენაში, როცა ეუხენია მარტო რჩებოდა.

ყველანი წავიდნენ. ეუხენიამ ისინი მხიარული სახით და დამაიმედებელი სიტყვებით გააცილა. სცენის სიღრმეში მყოფი ანჯაფარიძეეუხენია სახით მაყურებლისკენ ტრიალდებოდა. განადგურებული, მაგრამ ღირსეული ქალბატონი, თითქოსდა მაყურებელს შესჩვილებდა თავის უბედურებას. ეს იყო უსიტყვო მონოლოგი, რომლის მსგავსი აღარაფერი მინახავს არც ქართულ და არც მსოფლიოს სხვა ქვეყნის სცენაზე. სწორედ ამ მრავლისმთქმელი გარინდებამონოლოგით ვერიკო ანჯაფარიძე გადმოსცემდა „მომაკვდავი ხის“ უმშვენიერეს მეტაფორას.

ტრაგედიის უმთავრესი პოსტულატი — მარცხში გამარჯვების მოპოვება, მთელი სისრულით და სიმშვენიერით იყო გადმოცემული დიდი მსახიობის მიერ.

ყველა აღიარებათა შორის, ყველაზე ფასეული კოლეგის აღიარებაა. აი, რა ათქმევინა სახელგანთქმულ ფაინა რანევსკაიას ვერიკო ანჯაფარიძის ეუხენიამ: „რა სინდისი უნდა მქონდეს, რომ მე კიდევ ვითამაშო ბებია; მე ველარ ვითამაშებ მას! ის თქვენ გეკუთვნით!...“

ეუხენია, რა თქმა უნდა, არ ეკუთვნოდა მხოლოდ ვერიკო ანჯაფარიძეს. იგი მთლიანად ქართული კულტურის საკუთრება იყო. და თეატრის მარადიული სისუსტის — სცენურ ქმნილებათა გაქრობაგაუჩინარების მიუხედავად, იგი დღესაც უკვდავ აჩრდილად დასტრიალებს ყოველივე იმას, რაც ქართულ სცენაზე იქმნება ან მომავალში შეიქმნება.

დიდი მსახიობების ქმნილებებიც ზეზურად კვდებიან.

1-12/139

საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა
აივანი

„თეატრი და სხვა“ № 4

მრგვალი მაგიდის ირგვლივ ოზურგეთის თეატრში

ჟურნალ "თეატრი და ცხოვრების" ფურცლებზე კარგა ხანია ოზურგეთის ალექსანდრე ნუნუნავას სახ. სახელმწიფო საარაიონთაშორისო თეატრის შესახებ არაფერი დანერვილა. გასულ წელს, მდიდარი ტრადიციების თეატრს 140 წელი შეუსრულდა, რასაც სპეციალური ალბომი მიეძღვნა. სამწუხაროდ, ბოლო წლებში თეატრს თბილისში მხოლოდ შარშან ჰქონდა ერთი სპექტაკლი ჩამოტანილი, რამაც, ბუნებრივია, მაყურებელს სრულყოფილი შთაბეჭდილება ვერ შეუქმნა, თუმცა, დასის საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება გრძელდება და თავის ორიგინალურ სახეს ინარჩუნებს.

თეატრის პრობლემებსა და მიმდინარე შემოქმედებით პროცესებზე სასაუბროდ დასს შეხვდა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, გუბაზ მეგრელიძე.

გუბაზ მეგრელიძე: მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრით, ვინაიდან დიდი ხანია თეატრის სპექტაკლები არ მინახავს, რაც ქვეყანაში არსებულმა ვითარებამ და სხვადასხვა ფაქტორებმა განაპირობა. თეატრს კარგა ხანია თბილისში გასტროლები არ ჰქონია, ვერც თეატრმცოდნეები ჩამოდიოდნენ თქვენთან. ალბათ, კარგი იქნება, თუ პერიოდული ჩამოსვლის საშუალება გაჩნდება და სპექტაკლების გაცნობასთან

ერთად, მოხდება დასთან საუბარი, მოეწყობა მაყურებელთა კონფერენცია და ყოველივე ცენტრალურ პრესაში აისახება. ამ ოციოდე წლის წინ საქართველოს კულტურის სამინისტრომ და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ერთობლივად თეატრმცოდნეთა საბჭო შექმნეს. ამან ძალიან კარგი შედეგი გამოიღო და პრესაში არც ერთი თეატრის ნამუშევარი შეუფასებელი არ რჩებოდა. ამავე დროს, თეატრზე განპირობებული თეატრმცოდნე კარგად ეცნობოდა კოლექტივის შემოქმედებასა და პრობლემებს. იქმნებოდა ორივე მხარისთვის სასურველი შემოქმედებითი ატმოსფერო. მსახიობეცი კრიტიკოსს მხოლოდ სტუმრად, ან "მტრად" არ აღიქვამდნენ და ერთობლივი ძალისხმევით მეგობრული და საინტერესო საქმიანი ურთიერთობა ყალიბდებოდა. თეატრები და დასახელებული ხელმძღვანელი ორგანოები უნდა ეცადონ სწორედ ამ დაკარგული ტრადიციის აღდგენას, რომლის სამაგალითოდაც ჩვენი დღევანდელი შეხვედრა უნდა იქცეს.

თვალის ერთი გადავლებით მიმდინარე რეპერტუარი მრავალფეროვანია. მასში ვხედავთ, ძირითადად ქართველ ავტორთა კლასიკურ და თანამედროვე ნაწარმოებებს. არცთუ სახარბიელო დაფინანსების პირობებში 12 სპექტაკლის დადგმა თეატრის შესაძლებლობებსა და ერთუზიანობაზე მიგვანიშნებს. ალბათ, რეპერტუარიც გარკვეულ შთაბეჭდილებას შეუქმნის საზოგადოებას, რომელიც საკმაოდ საინტერესოდ გამოიყურება: შ. დადიანის "გუშინდელი", ავქ. ცაგარელის მიხედვით "ხანუმა პარიზში", აკ. წერეთლის "ბუტიანობა", გ. ნახუცრიშვილის "მიწა თავისას მოითხოვს", ო. იოსელიანის "აღამიანი იბადება ერთხელ", თ. ჭილაძის "ნოეს კიდობანი", ლ. თაბუკაშვილის "დარაბებს მიღმა გაზაფხულია", ჯ. კეჭყაძის "იყვნენ ასეთი ბიჭები", ბ. ჯანიკაშვილის "მშვიდობით, თემურ", ნ. დუმბაძის "გამოდი სულო სინათლეზე, ანუ ჭკვიანი გიჟები", გ. ბათიაშვილის "წერილები შვილებს" და ერთი უცხოელი ავტორის ჯ. ოსბორნის "მიმოიხედე მრისხანებისას". ალბათ, შემდგომში გვექნება ამ სპექტაკლების შესახებ უფრო ფართო საუბრის საშუალება. დღეს კი თეატრის პრობლემებსა და შემოქმედებით სახეუ ვისაუბროთ.

— ბატონო ზაზა, თქვენ უკვე სამი წელია თეატრის მმართველი ხართ. როგორია თეატრის შენობის მდგომარეობა, დაფინანსება და მსახიობთა მატერიალური პირობები?


ზაზა ჯინჭარაძე (თეატრის მმართველი): თეატრში კაპიტალური რემონტი გასული საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ არ ჩატარებულა, თუ არ ჩავთვლით 9 წლის წინ კოსმეტიკურ რე-

მონტს. კანალიზაცია ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით გამოიკვალა. შესაცვლელია მაყურებელთა დარბაზის იატაკი და სავარძლები, სცენის ჩატმულობა (რომელიც ფაქტიურად არ გვაქვს). დასში 20 მსახიობია. 18-მა დაამთავრა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტი, ორმა კი ჩვენი თეატრის სტუდია. დასში მოღვაწეობენ ხელშეკრულებით სახალხო არტისტი გაბრიელ მდინარაძე, სამი დამსახურებული არტისტი: ომარ ურუშაძე, ზაირა თოთიბაძე და ნუგზარ ბარამიძე. თეატრის წლიური დაფინანსება 160 ათასი ლარია. აქედან 87% სახელფასო ფონდია, რითაც მსახიობთა ხელფასი 240 და 320 ლარამდე განისაზღვრება. სადადგმო ხარჯი 12 ათას ლარს შეადგენს, რაც სეზონში გაჭირვებით 3-4 სპექტაკლის დადგმის საშუალებას გვაძლევს. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთი რაიონის თეატრზე მეტ დაფინანსებას ვიღებთ და ადგილობრივი ხელისუფლებაც შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად გვეხმარება. ჩვენი დაფინანსების სუბსიდიას ადგილობრივი გამგეობა გვაძლევს და ეს 160 ათასი ლარი გურიის გუბერნატორ ვალერი ჩიტაიშვილის დამსახურება გახლავთ. მაგალითისთვის ვიტყვი, რომ შარშან მხოლოდ 153 ათასი ლარი გვექონდა გამოყოფილი. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში რამდენიმე პროექტი დაგვიფინანსა: 2005 წელს ბასა ჯანიკაშვილის “მშვიდობით თემურ” (3200 ლარი), 2006 წელს გუგა ნახუცრიშვილის “მინა თავისას მოითხოვს” (4300 ლარი), 2007 წელს თამაზ ჭილაძის “ნოეს კიდობანი” (6000 ლარი, ხოლო ადგილობრივმა ბიუჯეტმა თანადაფინანსებით 1100 ლარი გამოყო), 2008 წელს პოლიკარპე კაკაბაძის “ყვარყვარე თუთაბერი” (4700 ლ. ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება 1800 ლ. მაგრამ რუსეთის აგრესიის გამო, დაფინანსება 2009 წლისთვის გადაიდო). ამავე დროს ზუგდიდში ერთკვირიანი გასტროლებისთვის გამოგვეყო 9000 ლარი, მაგრამ აღნიშნული ომის გამო შეგვიჩერდა. შესაძლებლობების ფარგლებში ფინანსების მოძიებაში, მაყურებლის ორგანიზებასა და სხვა საკითხებში გვეხმარება კულტურის სამსახურის უფროსი, ქალბატონი მარინა ჯაფარიძე.

გუზაზ მეგრელიძე: ბატონო ოთარ, როგორ უთავსებთ არსებულ პრობლემებს შემოქმედებით მუშაობას?

ოთარ კუტალაძე (თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი): კულტურის სამინისტროს პროექტებს მონიტორინგს უწევენ ქალბატონი იამზე გვათუა და ბატონი ზაზა სოფრომაძე. პროექტის დაფინანსება სამ ეტაპად იყოფა: სა-

დადგმო, სასცენო და მუსიკალური გაფორმების და რეჟისორის სახელფასო ხარჯებად. ოზურგეთის მერიის კულტურის სამსახური ჩვენს მუშაობაში არ ერევა, მაგრამ მიმდინარე მდგომარეობის შესახებ, ადგილობრივი ხელისუფლება საქმის კურსშია. სერიოზული პრობლემები გვაქვს სცენის განათებისა და გახმოვანების მოძველებული აპარატურის გამო. ეს დანადგარები გასული საუკუნის 60იან წლებში დამონტაჟდა და პრიმიტიული შესაძლებლობების გამო, სპექტაკლებს სათანადოდ ვერ ვაფორმებთ. ხანდახან საქმე კურიოზებამდეც მიდის. გამნათებელი ტექნიკურად ვერ ასწრებს სცენების შუქის შეცვლას, ამას ისიც ემატება, რომ მხოლოდ ორი მუშა გვყავს და მსახიობები იძულებულნი არიან სცენის მოწყობაში მონაწილეობა მიიღონ, რაც დადგმის ხარისხზე გარკვეულწილად მოქმედებს. სადადგმო ხარჯებიც საკმარისი არ არის. ვერ ვინვეთ კომპოზიტორებს, ქორეოგრაფებს, მხატვრებს. გასული საუკუნის 80იანი წლებიდან თეატრში სტუდია არსებობს, სადაც არაერთი ოსტატი აღიზარდა, მათ შორის წამყვანი მსახიობებიც. ამჟამად სტუდიას მსახიობი იური ჯიჯეიშვილი ხელმძღვანელობს. შედეგიც გვაქვს ოთხი სტუდიელი რეპერტუარშია დაკავებული. ბოლო გამოსვება 2007 წელს გვექონდა და ათმა სტუდიელმა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში ჩააბარა. ამ მიზნობრივ ჯგუფს პედაგოგი დიმიტრი ღვთისიაშვილი ამზადებს და დამთავრების შემდეგ დაგვიბრუნდებიან. სექტემბრიდან სტუდიაში ახალი ნაკადის მიღებას ვაპირებთ. სტუდია უფასოა და ანაზღაურების გარეშე მუშაობენ წამყვანი მსახიობები: ზაირა თოთიბაძე, ბელა კიკვაძე, იური ჯიჯეიშვილი და მე. უახლოეს პერიოდში, რეჟისორი შოთა ბაბილოძე იწყებს პ. კაკაბაძის “ყვარყვარე თუთაბერის” დადგმას. ჩვენი მსახიობების ძალებით გვინდა მოვაშალოთ მუსიკალურგასართობი პროგრამა, რასაც ადგილობრივი მუსიკოსებთან ერთად განვახორციელებთ. გასული წლის ნოემბერში თბილისში ვითამაშეთ ნ. დუმბაძის ნანარმოებების მიხედვით დადგმული სპექტაკლი “გამოდი სულო სინათლეზე, ანუ ჭკვიანი გიჟები”, რომელიც რეჟისორმა ალექო მითაიშვილმა განახორციელა. მიმდინარე წლის მაისში ხელოვნების ფესტივალზე თურქეთის ქალაქ გულანჯაკში წარვადგინეთ აკაკი წერეთლის “ბუტიაობა”. სექტემბერში კი საგასტროლოდ გულანჯაკის თეატრი ჩამოვა. ვემზადებით ბათუმის საერთაშორისო ფესტივალისთვის, სადაც შალვა დადიანის “გუშინდელს” ვითამაშებთ. ადგილობრივ სცენაზე ყოველი კვირის პარასკევს მაყურებელს ერთ სპექტაკლს ვუჩვენებთ, ხოლო პერი-



10 წელია მთავარი მხატვარი ვარ. განათების შესახებ უკვე ვისაუბრეთ, რაც ჩემთვის გადამწყვეტია. არა გვყავს ბუტაფორისტი და ყველაფრის კეთება მე მიწევს. არ არის სადურგლო და სამკერვალო ცეხები. ადრე ოთხი მკერავი გვყავდა. ახლა ტანსაცმელს ან მეორადი საქონლის მაღაზიებში ვიძენთ, ანდა ძველ გარდერობს ვიყენებთ. ამიტომ ვერ ხერხდება მხატვრის ჩანაფიქრის სრულყოფილად რეალიზება. სპექტაკლის სცენოგრაფია 1500 ლარი გვიჯდება, ადრე 100 და 500 ლართაც დაგვიდგამს. სცენა სარემონტოა, სცენის შტანგეტიციც გასამართია.

ოდულად ორგანიზაციების დაკვეთით ვმართავთ წარმოდგენებს. გასვლით სპექტაკლებს ვერ ვთამაშობთ, რადგან 14 სოფელში არსებული კლუბის ტექნიკური მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელი.

1995 წლიდან მე და თამაზ დარჩიამ დავაფუძნეთ თოჯინებისა და მოზარდმაცურებელთა თეატრი. დასი 20 საშტატო ერთეულით ადგილობრივმა ბიუჯეტმა დააფინანსა. 2008 წელს თეატრი მუნიციპალური გახდა და თოჯინებს მარიონეტებიც დაემატა. წლიური ბიუჯეტი 38.500 ლარია. ამჟამად, დასში 14 შტატია. აქედან 8 მსახიობია, დანარჩენი კი ტექპერსონალს განეკუთვნება. თეატრის დირექტორია ლაშა კუტალაძე. წელს დაიდგა: ხალხური ზღაპრების მიხედვით "ცეროდენა" (ინსცენირების ავტორი და რეჟისორი მ. ვანიძე), ი. გოგებაშვილის "იავნანამ რა ჰქმნა?!" და ლ. წერეთელის "ტყუილა". მოზარდებისთვის ნაჩვენები იქნა შოუპროგრამა "სიცილის სამყაროში" (ინსცენირების ავტორი და რეჟისორი ალ. ფარსადანიშვილი). ეს დასი ჩვენს თეატრში დაფუძნდა და მის მუშაობას ხელს ვუწყობთ. ამ ახალგაზრდებმა ჩვენი თეატრის სტუდია დაამთავრეს. აღსანიშნავია, რომ თეატრი სოფლებში ინტენსიურ გასვლით სპექტაკლებს თამაშობს. წელს უკვე 43 სპექტაკლი გაიმართა.

არა გვაქვს მრავალფეროვანი კოსტუმების გამოყენების საშუალება. ადრე იყო ტენდენცია, რომ რაიონულ თეატრებს თბილისის თეატრები გარდერობსა და რეკვიზიტს უგზავნიდნენ. ალბათ, კარგი იქნება ამ ტრადიციის აღდგენა.

გუბაზ მეგრულიძე: დღეს დასში არის ის დევანლმოსილი თეატრი, რომელიც ოცდაათ წელზე მეტია ერთგულად ემსახურება მშობლიურ თეატრს. მათ შორის ხარტ თქვენც, ქალბატონო ზაირა. ამიტომ საინტერესოა თქვენი აზრი თეატრში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ზაირა თოთიბაძე (საქ. დამსახურებული არტისტი): სამწუხაროდ, დამსახურებული არტისტის ნოდებას არავითარი ფასი არა აქვს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ სახალხო არტისტს ყველაფერში აქვს შეღავათი. ეს აშკარად მაშინ ვიგრძენი, როდესაც ჯანმრთელობის პრობლემების გაჩენისას შეღავათები დამჭირდა, მაგრამ ვერაფერი გავანწყვე. კარგია, საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ დედაქალაქის თეატრებს რომ ეხმარება, მაგრამ ეგებ რაიონულ თეატრებსაც მიხედოს. მით უმეტეს, როცა აქ უფრო რთული პირობებია და შემოქმედებითად არც ჩვენ გვაქვს ნაკლები შესაძლებლობები. ამიტომ, იძულებული ვართ, დამატებითი შემოსავლები თეატრის გარეთ ვეძიოთ. ბოლო 18 წლის მანძილზე წამყვანი მსახიობების ხელფასი 37 ლარი იყო, რაც კომუნალურ გადასახადებზე არ გვყოფნიდა. თეატრის დირექციამ ხელფასების მომატების გარდა, მსახიობთა სალონი გავვიკეთა და ელემენტარული სამუშაო პირობები შეგვიქმნა.

გუბაზ მეგრულიძე: ბატონო თამაზ, არსებული პრობლემები უმთავრესად თქვენს მუშაობაზე აისახება, ვინაიდან სცენოგრაფიას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სპექტაკლის მხატვრული დონის განსაზღვრაში. ამიტომ როგორ ართმევთ თავს არსებულ წინააღმდეგობებს და კიდევ რა საკითხებია მოსაგვარებელი?

თამაზ დარჩია (თეატრის მთავარი მხატვარი): თეატრში 1987 წლიდან ვმუშაობ, ბოლო

გუბაზ მეგრულიძე: რაიონულ თეატრებს მეტი მორალური მხარდაჭერა სჭირდებათ. ქალბატონო ნანა, თქვენი მრავალწლიანი მოღ-

ვანობიდან გამომდინარე, როგორ გესახებათ მსახიობთა შემოქმედების შეფასების გაუმჯობესების პირობები?

ნანა კუტალაძე (მსახიობი): ოზურგეთში თეატრის დახურვის ტენდენცია იყო, მაგრამ თეატრიდან არავინ წასულა. გული მტკიავ, რომ წოდებები გაუქმდა და ჩვენი თაობა მორალურად დაიჩაგრა. ჩვენ თეატრისთვის თავი არ დავგიზოგავს და კარგი იქნება ჩვენი შრომა დაფასდეს. სასიამოვნო იქნება, თუ საქართველოს თეატრალური საზოგადოება მეტ ყურადღებას მოგვაქცევს. 28 წელია თეატრში წამყვან როლებს ვასრულებ, მაგრამ ცენტრალურ პრესაში არაფერი დანერილა, ადგილობრივი პრესის გარდა. აუცილებელია, ჩვენი ნამუშევრის პროფესიული შეფასება, რომ ჩვენც ენთუზიაზმით განვეწყვოთ. მინდა დიდი მადლობა ვუთხრა მაყურებელს, რომლის უსაზღვრო სიყვარულს ყოველთვის ვგრძნობ. ამას გარდა, თეატრის ხელმძღვანელობის ყურადღებით კმაყოფილი ვარ და ჩემი შემოქმედებით შესაძლებლობების რეალიზაცია სრულად ხდება. ვგრძნობ, რომ მსახიობი ვარ და თეატრს, საზოგადოებას ვჭირდები.

გუბაზ მეგრელიძე: ჩვენი საუბარი ბუნებრივად და ლოგიკურად მივიდა პიარმენეჯმენტამდე, რაც დღევანდელ შეხვედრაზე აქტუალურ საკითხად იქცა. ქალბატონო ლია, ამ მხრივ თქვენი მუშაობა რა პრიორიტეტებზეა ორიენტირებული და რა გაკეთდა?

ლია კილაძე (საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი): მე, პიარმენეჯერის ფუნქციას ვასრულებ და პასუხს ვაგებ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე. ურთიერთობა გვაქვს ტელეკომპანია "გურიასთან", საკაბელო ტელევიზიასთან და ადგილობრივ პრესასთან. ოზურგეთში ორი გაზეთი გამოდის, ჩოხატაურში კი რეგიონალური გაზეთი "გურია ნიუსი". პრესა აშუქებს პრემიერებს, თეატრის ცხოვრებას, ფესტივალებში მონაწილეობას. ჩვენს მსახიობებთან იბჭვდება ინტერვიუები. თეატრის მიმართ მასმედია აქტიურ ყურადღებას იჩენს. თურქეთიდან ჩამოსვლის შემდეგ, პრესკონფერენცია ვაგმართეთ. გარდა ამისა ვმუშაობთ პროექტებზე, ფონდებიდან თანხების მოზიდვაზე. ადგილობრივ ხელისუფლებას სოციალური პროგრამა შევთავაზეთ — სოფლებში უფასო საექტაკლები გამართვის შესახებ. მეორე პროექტია "გავუთბოთ ერთმანეთს გულები", რომელიც სოფლებში კონცერტების ჩატარებას გულისხმობს. თეატრი უშვებს გაზეთს "თეატრალური გურია", რომელიც ყოველ კვარტალში გამოდის მთავარი ადმინისტრატორის, ბახვა ოთხმეზურის რედაქტორობით. მისივე ინიცია-



ტივით თეატრის ბაღში ვაკეთდა მემორიალი გარდაცვლილ მსახიობთა უკვდავსაყოფად. კულტურის სამსახურთან მჭიდრო ურთიერთობითა და მხარდაჭერით პროექტებს ვახორციელებთ, აქტიურად ვმონაწილეობთ რაიონულ ღონისძიებებში და მომავლის იმედი გვაქვს.

გუბაზ მეგრელიძე: ვფიქრობ, დღევანდელი საუბარი საინტერესოდ წარიმართა. საზოგადოება გაეცნობა არსებულ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტაშიც კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, აგრეთვე საქართველოს თეატრალური საზოგადოება მეტ ყურადღებას გამოიჩენს. შესაძლოა სპონსორებიც დაინტერესდნენ და პროექტების განხორციელებაში მონაწილეობა მიიღონ. თეატრი სერიოზულად უნდა მოემზადოს თბილისში გასტროლებისთვის. აუცილებლად უნდა გააქტიურდეს რაიონული თეატრების ურთიერთობა დედაქალაქის მასმედიასთან. სამწუხაროდ, ტელეკომპანიების ხელმძღვანელებს არ ესმით რაიონული თეატრების მხარდაჭერის მნიშვნელობა და აუცილებლობა. რას იზამ, ეროვნული საქმის კეთება მოდაში აღარ აარის და პრიორიტეტი უშინაარსო და უზნეო ფილმების ჩვენებას ენიჭება. ყოველგვარი ძალისხმევით უნდა მივალნიოთ ტელეპროგრამებში თეატრალური გადაცემების შეტანას. ალბათ, უნდა ვიფიქროთ საქართველოს რაიონული თეატრების კოლექტივებმა კატეგორიული მოთხოვნით მიმართონ საქართველოს პრეზიდენტს. ცნობილმა თეატრალურმა მოღვაწეებმაც ხმა უნდა ამოიღონ. გისურვებთ შემოქმედებით წარმატებებს და ჩვენ შეხვედრაზე წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტას.



ჩვენი საყვარელი საბავშვო თეატრი

საუბარი ნ. დუმბაძის
სახ. საბავშვო
თეატრის სამხატვრო
ხელმძღვანელთან,
გიგა ლორთქიფანიძესთან

თამარ ქუთათელაძე: ბატონო გიგა, როგორი იქნება ჩვენთვის, ყველასათვის საყვარელი მოზარდ-მაყურებელთა, ანუ როგორც მას 1997 წლიდან ეწოდა ნოდარ დუმბაძის სახელობის ცენტრალური საბავშვო თეატრის ხვალის-დელი დღე? როგორც ცნობილია, თქვენ ნოვატორულ თვისებებთან ერთად ძველი თეატრის საუკეთესო ტრადიციების აღდგენის მომხრედაც მოიაზრებით.

გიგა ლორთქიფანიძე: როდესაც

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის ცენტრალური საბავშვო თეატრი (ყოფილი მოზარდმაყურებელთა ქართული და რუსული თეატრები.) 2009-2010 წლების თეატრალური სეზონის წელს პირველად გახსნის გიგა ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით. რეჟისორი, რომლის სახელსაც ქართული თეატრალური თუ კინოხელოვნების მრავალი მიღწევა უკავშირდება, ბუნებრივად აღვივებს სერიოზულ ცნობისმოყვარეობასა და იმედს, რომ კვლავაც გვექნება მაღალმხატვრული დრამატურგიით გაჯერებული მაღალპროფესიული საბავშვო და ახალგაზრდული თეატრი, რომელიც აქტიურად შეეხმობება თეატრალური ხელოვნების ნოვატივებს, ჩვენს ქვეყანაში განვითარებულ პროცესებს.

კულტურის მინისტრმა ნიკა რურუამ საბავშვო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობა შემომთავაზა, დაფიქრდი, მაგრამ დავთანხმდი. დიდი ქართველი მწერლისა და ჩემი ბავშვობის მეგობრის სახელობის თეატრში მოღვაწეობით შევძლებდი კიდევ ერთხელ გამოიმეხატა პატივისცემა დიდი ქართველი მწერლისადმი, შემექმნა ისეთი თეატრი, რომლის სარეპერტუარო პოლიტიკიდანაც გაცხადდებოდა ნოდარ დუმბაძისეული მხატვრული სამყაროს ძირითადი თვისება, მისი ფასეულობები და სულისკვეთება. აქ, ჯერ კიდევ თეატრიდან შალვა განერელიას ნასვლის შემდეგ, 1987 წელს სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარე რომ ვიყავი, განვახორციელე ნ.დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ დადგმა.ამჯერად კი ნ. დუმბაძის ნაწარმოების დასადგმელად მოვიწვიე ჩემს მიერ მარჯანიშვილის თეატრში განხორციელებულ „მე ვხედავ მზეში“ სოსოიას როლის პირველი შემსრულებელი გოგი ქავთარაძე, რომელმაც მაყურებელს უკვე უჩვენა ნ.დუმბაძის „მზიანი ღამე“, რეპერტუარში გვექნება აგრეთვე ნ.დუმბაძის „ორი ნოველა“, „სებასტიანოს“ „უსახელო ვარსკვლავი“, გორინის „ბარონ მიუნ-ჰაუზენის ცხოვრება“, ჩემს მიერ დადგმული „ლამანჩელი“, სადაც მთავარ როლში იხილავთ ჩვენი თეატრის ერთერთ საინტერესო მსახიობს ნუგზარ ყურაშვილს. მიმდინარე სეზონშივე იხილავს მაყურებელი მერაბ კიკნაძის „რომეო და ჯულიეტას“, ქეთევან ხარშილაძის „უფლისწული და მათხოვარი“, მიმდინარეობს მოლაპარაკება აგრეთვე

გიორგი ქანთარისთან „სამი მუშკეტერის“ დადგმის თაობაზე.

თ.ქ. როგორც ირკვევა, დაინყება საბავშვო თეატრის ისტორიის სრულიად ახალი ეტაპი. თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის ცენტრალურ საბავშვო თეატრს რეპერტუარში ექნება ნ. დუმბაძის ნაწარმოებები, მსოფლიო კლასიკის შედევრები და ნ. დუმბაძისეულ მხატ-

ერულ ესთეტიკაზე ორიენტირებული თეატრი.

გ. ლ. თუ გავიხსენებთ თეატრის ისტორიას, დავრწმუნდებით, რომ თითქმის ნებისმიერი თეატრის (პისკატორის „ტრიბუნალი“, ბრესტის „ბერლინური ანსამბლი“, მოსკოვის სამხატვრო თეატრი, და სხვა.) შემოქმედებითი აქტივობა ძირითადად ათი წლით განისაზღვრება. ხოლო შემდეგ, როგორც კი ჯგუფის მოქალაქეობრივი სათქმელი გაცხადდება და გაიხარჯება, ვითარდება უსიამოვნო რეგრესული პროცესები, თეატრი შაბლონური ხდება. თითქმის ყველა ჟანრში ვიმუშავე ოპერაში, დრამატულ თეატრებში, მუსკომედიაში, ესტრადაზე, ვარ ქართული ცირკის ერთერთი დამფუძნებელი. 1957 წლის საცირკო პროგრამის დადგმისას, საბჭოთა კავშირის საუკეთესო კოლექტივებს ვინვევდით. საჰაერო ტანვარჯიშში ერთი ახალგაზრდა კაცი გამოირჩეოდა, ურთულეს ნომრებს ასრულებდა და ძალზე პოპულარულიც იყო. რამდენიმე წლის შემდეგ, მისი შვიდკაციანი კოლექტივი კვლავ რომ მოვიწვიეთ, ის ახალგაზრდა ჯგუფში აღარ დამხვდა. გაცივებულმა მოვიკითხე და ასეთი პასუხი მივიღე, ტანმწვანეში, რომელიც უსამელო სიმალლიდან ხტება, იმისათვის რომ დავიჭიროთ, ძალიან უნდა გვიყვარდეს, ეს სიყვარული კი გაქრაო.. დიახ, სიყვარულის, ურთიერთპატივისცემის გარეშე მაღალი ხელოვნება არ იქმნება. ამიტომაც მიმაჩნია, რომ საბავშვო თეატრის ხვალისდელი დღე აუცილებლად უნდა იყოს სიყვარულით, ურთიერთპატივისცემით, რწმენით გაჯერებული და მკაფიო მოქალაქეობრივი პოზიციის გამომხატველი. თეატრისათვის უნდა დაინყოს ერთდროულად ახალი ეტაპიც და ამავე დროს წარსულის საუკეთესო ტრადიციების გააზრებული განვითარების პროცესიც. ვაცნობიერებ, რომ თეატრს უამრავი ფუნქცია გააჩნია და მას ბევრი კეთილგონივრული, ეროვნული საქმის გაკეთება შეუძლია. მაყურებელს სჭირდება კარგი საბავშვო თეატრი, ისეთი, როგორც მის სახელოვან წარსულს ეკადრება. თეატრი ხომ მისი საუკეთესო ტრადიციების განვითარებისა და დახვეწის პროცესის შედეგად იქმნება მის თანამოაზრე და ერთმონწმუნე კოლექტივის თანაშემოქმედებით პროცესში. შეუძლებელია დავივინყოთ თეატრის წარსული და ათვლა დავინყოთ თუნდაც


1997 წლიდან. მოზარდთა თეატრს თაობები კმინდნენ. მას ჩვენი ბავშვობაც უკაშირდება. ჩემი თაობა თეატრში გაიზარდა. ამ თეატრის სანყისებთან დგას ჩემთვის ერთერთი სათაყვანებელი ადამიანი, დიდი ფანტაზიის მქონე რეჟისორი, დიდი მსახიობი და პედაგოგი ალექსანდრე ანუ როგორც მას უწოდებდნენ შურა თაყაიშვილი. საბედნიეროდ, კინომ შემოგვინახა მისი შესანიშნავი როლები. მან ერთმონწმუნე შემოქმედებითი კოლექტივი შექმნა, თეატრში მიიწვია საბავშვო თეატრის სიმბოლო, დიდი იმპროვიზატორი გოგუცა კუპრაშვილი, თამარ თვალაშვილი, მერი ერგნელი, გიორგი დარისპანაშვილი, ალექსანდრე კაჭკაჭიშვილი, ვახტანგ არეშიძე და სხვა. ჩემი თაობა მათ სპექტაკლებზე აღიზარდა. მოზარდთა თეატრი ბავშვს დიდი თეატრისთვის ზრდიდა, სწორ ორიენტაციას უყალიბებდა, გემოვნებას უვითარებდა, მაღალი ფასეულობებისკენ ლტოლვისა და მისი დაცვის სურვილს უღვივებდა. ამ თეატრს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, მოუთმენლად ველოდით ხოლმე როდის დადგებოდა ჩვენი აბონემენტის რიგი. ჩემი და — მარიკა ლორთქიფანიძე, ჩემზე ოთხი წლით უფროსია და სწორედ მარიკამ და მისმა მეგობარმა წამიყვანეს პირველად მოზარდში ა. თაყაიშვილის „არსენა მარაბდელებზე“, მაგრამ თეატრში არ შემომეღეს, გვიპასუხეს ამ სპექტაკლებზე 16 წლამდე მაყურებელი არ დაიშვებაო და უკან გამაბრუნეს. ისე დამწყდა გული, რომ ატირებული დავბრუნდი სახლში. მათ ხომ არ იცოდნენ, რომ არსენა მარაბდელები ჩემი საყვარელი გმირი იყო და მასზე შექმნილი ლექსიც არა მარტო ზეპირად ვიცოდი, არამედ 67 წლის ასაკში უკვე დადგმულიც კი მქონდა ჩემს მეგობრებთან ერთად ვერაზე.

თ.ქ. რატომ იყო აკრძალული, ასეთი რა ხდებოდა სპექტაკლში?

გ.ლ. სასიყვარულო თემატიკა მცირენალოვანი მაყურებლისთვის არ იყო რეკომენდებული. ასაკობრივი გრადაციების სპექტაკლები აქ ძალზე მკაცრად იყო განსაზღვრული.

თ.ქ. ა.თაყაიშვილის დადგმებიდან რომლებს მიიჩნევთ საუკეთესოდ?

გ.ლ. მოზარდთა თეატრში მისი აღიარებული დადგმები იყო „სურამის ციხე“. „არსენა მარაბდელები“, „რომეო და ჯულიეტა“, და სხვა. ხოლო ა. თაყაიშვილის შემდგომ, თეატრის სახელოვანი პერიოდი შალვა განერ-



რომ სწორედ სამხატვრო ხელოვნებასთან თანაშემოქმედებით პროცესში უნდა წარიმართოს თეატრის გააზრებული მმართველობა.

თ.ქ. როგორი იქნება საბავშვო თეატრის ხვალისდელი დღე?

გ.ლ. ჩემი ერთერთი საინტერესო სპექტაკლი მაკარენკოს „პედაგოგიური პოემა“ მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის დრამატულ წრეში დავდგი. ამ ნაწარმოებ-მა ჩემზე მძაფრი შთაბეჭდილება მოახდინა. ავტორი ყვებოდა კოლონიაში მოხვედრილ ძნელად აღსაზრდელ ბავშვებზე და უცნაურ ექსპერიმენტს ატარებდა.. იგი ყველაზე საშიშ აღსაზრდელს უცხადებდა, მხოლოდ შენ გენდობიო და ბანკიდან კოლონიის საბიუჯეტო თანხის გამოტანას ავალებდა. ბიჭმა დავალება პირნათლად შეასრულა, ხოლო დაბრუნებულმა განაცხადა, გზაზე რომ მოვდიოდი სულ ვოცნებობდი, ნეტავ ყაჩაღები დამესხან თავს, რომ შევძლო ჩემი თავგანწირვით დავადასტურო ნდობის გამართლებათ... ვფიქრობ, აუცილებელია ადამიანს აგრძნობინო პატივისცემა, ნდობა და სიყვარული. სიკეთეს ძალიან დიდი ძალა გააჩნია.. ბავშვი უნდა ენდობოდეს, უყვარდეს, პატივს სცემდეს თავის თეატრს და სპექტაკლებიდან თან მიჰყვებოდეს დადებითი იმპულსები, ფიქრის, აზროვნების, სიკეთის, წიგნიერებისკენ ლტოლვის წყურვილი. სწორედ ასეთი მინდა იყოს საბავშვო თეატრის ხვალ. თუ ჩემი და ჩემი თეატრის სპექტაკლებიდან მაყურებელი თეატრს დატოვებს დაფიქრებული და ოდნავ მაინც გაკეთილშობილებული, ჩემს შრომას გამართლებულად ჩავთვლი. მარჯანიშვილის თეატრში ჩემს მიერ განხორციელებული სპექტაკლის ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ ნახვის შემდეგ, 50 წლის კაცი მწერდა, თეატრალი არ ვარ, მაგრამ თეატრი მიყვარს. დაოჯახების შემდეგ დედაჩემი და ჩემი მეუღლე ერთმანეთს ვერ შეეწყვნენ, ამიტომაც დედამ დაგვტოვა და მარტო ცხოვრობს. თქვენი სპექტაკლის ნახვის შემდეგ, მივდივარ დედის ჩამოსაყვანად. ხოლო

ელისას მოღვაწეობას უკავშირდება. ეს იყო ქართული და რუსული კლასიკური დრამატურგიის თამამი რეჟისორული გააზრებებით გამორჩეული, მეტრძოლი და მონინავე, მაღალი ფასეულობების დამამკვიდრებელი თეატრი. შ. განერელიას „რღვევა“, „ჩვენებურები“, „კუკარაჩა“ საეტაპო წარმოდგენები იყო. ხოლო შალვა განერელიას შემდგომი პერიოდის თეატრში რთული მოვლენები განვითარდა. უშენობოდ დარჩენილი თეატრი რუსულ მოზარდს შეუერთდა, თეატრი დატოვა ბატონმა შალვა განერელიამ, რამაც სერიოზული ჭრილობა დაუტოვა დასს. ბატონ შალვასთან ერთად თეატრიდან წავიდნენ მისი თანამოაზრეებიც. შემდგომ კი იყო რვანლიანი სარემონტო სამუშაოების პერიოდი. მაღლობა მინდა გადავუხადო დიდ ქართველ მეცენატს ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც სოლიდური დახმარება გაგვინია თეატრის რეკონსტრუქციაში.

თ.ქ. როგორ შეაფასებდით ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში მიმდინარე რეფორმის პირველ შედეგებს?

გ.ლ. არასწორად იქნა გაგებული თეატრის მმართველის ფუნქცია. იგი ერთპიროვნულად განაგებდა თეატრს. მიმაჩნია,

თუ კვლავ ვერ შეეწყობა მეუღლე დედაჩემს, თავად წაბრძანდესო. „დათა თუთაშხიას“ გადაღების შემდეგ, ტომრებით მოდიოდა წერილები, თუმცა ერთი პატარა გოგონას წერილმა დაუეწიყარი შთაბეჭდილება მოახდინა. 9 წლის გოგონა გვენერდა კემეროვოდან, მამა გარდაგვეცვალა, დედა გათხოვდა, ჩვენ კი ხუთი დაძმა უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში მიგვაბარეს, ძია დათა, შენ ისეთი კეთილი ხარ, რომ შეძლებ მოძებნო დედაჩემი და აუხსნა, რომ შვილების მიტოვება არ შეიძლებაო. ისეთი ინფანტილური, გულწრფელი, ნდობით სავსე და ემოციური წერილი იყო, რომ ოთარ მელვინეთუხუცესმა იხუმრა, ბევრ რეცენზიას მიჩვენიაო.

თ.ქ. დიახ, მართლაც უჩვეულო ძალა აქვს ხელოვნებას. მას შეუძლია ბავშვიცა და ასაკოვანიც სრულიად სხვა ადამიანად გადააქციოს, სიკეთისა და სამართლიანობისათვის ბრძოლა შინაგან მოთხოვნილებად ჩამოუყალიბოს. ბატონო ვიგა, XX საუკუნის 7080 იანი წლები უმნიშვნელოვანესი პერიოდი იყო ქართული თეატრის ისტორიაში, 30იანი წლების შემდგომ. რამ განაპირობა თქვენი თაობის ასეთი ლტოლვა თეატრალური ხელოვნებისაკენ?

გ.ლ. ჩემი თაობა რთულ პერიოდში აღიზარდა. 1927 წელს დავიბადე. მამა და ბიძა დამიხვრიტეს. ირგვლივ შიმშილი, სიღარიბე, უიმედობა იყო გამეფებული. ნიგნი და თეატრალური ხელოვნება ჩვენთვის ერთადერთი ოაზისი იყო, რომელსაც უკავშირდებოდა ჩვენი სწრაფვა სილამაზის, სიკეთის, უკეთესი მომავლისაკენ. გამორჩეულად გვიყვარდა „რობიზონ კრუზო“, ადამიანი, რომელმაც უკაცრიელ ადგილზე იპოვა მეგობარი და შეძლო გამხდარიყო საკუთარი ცხოვრების ავტორი. ჩემს თაობაში პოპულარული იყო სპარტაკიც, ადამიანი, რომელიც მონობაში ცხოვრების მიუხედავად, შინაგანად თავისუფალი დარჩა. აგრეთვე უბოროტო, კეთილი და პოეტური დონკიხოტი, რომელიც შინაგანი რწმენით სავსე, დაშლავად იბრძოდა უსამართლობის წინააღმდეგ. გარდა ამისა, ჩემი თაობა ს. ახმეტელისა და კ. მარჯანიშვილის საუკეთესო სპექტაკლებზე იზრდებოდა. მათი მოღვაწეობის წლები ქართული თეატრალური ხელოვნების მწვერვალი იყო. საოცარი სპექტაკლები იყო ს.ახმეტელის „ანზორი“, „რღვევა“, „თეთნულდი“, „ლამარა“, კ.მარჯანიშვილის „ურიელ აკოსტა“,

„ოტელო“, „ბეატრიჩე“, „ყვარყვარე“. ასეთი სპექტაკლები მე აღარ მინახავს. ძალიან დიდი დრო დასჭირდება ქართულ თეატრს, იმ სიმაღლეს რომ მიაღწიოს. თუმცა მე, ჩემი სულისკვეთებით მარჯანიშვილელი ვარ. ვესწრაფი მებრძოლ, მაგრამ პოეტურ, ზეიმურ თეატრს. ამ ორი დიდი რეჟისორის შემოქმედებითმა კონფლიქტმა წარმოშვა ორი გენიალური თეატრი. ხოლო ჩემი თაობის კონფლიქტმა მარჯანიშვილის თეატრის უფროს თაობასთან წარმოშვა რუსთავის თეატრი, ანუ როგორც მას მოსკოვში უწოდეს ქართული „სავრემენიკი“ („თანამედროვენი“).

თ.ქ. რატომ წარმოშვა კონფლიქტი?

გ.ლ. ეს გახლდათ თაობათა ბრძოლა!

თ.ქ. ძალაუფლებისთვის?

გ.ლ. დიახ, ვერიკო ერთპიროვნულად მართავდა თეატრს. მის თაობასთან ურთიერთობა ძალიან რთული იყო. მე, როგორც რეჟისორს, ვერიკო მაფასებდა და ქართული თეატრის ხვალინდელ დღეს მიწოდებდა, თუმცა, თაობის გამოკვეთილი პოზიციის წარმოჩენა ვერ აიტანეს.

თ.ქ. მაპატიეთ, მაგრამ ახალგაზრდების როლებს ისინი ხომ უკვე ვეღარ შეასრულებდნენ?

გ.ლ. ხელოვანს, განსაკუთრებით კი მსახიობს, ასაკი არა აქვს. თუმცა, დიდი სულიერი ტკივილის შემდეგ, 1967 წელს ჩემს მიერ შექმნილმა რუსთავის თეატრმა დიდი სიხარული მოგვანიჭა ჩემს თაობას და ვალიარებ, რომ ზოგჯერ კონფლიქტი ან შემოქმედებითი მარცხი წარმატებაზე უფრო სასარგებლოა.

თ.ქ. რუსთავის თეატრის საოცარი პოპულარობის თაობაზე თითქმის ლეგენდებს ჰყვებიან.

გ.ლ. როდესაც სამსახიობო ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს ეკითხებოდნენ, სად სურდათ მუშაობის დანყება, უმრავლესობა რუსთავის თეატრს ირჩევდა. მოსკოვში ჩვენი პირველი გასტროლები სამხატვრო თეატრში გავმართეთ და პირველივე წარმოდგენად მ. გორკის „ფსკერზე“ ვუჩვენეთ. დარბაზი დაინგრა ოვაციებისაგან. ჩვენს ახალგაზრდულ თეატრს ჰქონდა უჩვეულო გამბედაობა და მაქსიმალიზმი, შესაძლოა იმიტომ, რომ მკაფიოდ ჰქონდა განსაზღვრული საკუთარი პოზიცია და სათქმელი. დღეს რომ ვიხსენებ წარსულს, მიკვირს,

როგორ გავხედოთ პირველივე გასტროლის მაინცდამაინც სამხატვრო თეატრში გამართვა და თანაც მათთვის ერთერთი ყველაზე სახელგანთქმული სპექტაკლით წარდგენა?.. ან როგორ გადაფურჩით დაჭერას? ჩვენი სპექტაკლი „ასი წლის წინათ“ მძაფრი, ანტისაბჭოთა სპექტაკლი იყო, რომელიც ღიად და დემონსტრაციულად აცხადებდა — "ჩვენ, ნიკოლოზ I-ის მხარეზე ვართ."

თ.ქ. როგორც ირკვევა თქვენი თაობისათვის თეატრალური ხელოვნება უკეთესი მომავლისათვის მებრძოლი არენა იყო. შესაძლოა ამიტომაცაა, რომ ხშირად უკავშირებენ ერთმანეთს თეატრსა და პოლიტიკას, თეატრსა და რელიგიას. როგორ ფიქრობთ, შესაძლოა თეატრი აპოლიტიკური იყოს?

გ.ლ. არა! ვერც — თეატრი იქნება აპოლიტიკური და ვერც ყურნალი.

თ.ქ. რადგან პოლიტიკა ვახსენეთ, მინდა გკითხოთ, როგორ შეაფასებთ რუსთაველის პროსპექტზე სულ ცოტა ხნის წინ განვითარებულ მოვლენებს, „კარვების ქალაქის“ სახელწოდებით?

გ.ლ. მე ვფიქრობ, რომ ეს გახლდათ ბრძოლა ძალადობისა და უსამართლობის წინააღმდეგ, ბრძოლა ეროვნული ღირსების დასაცავად. თავისუფლება დიდი პასუხისმგებლობაა, არ შეიძლება ერი მუდმივად ცხოვრობდეს რევიზორის მოლოდინში და დაუსრულებლად ელოდეს, რომ ჩამოვა ვიღაც და შეგვასწავლის, როგორ ავაშენოთ ჩვენი ქვეყანა.

თ.ქ. ბატონო გიგა, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ქართული თეატრის ავტორიტეტი და პოპულარობა შეუცვლელი იყო, ხოლო XXI საუკუნიდან პრიორიტეტული მდგომარეობა რელიგიამ მოიპოვა. აშენდა უამრავი ეკლესია. ნუთუ ასეთი რელიგიურები ვარ?

გ.ლ. დღეს საქართველოში ერთადერთი ყველაზე ავტორიტეტული პიროვნება ჩვენი პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორეა. მისი სიმართლის მქადაგებელ, ბრძნულ სიტყვას დიდი გავლენა აქვს ქართულ საზოგადოებაზე. ხალხს ნოსტალგია აქვს სიმართლეზე. ამ მხრივ, ქართული თეატრი დაბნეული, შეშინებული, ავტორიტეტშელახული, დათრგუნული და გაუბედავია. ასეთი თეატრი თავის უმთავრეს ფუნქციას ვერ შეასრულებს.

თ.ქ. იზიარებთ მოსაზრებას, რომ ქართულ

თეატრში კრიზისია?

გ.ლ. დიახ, სერიოზული კრიზისია. დღეს ქართულ თეატრში მსახიობების დეფიციტია. 1951 წელს მარჯანიშვილის თეატრში რომ მივედი, მსახიობ-ვარსკვლავთა უზარმაზარი გუნდი დამხვდა. უშანგის გარდა, ყველა თეატრში იყო: ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გოძიაშვილი, გიორგი შავგულიძე, სესილია თაყაიშვილი. ერთხელ მკითხეს, მართლა ვირტუოზი მსახიობი იყო უშანგი ჩხეიძე?.. რა უნდა მეთქვა?.. კონტრშექციით ვუპასუხე — ვერიკო როგორი იყო?.. ვასო?.. სესილია?.. გიორგი შავგულიძე?.. წარმოიდგინეთ, რომ უშანგი ყველა სჯობდა მეთქი, მართლაც, რა დიდი მსახიობი ყოფილაო, გაოცდა ჩემი თანამოსაუბრე.

თ.ქ. დღეს რომ ირჩევდეთ პროფესიას ჩააბარებდით სარეჟისოროზე?

გ.ლ. სერიოზულად დაფიქრდებოდი. ბავშვობაში, ბიძაჩემის, ევგენი მიქელაძის გავლენით ღირსეურობაზე ვოცნებობდი, დიდხანს ვმეცადინებოდი ანასტასია ვირსალაძესთან, ელისო ვირსალაძის ბებია-სთან. პირველად რომ დავესწარი „ევგენი ონეგინს“, ვიტირე ლენსკი როცა მოკლეს, მაგრამ სპექტაკლის შემდეგ, ლენსკი და ონეგინი თავის დასაკრავად ხელჩაკიდებულნი ავანსცენაზე რომ გამოვიდნენ, მათ ტყუილზე შეურაცხყოფილი დავრჩი, თეატრიდან გავიქეცი და ერთხანს აღარც დავდიოდი ოპერაში. ჩემს ბავშვობაში თეატრალური ხელოვნება ავტორიტეტული დარგი იყო. თეატრალურ ინსტიტუტში ყველაზე გამორჩეული, ინტელექტუალურ ოჯახებში აღზრდილი ახალგაზრდები აბარებდნენ. ხოლო ინტელიგენცია ეკონომიურადაც უზრუნველყოფილი იყო. თეატრალურ საზოგადოებას სერიოზული ბიუჯეტი ჰქონდა და დახმარების ფუნქციაც ეკისრებოდა. სოლიდური თანხებით ფინანსდებოდა სამივლინებო ხარჯები, პენსიები, გვქონდა მდიდარი წარმოება. ამჯერად ყველაფერი განადგურებულია, აღარაფერი აღარ არსებობს. გაპარტახდა მწერალთა და კომპოზიტორთა კავშირები. ხელისუფლებას თითქოს ეშინია მოაზროვნე და გონიერი საზოგადოების. არ უყვართ და არ ესმით ხელოვნების ფასი. ამიტომაც გვაქვს ურთულესი შედეგები. ნ..დუმბაძის „თეთრი ბაირალები“ რომ დავდგი, უჩვეულო წარმატება ხვდა წილად. ერთხელ, რუსთავის კოლონიის უფროსი მესტუმრა და მთხოვა, პატიმრები მესვენებინა, ოღონდ ეგ

სპექტაკლი გვაჩვენე და სანიმუშო წესრიგს დავამყარებთო. წარმოდგენა კოლონიის კლუბში გავმართეთ, უდეკორაციოდ, ნატურალისტურ გარემოში. სპექტაკლი სევდიანი, მაგრამ იუმორითა და კომიკური სიტუაციებით იყო გაჯერებული, მაყურებელი ჰომერულად ხარხარებდა, ხოლო კოლონიის კედლებში სიტუაცია შეიცვალა, პატიმრები სულ ტიროდნენ, შემდეგ მსახიობებსაც გადაედოთ მათი ემოცია და დაითრგუნენ. ქართული კინო, რომელიც არა მარტო რუსეთმა, უცხოეთმაც კი აღიარა და ტერმინი „ქართული კინოს ფენომენი“ დაამკვიდრეს, დღეს განადგურებულია. ხელისუფლება ადამიანის ბედს პირადი სიმპათიების ან პარტიული კუთვნილების მიხედვით წყვეტს. აკაკი ბაქრაძე მთელი ცხოვრება დისიდენტი იყო, მაგრამ ყოველთვის მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა. კომუნისტური რეჟიმის პირობებში, საქართველოში ჩამოსული რუსი თუ უცხოელი თეატრალები ხშირად დაუფარავი შურით გვიცხადებდნენ, თქვენ საბჭოთა კავშირში არ ცხოვრობთო. მძაფრი და ოპოზიციური სპექტაკლები იყო ჩემს მიერ მარჯანიშვილის თეატრში დადგმული ვ.გაბესკირიას „უფსკრულთან“, ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირალები“, ხოლო პ.კაკაბაძის „კახაბერის ხმალს“, ცნობილმა რუსმა კრიტიკოსმა ანიქსტმა ბრეხტის პოლიტიკური თეატრის წინამორბედი უწოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ე.შევარდნაძეს უყვარდა ხელოვნება, მფარველობდა მას და ამიტომაც გვექონდა სერიოზული მიღწევები. სწორედ მისი მმართველობისას დაიდგა რ. სტურუას „ყვარყვარე“, „კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ III“, თ. ჩხეიძის „ჰაკი აძა“, შ. განურელიას „რღვევა“. მიმანჩია, რომ გოკა გაბაშვილი ცუდი კულტურის მინისტრი იყო, კონფლიქტური და ხელოვნებისადმი გულგრილი. ხოლო ნიკა რურუა ინტელექტუალია, ჩვენი ინსტიტუტის კურსდამთავრებული და ხელოვნებისადმი პატივისცემის უნარი უკვე გაცხადდა კიდევ მის დამოკიდებულეებაში.

თ.ქ. რა არსებითი განსხვავებაა საბავშვო თეატრის თქვენი და დღევანდელი თაობის მაყურებელს შორის?

გ.ლ. ამჟამად, ჩვენს საბავშვო თეატრს ორი კეთილმოწყობილი სცენა აქვს, მცირე სცენა საბავშვო სპექტაკლებისათვის და დიდი სცენა მოზრდილების, ანუ თინეიჯერების პრობლემური სპექტაკლებისათ-

ვის. საბავშვო თეატრის ხელმძღვანელად რომ დავინიშნე, ყველა სპექტაკლი ყურადღებით ვნახე და სასიამოვნოდ გაცოცხლები დავრჩი. ქართველი ბავშვები აქტიურად ესწრებიან რუსულ დადგმებს. რუსეთთან კონფლიქტი არ უნდა ნიშნავდეს პუშკინთან, ლერმონტოვთან, ტოლსტოისთან, ჩეხოვთან, დოსტოევსკისა თუ ზოგადად, რუსულ კულტურასთან კონფლიქტს. წარმოდგენებზე აღარ იგრძნობა ბავშვების ყრიაშული და მოუსვენრობა. ისინი უჩვეულო ინტერესით უსმენენ სპექტაკლს. შესაძლოა ასეთი გამახვილებული ცნობისმოყვარეობა და მოვლენებზე სწრაფი რეაგირების უნარი კომპიუტერის გავლენის შედეგიცაა, თუმცა გული მწყდება, რომ ჩემი თაობისაგან განსხვავებით, წიგნისადმი ეს ე.წ. კომპიუტერიზებული თაობა გაცივდა.


თ.ქ. ბატონო გიგა, რეჟისორებისა და მსახიობების უმეტესობა კინოსა და თეატრს შორის პრიორიტეტს თეატრს ანიჭებს, თქვენ?

გ.ლ. ისინი ტყუიან. ორივე გენიალურია — თეატრიც და კინოც. მიმანჩია, რომ საქართველოში მხოლოდ მე და ვახტანგ ტაბლიაშვილმა ვიმოდგანეთ წარმატებულად თეატრშიც და კინოშიც. სპექტაკლის სიცოცხლისუნარიანობა დღემოკლეა, კინო კი უკვდავია. სპექტაკლისაგან მხოლოდ ლეგენდა რჩება, კინოსგან კი — ფილმი. თუმცა კინოში ყველაზე მეტად მიყვარს ე.წ. „ახლო ხედი“, („კრუზნი პლანი“). მაგალითად „დათა თუთაშხიაში“ ოთარის თვალეებში რომ იძირები, მთელ მის პიროვნებას, ფიქრებს, სულიერ განწყობას, მთელ მის წარსულსა და მომავალსაც თითქოს გამჭვირვალედ ხედავ. ან თუნდაც, ოთარისა და თენგიზის შეხვედრის სცენა სასადილოში, მათი თვალეებით გასაუბრება.

თ.ქ. გენიალურია, მართლაც გენიალურია!.. ამიტომაც, იმედს არ ვკარგავთ, რომ რეალიზდება თქვენი ოცნება და მიიღებთ დაფინანსებას აკაზბეგის ნანარმოებების მიხედვით 12 სერიანი ფილმის გადასაღებად. იმედი გვაქვს, თქვენი პროფესიონალიზმი და მრავალწლიანი გამოცდილება იქნება გარანტი საბავშვო თეატრის მორიგი წარმატებული თეატრალური სეზონებისთვის.

ესაუბრა
თამარ ქუთათილაძე

მანანა თევზაძე



თეურ ნინუა

_ შტრიხები

პორტრეტისათვის

— ...ხანდახან, ვერ ვიტყვი ხშირადმეთქი, მაგრამ ხანდახან მესიზმრება... სოხუმის ქუჩებში დავდივარ...

...იქ დავიბადე, როგორც იტყვიან, ფეხი იქ ავიდგი... მთელი ბავშვობა იქ გავატარე, ხატვა იქ დავიწყე... სიზმარში ზოგი დაფრინავს, მე კი მესიზმრება ზღვა, რომელიც ძალიან მიყვარს და... ვცურავ, ამღვრეული

წყალია, თუ დანმენდილი, სულერთია... ვცურავ... თითქოს ფელინის "ამარკორდის" ცოცხალი კადრებია, გაქვავებულ ზღვაში ვარ... მაგრამ, მაინც მომწონს და გული მწყდება, რომ მეღვიძება... წყლიდან ვერ ამომიყვანდი, წყალბურთსაც კარგად ვთამაშობდი, ტანმა არ შემინყო ხელი, თორემ... სოხუმელები წელი ისე გავა, ზღვაში არ ჩავლენ... მიყვარს და... მიყვარდა და... არ ვიცი რა დროში ვთქვა... მიყვარს იქაურობა! იმიტომ, რომ იქ დავიბადე, ახლა ვერ ჩავდივარ თორემ...

...მამაჩემი არქიტექტორი იყო, წესიერი კაცი... ერთი პერიოდი სოხუმის მთავარი არქიტექტორიც... სოხუმის ფუნქციულიორის აშენებაშიც წვლილი მიუძღვის... თავისი თანამდებობით ადვილად შეეძლო ყველაფერი, ჩვენი სახლი კი საკუთარი ხელით ააშენა. სამსახურის შემდეგ რომ ბრუნდებოდა, თვითონ აშენებდა... ბარათაშვილის ქუჩის გაყოლებაზე ჩვენი სახლი ყველა დანარჩენი სახლისგან გამოირჩეოდა... ახლანდელი საზომებით ისეთი განსაკუთრებული არ ყოფილა, მაგრამ ტრადიციული სახლიც არ იყო, პატარა ორსართულიანი სახლი... ამას წინათ, ბათუმში სპექტაკლს ვაკეთებდი და ე. წ. "სექონდ ჰაენდ"-ში მოგვინია სიარული. ვიღაც გოგო რუსულად დამელაპარაკა. საუბარი რომ ჩამოვარდა, გაირკვა, სოხუმელია, თანაც მეზობელი და მე კი არ გავახსენდი, პატარა იყო ჩემზე, ის ჩვენი სახლი გაახსენდა...

...ჩვენს გვერდით ბერძნები ცხოვრობდნენ... უამრავი მეგობარი მყავდა აფხაზი, მათი სახელებიც მახსოვს... იყვნენ სლავიკა და რუსლან ავიძბები, ერთად გავიზარდეთ... ხან ჩვენთან იყვნენ სახლში, ხან მე ვიყავი მათთან, უფრო ზემოთ თარბები ცხოვრობდნენ, ერთს მიშა ერქვა... ერთად ვთამაშობდით, ფეხბურთზე ერთად დავდიოდით. მართალია, ისინი რუსულ სკოლაში სწავლობდნენ, მე — ქართულში, მაგრამ, სამეზობლო დილიდან რომ შევიკრიბებოდით, ფეხით ან ავტობუსით ლოკომოტივის პლაჟზე მივდიოდით, მარტო იქ იყო წყალში სახტომი სიმაღლეები... როცა მოგვშივდებოდა, ბოძებს რომ შავი ლოკოკინა ეკრობა, "მიდია" რომ ჰქვია, ავადრობდით, ქალაღის ცეცხლზე ვხარშავდით, სკდებოდა და ქათმის ხორცივით გემრიელი იყო... სოხუმელი ვარ და... თევზი არ მიყვარს, ცხოვრებაში

თევი არ მიჭამია, ყველას უკვირს, მაგრამ “მიდიის” გემო დღემდე მახსოვს...

...ხატვა რომ დავიწყე, დედამ პიონერთა სასახლეში მიმიყვანა, იქ ერთი გენიალური კაცი იყო, გოგი ზედგინიძე... ეტიუდებზე დავყავდით... თითქმის მთელი აფხაზეთი შემოგვატარა... ზემო აფხაზეთში სოხუმიდან ნახევარ საათში შეიძლება ასვლა... იქაც ბევრჯერ ვარ ფეხით ნამყოფი... საოცრად ლამაზია იქაურობა... ჰოდა, სწორედ მან უთხრა დედაჩემს — საღებავები და ეტიუდნიკია საჭიროო და... დედა სოჭში წავიდა, ერთი რუსი მხატვარი გაიცნო, რომელიც სანაპიროზე ეტიუდს აკეთებდა. დედამ სთხოვა, — იქნებ მომყიდოთ ეტიუდნიკო! იმ კაცმა კი უთხრა, — ჯერ მჭირდება, როგორც კი შევბუღება დამიმთავრდება, შეგვვდებით და მოგყიდითო. და მართლაც მოგვიყიდა... და მერე... მთელი ხუთი წელი სოხუმში ჩამოდიოდა და ჩვენთან ისვენებდა...

...ფხატავდი ევკალიპტებს, ზღვას... იქ, სადაც მდინარე ბესლეთი შემოდის შავ ზღვაში, ნავსადგურია და უამრავი ნავია თავმოყრილი... იმ ნავებს ვხატავდი... ბიჭებს მოსწონდათ, ისე კი არ მექცეოდნენ, როგორც “სკრიპკიან” ახალგაზრდას ეპყრობიან, პირიქით, ყველანაირად ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ, ნატურაზეც დამყვებოდნენ, ჩემს გამო ერთი მხატვარიც გახდა, ვალერი არქანია. ფეხბურთს ერთად ვთამაშობდით და იმის მაგივრად ქუჩის ცხოვრებაში შევეყვანე, ერთი პერიოდი ციხეშიც იჯდა, პირიქით — მე მომბაძა და მხატვარი გახდა, ერთერთი კარგი მხატვარი. გოგი ჩაგელიშვილთან ერთად ყირიმში ეტიუდებზე დადიოდა, აკადემიაში ვსწავლობდი, იმან რომ ჩააბარა... სანყალი ომში დაიღუპა...

...მამაჩემი ოცნებობდა, არქიტექტორი გამოვსულიყავი, მაგრამ ჩემი მათემატიკური “ნიჭის” გამო სიცილით კვდებოდა... ოლონდ ეს სიმწრის სიცილი უფრო იყო, ისეთ ელემენტარულ რაღაცეებზე ვერ ვპასუხობდი... მისგან გადმოცემულმა არქიტექტურის სიყვარულმა ჩემს მხატვრობაში მაინც იჩინა თავი, სივრცის შეგრძნება გამიმახვილა, მხოლოდ სიბრტყეზე რომ არ ვმუშაობ... თეატრალური მხატვრების უმეტესობაც უფრო არქიტექტურიდან არიან მოსულნი. ქართულ მხატვრობაში იყო პერიოდი, როცა

სცენაზე ფერი დომინირებდა, მე კი ყოველთვის ვცდილობდი სივრცე ამეთვისებინა, რაღაც არქიტექტურული დეტალები შემომეყვანა... მაგალითად, “მტრის ნიღაბს” რომ აკეთებდა სტურუა, მითხრა, — შემოდი, შეხედეო!.. მცირე სცენის ინტერიერი მდიდარია არქიტექტურული დეტალებით და თავიდან ვიფიქრე, ამ არქიტექტურის დამალვა უნდამეთქი, — ბატონო რობერტ, აქ ყველაფერი მზად არის, რად გინდათ დამატება და ახლის გაკეთებამეთქი... მაინც ამოატანინა “სტიქის” კედლები, ამიხსნა, რომ ცუდი აკუსტიკის გამო აკეთებდა, მაგრამ სპექტაკლში იტალიური ოპერებიდან ისმის არიები და დარბაზის არქიტექტურას მშვენივრად შეერწყა...

...ის ჩემი სოხუმელი ამხანაგები ხანდახან მხვდებიან ხოლმე. სატირაღია ამის თქმა, მაგრამ, რაც დრო გადის, გასვენებებში უფრო ვხვდებით ერთმანეთს... აირია ყველაფერი, ზოგი რას აკეთებს, ზოგი — რას, რაღაცნაირად ლუკმა-პური რომ იშოვონ... ის ჩემი სლავიკა და სხვებიც, არ ვიცი სად არიან, ცოცხლები იქნებიან, ალბათ, მაგრამ არანაირი ურთიერთობა აღარ მაქვს... ისინი, ვინც უახლოესნი იყვნენ, ერთი სახლით რომ ვიყავით დაშორებული, ერთი ეზო რომ გვყოფდა, რომ ვმეგობრობდით... ზოგი აქეთ წამოვიდა, ლტოლვილია, ზოგიც იქ დარჩა. ლტოლვილების უმეტესობა სრულიად ახალგაზრდა მძიმე ცხოვრებისაგან გარდაიცვალა, ... ერთი მეგობარი მყავს, დათო კვარაცხელია, დიდი ოპტიმისტი... ისიც სცენოგრაფია, ფარნა ლაპიაშვილის სახელოსნო დაამთავრა და იმანაც ჩემი გავლენით ჩააბარა აკადემიაში, მოსკოვში ცხოვრობს. სხვათა შორის, ძალიან კარგი მხატვარია, მირიანიც იცნობს...

...ნეტავ, მესროდნენ თუ არა?.. ერთ მეგობარს ვკითხე, რომ შემხვედროდნენ, მესროდნენმეთქი? ძმებივით ვიყავით, ... — გესროდნენო, მიპასუხა... მე ვესროდი? არა, არა მგონია... ერთი დღე მომიწია იქ ყოფნა, ძველი ფეხსაცმელები ჩავიცვი, თუ მომკლეს, რაღა ახლებში ვიყომეთქი და გადამწვარდანგრეული სახლები რომ ვნახე... მერე რამდენიმე დღეში დამთავრდა კიდევ ყველაფერი... არ მინდა ამის გახსენება...

...სოხუმში პირველი კლასიდან მეხუთემდე ვსწავლობდი, მერე დედაჩემმა თბილისში წამომიყვანა და კოლმეურნეო-




ბის მოედანზე, სამოცდამეთოთხმეტე სკოლაში ორი წელი ვისწავლე... შვიდწლედის დასამთავრებლად ისევ სოხუმში დავბრუნდი. მერე ისევ თბილისი და ნიკოლაძის სასწავლებელი... მეორე კურსზე დამსვეს, მოვუნდერკინდო ბავშვი ვიყავი. თან მირიანი გავიცანი, ლამის სკოლაში სწავლობდა, —იქნებ შენც ასე გაგეკეთებინაო და მართლაც, ასე მოვიქეცი. თან ტექნიკუმში დავდიოდი, თან ლამის სკოლაში ვსწავლობდი. სკოლა რომ დავამთავრე, საბუთები სამხატვრო აკადემიაში შევიტანე, თუ მოვხვდები, ჰო, კარგი და თუ - არა, ნიკოლაძეში ხომ ვსწავლობმეთქი. ისე გამოვიდა, რომ აკადემიაში მოვხვდი. ნიკოლაძეში სწავლა სექტემბერში იწყებოდა, აკადემიაში — ოქტომბერში და ნიკოლაძეში რომ მივედი, სასწავლო ნაწილის გამგემ, გარიცხული ხარო, მითხრა, არ გივლიაო! მე კი... სტუდბილეთი მედო ჯიბეში და თავი მოვიწონე —აკადემიის სტუდენტი ვარმეთქი!.. ვისაც ვიცნობ, ვინც ჩემი გაგებით, ნორმალური მხატვარია, ნიკოლაძის კურსდამთავრებულია... დაწყებული მირიანით, შმაგი, გოგი მიქელაძე, უშანგი იმერლიშვილი... ვისაც თეატრთან აქვს კავშირი იმათ ვისხენებ, თორემ, უამრავი კარგი ბიჭი და მხატვარია ნიკოლაძე რომ დაამთავრა... გივი თოიძე კი — ჩვენი ბელადი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ახლა რომ ვაკვირდები, ჩვენ მერვემეცხრე კლასელი ბიჭები ვიყავით, ის კი — ოცდახუთი წლის და... ბებერი გვეგონა... ყველაფერს აკეთებდა, რომ მაქსიმალურად დავეინტერესებინეთ, კონკურსებს აწყობდა, ერთერთი კონკურსის მერე კი, მე გამოვედი გამარჯვებული და, რა ხელფასი უნდა ჰქონოდა, სალონში ჭედურობაში გაკეთებული მედალი ეყიდა და ის გადმომცა. მას შემდეგ თითქოს გზა გამეკვალა და მართლაც, პრალის კვადრიენალზე ოქროს მედალი ავიღე!

...აკადემიაში სცენოგრაფიაზე მესამე კურსიდან გადადიოდნენ. ახლა პირველსავე კურსზე იღებენ. მაშინ ფარნა ლაპიაშვილის ხელმძღვანელობით არჩევდნენ და ყველა კურსიდან სამსამი, ოთხოთხი კაცი, მესამეკურსელებიდან დაწყებული დიპლომანტებით დამთავრებული, ერთ აუდიტორიაში ვისხედით... კარგი მხატვრები იყვნენ იქ. ბესო ბესელია ბათუმშია, ნინო ნიჟარაძეც ბათუმშია... "დარისპანის გასაჭირი" რომ

ჰქონდათ ჩამოტანილი, იმ სპექტაკლის მხატვარი... ნოდარ გაფრინდაშვილი — გერმანიაში, მედიკო ბაქრაძე, რუსიკო კიკნაძე... საოცრად კარგად ხატავდნენ. მას შემდეგ ასეთი ძლიერი მხატვრები, თანაც ქალბერი არც მინახავს, ერთმანეთისგანაც ბევრს ვსწავლობდით... რომ ვუკვირდები, ფარნას მაინც ყველაფერი ფერწერასთან მიჰყავდა, მისთვის მთავარი კოლორიტში თბილი ან ცივი ფერების დადება იყო, თორემ სცენის აგებულება არ უსწავლებია. თეატრშიც ნაკლებად დავდიოდით, თავისი სპექტაკლების შემდეგ კი გვიყვებოდა ხოლმე რალაცეებს, მაგრამ აკადემიაში ისეთი აკადემიური სულისკვეთება იყო, რომ ფარნა, თითქოს სწორედ ფერით ანგრევდა ამ აკადემიზმს. გვეუბნებოდა, რომ ფორმასა და ხაზზე მეტად ფერზე გადაგვეტანა ყურადღება. ჩვენთან მირიანი ხატავდა ძალიან კარგად, უშანგი იმერლიშვილი... გოგი მესხიშვილი ერთი ხელის მოსმით ხატავდა. აქ პრიორიტეტი უფრო გრაფიკოსებს აქვთ, მაგრამ ხელობის სწავლა რასაც ჰქვია, ჩვენც კარგად გვასწავლიდნენ და ვსწავლობდით... დღეს კი, რატომღაც მგონია, რომ ხელობას — ხატვას ნაკლებად ასწავლიან. იმ დღეს გადაცემას ვუყურებდი და... პირველად საქართველოში შიშველი ფიგურის გამოფენააო!.. აბა, მოქანდაკემ რა უნდა გააკეთოს, ნატურმორტს ხომ არ გააკეთებს, აღარაფერს ვამბობ აბაკელიასა და ქობულაძეზე... მაშინ ისინი რალაცეებით ნიღბავდნენ სხეულს, კალათას დააჭერინებდნენ ხელში ან თავთავს, ამ დროს კი საოცრად მაღალ დონეზე შესრულებული ნახატი იყო. შეუძლებელია ხატვა სწავლის გარეშე! აბა, შეხედეთ სურიკოვის სასწავლებელს, ლენინგრადის აკადემიას, მათი ნამუშევრები რომ ნახოთ, გოცდებით... პედანტურად კი არ ვუდგები, იმ დროს ისიც ვიცოდი, რომ იყო რაუშენბერგი, რომელიც მერე ზურა წერეთელმა ჩამოიყვანა თბილისში და გული დამწყდა, რომ ვერ ვნახე, იყო ჯასპერ ჯონსი... მაშინ კოკა იგნატოვმა არაჩეულებრივი ნიგნი მაჩუქა ჯიმ დაინზე. ვიცოდი, რომ იყო პოპარტი, რომ პოპარტში ყველაფერი თეატრალიზებულია და მეც უფრო თეატრისკენ ვიხედებოდი. მაშინ გამოფენაც კი გავმართეთ გალერეაში, გატანილი მქონდა ნახატი — რუსული ეკლესია მთანმინდაზე, ერთი კაცი ზემოთ და იქვე, ორი კაცი

ქოლგით... მირიანი მაშინ დიდი გერმანელი მხატვრით — პაულ კლევთი იყო გატაცებული, მირითი და სწორედ მათი გავლენით ჰქონდა რალაცეები გაკეთებული, ვაჟა ჯალალანიაც იქ იყო... ერთი დღის მერე გამოფენა დაგვიხურეს... რა ვიცი რატომ? რატომ ხურავდნენ მაშინ? დრო იყო ასეთი... ინტერნეტი არ იყო, ინფორმაცია ცნაკლებად გვექონდა, ჟურნალ "ტვორჩესტვოდან" აკადემიური მხატვრობის შესახებ ასე თუ ისე, ყველაფერს ვიგებდით, მაგრამ ვიცოდით, რომ ჟურნალი "ამერიკა" გამოდიოდა, რომ თვის ბოლოს მეგახეთებთან უნდა მივსულიყავით და მანეთი თუ ღირდა, ათ მანეთად გვეყიდა. ამ ჟურნალების თვალთვლებისას ბევრჯერ გამკვირვებია, რომ მე, სოხუმელი ბიჭი, რომელიც პლაჟზე გავიზარდე, დღე-ღამე ქვიშის მეტს არაფერს ვხედავდი და მხოლოდ ის მესმოდა — ეს ქურდია, ის ქურდია!.. ასეთ გარემოში ვიყავი და უცებ... ვფურცლავ ჟურნალს და მომწონს მხატვარი, რომელიც ბოლოს ცნობილი პოპარტისტი რაუშენბერგი აღმოჩნდა... ამ სოხუმელ, საბჭოთა ნყობილებაში გაზრდილ კაცს, მით უმეტეს ისეთ ქალაქში გაზრდილს, რომელსაც "გოროდ ბებ ფრაეროვ" ერქვა, მომწონს ენდი ვორჰოლი, ან ფრენკ სტელა,

ან ჯასპერ ჯონსი!.. რატომ მომწონს?.. რა ვიცი, მომწონს და ესაა მთავარი... გენიალურ ფილმებს ვნახულობდით მაშინ, გოდარის "უკანასკნელ ამოსუნთქვაზე", ბელმონდოს მონანილეობით, ფელინის, ბერგმანის ფილმებს, თუნდაც "მარწყვის მდელი"... მათ ისეთი გავლენა იქონიეს თავისი სიმბოლოებით, რომ მგონი დღემდე არა ვარ იმ შთაბეჭდილებიდან გამოსული... ოთარიოსელიანის, მიშა კობახიძის ფილმები... ახალგაზრდები ვიყავით, ვისხედით, რალაცეებზე ვსაუბრობდით, ახლა კი "შაბათის შოუს" უყურებს ყველა და ყველაფერი მასკულტურისაკენ მიდის... თითქოს, მაშინ უფრო შეზღუდული იყო ქვეყანა, მაგრამ ისეთ ფილმებს, რაც მაშინ მაქვს ნანახი, ახლა ვერ ნახავ... ამ ფილმებ-მა დიდი გავლენა იქონიეს ჩემზე, "თეატრპერფორმანსისაკენ" მიბიძგეს, სადაც მხატვარიც ხარ, რეჟისორიც, მსახიობიც და მაყურებელიც გყავს. ჩემი თაობა ომის შემდეგი თაობაა, დაკარგული თაობა და მხატვრობაშიც თითქოს ასეა... ჩვენები აქეთიქეთ წავიდნამოვიდნენ, შემდეგი თაობა — ცეცხლაძე, სუთიძე, ტიმჩენკო უფრო გამთლიანდნენ, ერთობლივ გამოფენებს აწყობენ, ჩვენ კი ცალცალკე ვიყავით, ყოველდღე კი ვხვდებოდით



რობიკო



ახლა პირველად ხდება ჩვენთან, მე გამომარჩიეს და ოქროს მედალი მე მომანიჭეს, მაგრამ რუსთაველის თეატრში მუშაობამ სხვა საფეხურზე ამიყვანა... პრადის კვადრიენალზე კი... გულდასაწყვეტია, რომ მაშინ იქ არ ვიყავი.

რუსთაველზე მოვდიოდი და გოგი გუნია შემხვდა, ჩანთა გადაკიდებული... — თემო, რა კარგია, რომ გნახეო, მითხრა, — პრივეტ, გოგი, როგორ ხარ მეტეი... გენიალური კაცი იყო გოგი, თეატრალური სექციის გამგე. ჰოდა, იმ დღეს მან პირველმა მომილოცა, არც ვიცოდი რას მილოცავდა... იმ პერიოდში ჩვენ ისეთ გზას ვეძებდით, ისეთ საშუალებას, რომ თანამედროვეობას არ

ერთმანეთს, მაგრამ ლიდერი არ გვეყოლია, ისეთი გამოფენა რომ მოგვეწყობა, აქაური შეხედულებები გადაგვეტრიალებინა...

ფერმწერისათვის გზა უფრო რთული გასაკაფია, ვიდრე სცენოგრაფისათვის, სპექტაკლი ჰარმონიულია, იგი მთლიანად წარმოგაჩენს! თეატრმა კარგი სამსახური გაგვინია, ნაკლები ბრძოლა დაგვჭირდა საკუთარი თავის დასამკვიდრებლად. რობიკოს გენიალური სპექტაკლების აფიშაზე მისი გვარის გვერდით რომ მხატვარი — თემურ ნინუა წერია, ეს უკვე რაღაც ადგილს მოგაპოვებინებს სამყაროში, მით უმეტეს, როდესაც შენს თვალწინ “ყვარყვარე”, “რიჩარდი” იდგმება... აქედან გამომდინარე, თითქოს ჭკუა ვიხმარე და რისი გაკეთებაც მინდოდა, თეატრში უფრო შევქელი. სხვადასხვა თეატრში ბევრი კარგი სპექტაკლის კარგი დეკორაცია გამიკეთებია, მაგრამ სწორედ რუსთაველის თეატრის სპექტაკლებმა გაითქვეს სახელი და ძალაუნებურად მეც გამოვჩნდი. მართალია, პრადის კვადრიენალზე მქონდა ოქროს მედალი აღებული, უამრავი კვადრატული მეტრის ფართობზე გამოფენილ თეატრალურ მხატვართა, არქიტექტორთა ესკიზებში, ნამუშევრებში — პერფორმანსებში, ინსტალაციებში, პოპარტში, იმ ყველაფერში, რაც თითქოსდა

ჩამოვრჩენოდით. თბილისის გამოფენაზე გატანილი ჩემი ნამუშევარი შემდეგ მოსკოვში, მანუში აღმოჩნდა, შემდეგ პრალაში ამოყო თავი, ისე რომ, არც ვიცოდი გაგზავნილი თუ იყო და იმ საღამოს საინფორმაციო გადაცემა “ვრემიაში” ვისმენ, — Молодой художник из Грузии получил на Пражской квадриенале золотую медаль!.. პირი დავაღე... ხელოვნებათმცოდნე ერიკ კუზნეცოვმა, რომელმაც ფიროსმანზე დაწერა წიგნი და არც ვიცნობდი, დამირეკა, მომილოცა...

კარგი ურთიერთობა გვქონდა რუს, ლატვიელ, ლიტველ სცენოგრაფებთან, ისინი ჩამოდიოდნენ, თეატრალურ საზოგადოებაში გამოფენებს აწყობდნენ, მერე ჩვენ ჩავდიოდით, იქ ვაკეთებდით გამოფენებს. ვილნიუსში სპექტაკლი რომ გავაკეთე, ის ბიჭები შემხვდნენ, თეატრის მხატვრები, რომლებიც დღეს ჩვენსავით ერთადგილას კი არ არიან გაჩერებული, არამედ რადიაციებს იგონებენ, აკეთებენ, წინ მიდიან, იქნებ იმიტომ, რომ საშუალება მეტი აქვთ. ნეკროპოლისის სპექტაკლი “ჰამლეტი” რომ ვნახე, მართალია იქაც რეჟისორზე იყო ყველაფერი დამოკიდებული, როგორც აქ — რობიკო სტურუაზე, მაგრამ ილუზიონისტ კოპერფილდის დონეზე გაკეთებულ ფოკუსებსაც

ხომ მოფიქრება და გამოგონება უნდა, ყველაფერი კი რეჟისორთან ერთად მხატვრის გაკეთებული იყო... ერთ გადაცემაში მოვისმინე, ახლა თეატრის მხატვრობა რეჟისორობის დონეზე ავიდაო, მე კი მგონია, რომ ადრე უფრო იყო ასე. რობიკოს რამდენჯერ უთქვამს, რაც გინდათ გააკეთეთ, მე გამოვიყენებო! ასეთი რეჟისორის ასეთი სიტყვები უდიდესი სტიმულია, შენ დამოუკიდებლად აღიქვამ ნაწარმოებს და შემდეგ რეჟისორი ხედავს იმას, რაც თვითონ არ დაუნახავს და იყენებს. თეატრში შეგიძლია გააკეთო ის, რაც გინდა, რა თქმა უნდა, რეჟისურიდან გამომდინარე... მარჯანიშვილის თეატრში დათო ანდლულაძემ სტოპარდის “როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდარნი არიან” რომ დადგა, იქაც მქონდა თავისუფლება. დათო ჭირვეული ადამიანია, მაგრამ ჩემს ნებაზე მიმიშვა და ნორმალური სპექტაკლი გამოვიდა. სცენაზე ქვიშა ეყარა... მარჯანიშვილის თეატრში მაყურებელი სცენასთან ძალიან ახლოს ზის და პირველი რიგიდან არაფერი ჩანდა. სპექტაკლის დაწყების წინ ზურა სტურუა და მიშა გომიაშვილი ნახევარი საათი ამ ქვიშაში იყვნენ ჩამარხული და გაკვირვებული მაყურებლის თვალწინ მტვერში ამოგანგლულები ამოდიდოდნენ. გოგი ქავთარაძემაც, როცა ქუთაისში “კორიოლანოსს” დგამდა, მითხრა, რაც გინდა გააკეთო. მერე ბრატისლავაში გორკის “ფსკერზე” დადგა და იქაც, რაც მინდოდა, ის გავაკეთე. პიესის გმირი ზოგი მოქანდაკე იყო, ზოგი — მხატვარი და ერთერთი გმირის სახელოსნო გავაკეთე, ოღონდ ეს სახელოსნოც ქვიშაში იდგა...

ჩემი პირველი სპექტაკლი გრიბოედოვის თეატრში, ნახუცრიშვილის “კომბლე” იყო, ალექსანდრე ტოვსტონოგოვის დროს. მერე ვილაძემ ვილაძას უთხრა — ახალგაზრდა მხატვარი ბიჭია, ნინუა, აიყვანეო! გოგი მესხიშვილთან ვმეგობრობდი, იმანაც შემაშველა სიტყვა, სხვათა შორის, ყანჩელმაც და მოვხვდი ქართულ მოზარდში... ორი წელი მთავარი მხატვარი ვიყავი მაშინ, როდესაც ეს თეატრი რუსთაველზე იყო... გავაკეთე “რობინ ჰუდი”, “ბურატინო”... ჩემთვის ერთმანეთისაგან არ განსხვავდება საბავშვო სპექტაკლი და სპექტაკლი დიდებისათვის. “ბურატინოში” ძაღლებს ამერიკელი ჯარისკაცების ჭრელი ფორმა ჩავაცვი. წარმოიდგინეთ, ორი ძაღლი

თავისი სამხედრო აღჭურვილობით, ანტენებით, სათვალეებით... პოლიციელი — აბჯარში ჩაცმული დონკიხოტი... შეიძლება ბავშვებისათვის ცოტა მოულოდნელი იყო ასეთი გადანწყვეტა, მაგრამ მაშინ მათზე არ ვფიქრობდი, უფრო ორიგინალობაზე ვიქაჩებოდი, რაღაცეებს ვიგონებდი. “რობინ ჰუდი” ეს იყო რაღაც კოლოფი, რომელსაც ბევრი უჯრა ჰქონდა, ერთ უჯრას გამოსწვევდი, გილიოტინა იყო, გამოსწვევდი მეორეს — შერვუდის ტყე... მართალია, “ნითელქუდაც” გავაკეთე, სადაც მგელი მგელი უნდა ყოფილიყო, ვერ შევცვლიდი...

...მერე ვილაძემ საშა რეხვიაშვილს უთხრა ჩემზე და მოკლემეტრაჟიან ფილმზე “მწვანე ველი” დამიძახა, სადაც ზურაბ კიკალეიშვილი თამაშობდა... საშამ მითხრა, —რად გინდა თეატრი, იქ კოლექტიური მუშაობაა, ფერწერას მიხედვით. თეატრში როგორც კი მოხვდები, ისე ჩავითრევს, უკან ვერ მოიხედავო. თეატრმა განსაკუთრებული ლიტერატურის კითხვა დამაწყებინა, ფილმსა თუ სპექტაკლზე. მუშაობისას, ჩემდაუნებურად, კითხვა მიწევდა. ლიტერატურას კარგად გავცანი, მაგრამ ისეთსაც არა, რომ ტვინის საჭყლეტი ყოფილიყო, დოსტოევსკის ან ფოლკნერის კითხვას, მე უფრო სელინჯერის, აბდაიკის ან ვონეგუტის კითხვა მიჩვენია. მხატვრობასაც უფრო მსუბუქად, თამაშით ვეკიდები. ამიტომაც მიჭირს ამ ბოლო დროს, მინდა რაღაც ისეთი, ძალიან ღრმა გავაკეთო და არ გამომდის, რასაც უფრო ადვილად ვეკიდები, ის უკეთ გამომდის...

რეჟისორისა და მხატვრის შეხვედრა ნაწარმოების თემითაც არის განპირობებული. მარჯანიშვილის თეატრში თემური ჩხეიძესთან ერთად ჯავახიშვილის “ლამბალო და ყაშა”ზე ვიმუშავე... 1914 წელი, მსოფლიო ომი... გავაკეთე კედელში ჩარჭობილი თვითმფრინავი, იატაკზე დაჭედებული უშველებელი ტანკსანინალმდეგო ლურსმნები... თემური ისეთი რეჟისორია, რომ სანახაობით მხარეს დიდ ყურადღებას არ აქცევს. ჩემი დეკორაცია თემურის გარემო არ აღმოჩნდა, იმ თეატრისათვისაც არ იყო სახასიათო და სპექტაკლმა დიდხანს ვერ იცოცხლა, თემურსაც იმის შემდეგ ჩემთვის არ დაუძახია.

...სერგო ფარაჯანოვმა ბოლო ფილმის, “აღსარების” გადაღებაზე მხატვრად



მიმინვია. თითქმის ნახევარი ფილმი გადაღებული ჰქონდა, რომ გაკვირვებულმა ვკითხე, მხატვარი რაში გჭირდება-მეთქი?.. მართლაც, ყველაფერს ისე აკეთებდა, რაში უნდოდა მხატვარი, მაგრამ რატომღაც ასე გადაწყვიტა... დიდი ხნის შემდეგ, რუსთაველზე მხატვართა კავშირის წინ ბირჟაზე ვიდექით, შემხვდა და მითხრა, — თემო, ხუთი მანეთი არა გაქვსო?.. — სამი მაქვს-მეთქი, — იყოს სამიო და... ტარკოვსკის გაგაცნობო!.. სამ მანეთად ტარკოვსკი გამაცნო... ფარაჯანოვთან ურთიერთობამაც დიდი გავლენა იქონია. კონკრეტული არაფერი უსწავლებია, უბრალოდ, ისევ იმ პოპარტს დაეუბრუნდები, არაფრისაგან ხელოვნებას ქმნიდა, მისთვის ეს შეიძლება თამაშის დონეზე იყო და არა ხელოვნების, მაგრამ ყველას არწმუნებდა, რომ შედეგს ქმნიდა, თავისი ხელოვნების კომივოიაჟორი იყო! ვერ გეტყვით მოსწონდა თუ არა, მაგრამ რომ მივიდოდი, მაჩვენებდა, — ნახე, რა გენიალური რამე გავაკეთეო! ცდილობდა მოგწონებოდა. დეტალებისგან რაღაცის შექმნა გვასწავლა. ჩვენ, თეატრის მხატვრებს, საერთოდაც გვექონდა ნივთის ამგვარი განცდა, მან კი გავგიძლიერა. მაგალითად, სპექტაკლში "ნახვის დღე", სტურუასთან ერთად გოგა თავაძემ რომ დადგა, მაკეტის კეთებისას მაგიდაზე ვაშლი დავდე... შევხედე, მომეწონა და დავტოვე. ეს დეტალი რობიკომაც არ ამომადლებინა, გამოიყენა და სცენაზე უშველებელი ვაშლი გაჩნდა. რაღაც ჩვეულებრივ ნივთს უცებ რომ სხვანაირად დაინახავ, ილუზიასთან გვაქვს საქმე... იმიტომაც ვახსენე კოპერფილდი ნეკროშიუსთან, თამაშის წესი იქაც ამაზე იყო აგებული. ბევრჯერ მიფიქრია, შევცვლიმეთქი, მაგრამ რეჟისორს გადაუკეთებია.. ისევ ყოფილა, რომ რეჟისორს კატეგორიულად განუცხადებია — ეს მინდაო და არ გამიკეთებია! მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ ასაკს რა მნიშვნელობა აქვს, მაკეტის კეთება ხელგარჯილობაა, რასაც აკეთებ — პატარა მასშტაბში აკეთებ: მაგიდას, როიალს... მოვიდა რეჟისორი, უყურა, მერე ფუნჯს მოჰკიდა ხელი და... ეს არ მჭირდება, ის არ მინდა, დაუდევრად გადაადგადმოვადო, — შენ არ გჭირდება, ნუ გჭირდება... ხელი ჩამოვართვი, კარგად იყავიმეთქი და ასე დავშორდით. ძნელია, მაგრამ რას იზამ...

ბოლო სპექტაკლი სამეფო უბნის თეატრში გავაკეთე ნიკა თავაძესთან. ფრანგული ყოფითი პიესა, სადაც მოქმედება სასტუმროს ნომერში ხდება. მივხვდი, რომ გასათამაშებლად ძნელი, თან მოსაწყენიც იქნებოდა. რეჟისორს კი, სახეზე შევატყვე, რომ ჩემს სურვილს ვერ მიხვდა, მერე რაღაც გეოგრაფია დახაზა — აქ კარი მინდა, მეორე კარი კი აბაზანაში გადისო... ახალგაზრდა ბიჭია, მთხოვა, მეც არ დავიზარე, დავჯექი და გადავაკეთე და რომ შეხედა, — თემო, ასეთი არ მინდოდა, ისევ ის ჯობიაო!.. დავანახე, რომ რაც უნდოდა, ის არ ვარგოდა. ისიც მიხვდა და მერე უკვე ყველაფერში გამოიყვანა. კი არ ვამბობ, — დედა, ეს რა გავაკეთე, მაგრამ მსახიობისათვის სათამაშოდ მოსაწყენი არ იყო.

...ჩემი და რობიკოს შეხვედრა, არ ვიცი რამდენად რობიკოსათვის, მაგრამ ჩემთვის საინტერესო გამოდგა. მნიშვნელოვანი იყო რუსთაველის თეატრში ყოფნა და ამიტომაც ვარ ამ თეატრში. დღე და ღამ ერთად ვიყავით, რობიკოს საერთოდ ბუნებაში აქვს ახალგაზრდებთან ურთიერთობა, — ეს მახალგაზრდავებსო... მაგრამ ამ ურთიერთობით მე უფრო მეტი მივიღე მისგან. პრაქტიკულად, მან აზროვნება მასწავლა... მაგალითად, ჩემთვის ხაზგასმით მნიშვნელოვანია სპექტაკლში ფიგურის გამოყენება. მახსოვს, "ხანუმაში" ვიღაც ტიპი იჯდა სცენაზე, არაფერს აკეთებდა, მხოლოდ გაზეთს ჩასჩერებოდა, სახეც კი არ ჩანდა მისი, მაგრამ ეს ტიპი რობიკოსათვის რაღაცის სიმბოლო იყო!.. ჩემი პირველი ფიგურა სტურუას მიერ ოპერაში დადგმულ "შუშანიკის ნამებაში" გაჩნდა, საორკესტრო ორმოსთან მჯდარი ჩალმიანი კაცი, რომელიც თითქოს დირიჟორობდა. შემდეგ, "დაკრძალვა კალიფორნიაში", როდესო შემოღობილ მოედანს უკან — კოვბოების ბრტყელი ფიგურები... მერე გოგი ქავთარაძესთან სპექტაკლში — "ფსკერზე" — კათოლიკურ ეკლესიებში მიღებული ქრისტეს ფიგურა... სპექტაკლიდან სპექტაკლში, ფაქტობრივად, ერთი და იგივე გამოსახულება გადამყავს. განსაკუთრებულად არც დავფიქრებულვარ, თუ რისი სიმბოლოა, ჯერ ერთი, ლამაზი დეტალია, მეორეც, იგი მაყურებელთან ერთად მეთვალყურეა... იქნებ — მე ვარ!.. თან აქ არის, თან განყენებულია... კაცი რომ დაუკვირდეს, ყველა ჩვენი სპექტაკ-

ლის ეს თანმდევი ფიგურა იქნებ რეალური პიროვნებაა, თანამოქალაქე, იქნებ სულაც ზოგადი სახეა... მესამე თვალი... "ჯარისკაც-სა და... პრეზიდენტი..." ის ჩვეულებრივ სამოსში გახვეული ანგელოზია, ოღონდ, ხელფეხსეკრული, სახედაფარული, თავით ჭერსმიბჯვნილი, ვერსად წამსვლელი... შეიძლება, ყურადღებასაც არავინ აქცევს, ბუღალის პიესამიკარნახა-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ სპექტაკლში ანგელოზები რომ ყოფილიყვნენ, ეს აზრი რეჟისორთან ერთად გამიჩნდა. მე მგონი, ბიბლიაშია, იაკობი რომ დასასვენებლად წამოწვა და დაესიზმრა ცისკენ აღმავალი კიბე, რომელზეც ანგელოზები ადიოდნენ და ჩადიოდნენ... გვინდოდა, ჩვენს ანგელოზებს ჰეარში დაკიდებულებს პეპლებივით ეფარფავათ, ასე ელაპარაკათ, ემოძრავათ. არ გამოვიდა... მაგრამ ამ სპექტაკლში რობიკომ რაღაც ახალ თეატრალურ ხერხს მიაგნო, რომელსაც ბოლომდე ვერც ვხვდებით...

ჩემთვის "სტიქსი" ერთერთი მაგარი სპექტაკლია სტურუას შემოქმედებაში... თავიდან სულ არ მქონდა გააზრებული, რომ ეს იყო მდინარე, რომლის ერთ მხარეს მიცვალებულები დგანან, ხოლო მეორე მხარეს — ცოცხლები. რობიკოს რომ ვუთხარი — როგორც პოდიუმზე მოდიან მანეკენები, მსახიობებიც ასე გამოვიდნენმეთქი, ყველანი ერთნაირები, სულ თეთრებში... თეთრი ფხვნილით მოფარულ იატაკზე ფეხის ნაკვალევი რჩება, სკამებზე სხდებიან, ეცემიან... სიმბოლიკისაკენ მივიდიოდი და მსახიობების მსგავსი ერთიორი ფიგურა გავაკეთეთ ანუ რაღაც აქ ხდება და რაღაც — იქ... კარგი კი იქნებოდა, რომ დაგვეტოვებინა, მაგრამ სხვას არ უნდა ენდო, ყველაფერი თავად უნდა გააკეთო... ბოძზე რომ ფიგურაა, რობიკომ მოიფიქრა... ძაღლის ფიგურაც თავიდან აქ გამოვიყენე, რაღაცნაირად ცირკს დაემსგავსა... ამ ბოძმა, ამ ორმა თეთრმა კედელმა და ფიგურამ "სტიქსში" განსაკუთრებული განწყობილება შექმნა, ჰარმონიულად ერთმანეთს გადახლართა კოსტიუმი, დეკორაცია, მოძრაობა, თვითონ ყანჩელის მუსიკა ბაშმეტის შესრულებით, გუნდი ჯანსუღ კახიძის დირიჟორობით... სტურუა ხომ არის და არის და მეც რომ რაღაცნაირად პატარა წვლილი შევიტანე, ასეთი სიტუაციის მონაწილე, თანაშემოქმედი რომ ვარ, ამას

დიდი მნიშვნელობა აქვს!. რობიკომ მთელ ქართულ თეატრზე იმგვარი გავლენა იქონია, რომ სხვა თეატრში სპექტაკლს ვეღარ ვუყურებ, მბეზრდება, არ მომწონს, ეტიუდების დონეზეა გაკეთებული... რამდენ ახალ სპექტაკლსაც არ ვნახავ, ყველა ერთმანეთს ჰგავს, ახალგაზრდა რეჟისორებს პატივს ვცემ, მათთან მიმუშავია კიდევ, მაგრამ იმ ასაკში, რა ასაკშიც ახლა თვითონ არიან, რობიკოს უკვე "სელიემის პროცესი" ჰქონდა დადგმული, "ყვარყვარე" ... ისინი კი ვერა და ვერ გამოვიდნენ რობიკოს გავლენიდან!. ეს სტილი კი, მხოლოდ ამ კაცის არის, დამთავრდა, მორჩა! ვერაფერს იზამ!...

ნუკრი ქანთარასთან ერთად თელავში "რიჩარდ II" დავდგით. კარგი სპექტაკლი გამოვიდა და დეკორაციაც ძალიან კარგად გამოიკეთეს. დაზგა — ორ იარუსად — ცა და მიწა, სცენის სივრცეზე გადაჭიმული პარაშუტის ნაჭრები... მახსენდება, რომ მაშინაც ანგელოზები მქონდა.

მარჯანიშვილის თეატრში — "ნატაძრალის" დეკორაციაში წრეზე დიდი ლოდები დავალაგეთ. ქვებს გადაადგილებდნენ, რაღაცას აშენებდნენ, ტაძრის კედელში ბიჭის ჩასატანებლად იყენებდნენ. ამიტომაც მათ მისტიკური სიმბოლიკა მივეცი, ისეთი, როგორც ინგლისში წინაქრისტიანული, წართული ხანის საიდუმლო სალოცავი ადგილი — სთოუნხენჯია. მაკეტში ძროხის და ხარის ფიგურები სპექტაკლიდან ამოვარდა, მაგრამ გაკეთდა ცხენის ლეში, ფიტული, იქვე იყო ექსკავატორის კოვზი, ვაგონეტკები მიდიმოდიოდნენ... თითქოს რაღაც უნდა მომხდარიყო, უნდა დაენგრიათ ან აეშენებინათ, ან გაესხვისებინათ... სხვათა შორის, ეს სპექტაკლი ედიშერ მალალაშვილის ბოლო სპექტაკლი იყო... ნუკრი რომ ერთხანს გარიყული იყო, ვილნიუსში მიიწვიეს და ძალიან მორიდებულად მითხრა, ხომ არ წამოხვალო. მასთან ერთად რუსულ დრამატულ თეატრში შილერის "ყანალები" გავაკეთე. ლამაზი სპექტაკლი იყო, ორ ნაწილად გაყოფილი სცენა, აქეთ — ინტერიერი, იქით — ბაღი, მოდიოდა თოვლი... ვილნიუსი ხომ ცნობილი თეატრალური ქალაქია, ყველაზე მაგარი რეჟისორები, სცენოგრაფებიც აქ არიან... თვითონ ვილნიუსელებიც კმაყოფილები დარჩნენ და ნუკრისთან მუშაობაც საინტერესო გამოდგა.

...ცხოვრებაში რაღაც დაუკმაყოფილე-

ბლობის გრძნობა მაქვს, ლექსი არ დამინერია და ამიტომ ვცდილობ ჩემი სათქმელი სიმბოლოებით ვთქვა. ჩემი მეგობარი მხატვრები ხანდახან მსაყვედურობენ, სიზმრები ცხადში გადმოგაქვს და სპექტაკლში სიმბოლიკას დიდ მნიშვნელობას ანიჭებო... ქვეცნობიერად ყველაფერი ილექება, ხანდახან დეკორაციაში ისეთ არქიტექტურულ დეტალს თუ ნაწილს ჩავდგამ, რომელსაც პიესასთან არავითარი საერთო არა აქვს, მაგრამ ბავშვობის ხსოვნებიდან გამოყოფილი, ზღვისპირეთის ქალაქისათვის დამახასიათებელი დეტალია — რიკულები, პალმა, ნავი... მას შემდეგ, რაც მცირე სცენაზე გიზო ჟორდანიასთან ერთად ახალგაზრდული დასი მოვიდა, მათი სპექტაკლების უმეტესობა მე გავაკეთე. მცირე დარბაზში სცენის ამოძრავების საშუალება არ არის, ამიტომ ვცდილობდი ეფექტებით მემუშავა. მაშინ სამხატვრო საბჭო იყო და “ჰამლეტის” მაკეტს რომ იღებდნენ, —აქ ნავს რა უნდაო? გიზომ უპასუხა, —ამ ნავით ჰამლეტი ინგლისში მიდისო! ამას ნინათ “კულტურაზე” ლენინგრაძელების დადგმულ “ჰამლეტს” ვუყურე... ჩვენ როდის გვექონდა ასეთი კოსტუმები?.. პოლონიუსი პალტოში, ბეისბოლის ჯოხით, დანარჩენებიც პალტოებში, შლაპებით... დეკორაციად უშველებელი სარკეები გამოვიყენეთ, მსახიობები მრავალგანზომილებიანი გამოსახულებით გამოდიოდნენ, მოჩანდა ვეფხვი... მერე ეს ვეფხვი გადავლებე და სხვა სპექტაკლში შევიყვანე, ახლა “ჯარისკაცსა და...პრეზიდენტში...” მყავს. ბათუმში სპექტაკლი რომ გავაკეთე, ახალგაზრდა მსახიობია ზანგური და იმან მითხრა, —ბატონო თემო, ვერც ერთ ცხოველს ვერ ვხედავ და რაშია საქმეო?..

მაგონდება, ბათუმის სპექტაკლებიც. “დაისი” — გოჩა კაპანაძის დადგმით, სადაც 20იან წლებში ხდებოდა მოქმედება, მხატვარი მურაზი იყო, მე კოსტუმები გავაკეთე და მეორე, ფრანგული პიესა “მამურე”, რომლის რეჟისორიც ახალგაზრდა კაცია, გვარად ნემსაძე. რეჟისორს სურდა, ყველაფერი იმ ქალაქს დამსგავსებოდა, სადაც სპექტაკლს ვდგამდით. ბათუმში იუგენდსტილის, მოდერნის არქიტექტურაა, გენიალური სახლები და... ყველაფერი ბათუმში გადმოვიტანეთ, პალმა, იქვე თეატრი, შენობები, აივნები...

რეჟისორის გადანყვეტა მომენონა და ესკიზები რამდენიმე დღეში გავაკეთე. საერთოდ სწრაფად ვმუშაობ, იტყვიან, — რა უნდა, ხუთ წუთში დახატავო! ხუთ წუთში კი დახატავ, მაგრამ მანამდე რამდენი ფიქრი და წვალება უნდა, რამდენ ესკიზს, კროკს აკეთებ, განათებიანჩაცმულობიანად, მაგრამ რეჟისორებს თავიანთი ხედვა აქვთ და არ ვეჭიდავები. ახალგაზრდობაში მეგონა, რომ განათება ჩვენი პრეოგატივია, მხატვრების, და ასეც არის, მაგრამ სტურუა ისე ანათებს სპექტაკლს, რომ ჩარევა საჭირო აღარ არის. არ მომწონს მოდაში შემოსული საკონცერტო განათება, სცენაზე ვარსკვლავები, იქედანაქედან ფიფქები... მე ის, ნამდვილი თეატრალური განათება მომენატრა, რომლის ვაკეთება ახალი აპარატურითაც შეიძლება. სტურუა თვითონ ხატავს, ის დიდი მხატვრის შვილია და როცა რაღაცას აკეთებს და ვეუბნები — ეს არ ივარგებსმეთქი! სულ სხვანაირად გრძნობს ყველაფერს, გისმენს, გეთანხმება, როდესაც ატყობს რომ შენთვის რაღაც მნიშვნელოვანია და ამით მნიშვნელობას ანიჭებს საქმეს, რომელსაც შენ ემსახურები...


ბათუმში საოცრად უყვართ თავისი თეატრი, როცა მოვდიოდი, მთელმა თეატრმა გამომაცილა... სადგურზე მატარებლის მეშვიდე ვაგონს ვეძებდი და უცებ — ბატონო თემურ, აქეთ, აქეთ!.. გამოვიხედე და დავინახე ბაქანზე, სკამებზე გაშლილი სუფრა და მთელი თეატრი მსახიობებიანად... ერთი ქობულეთში დაგვენია, შამპანურებით...

სპექტაკლი სოხუმელებთანაც გამიკეთებია. ჭუბერიდან რომ ჩამოვიდნენ, აღარაფერი ჰქონდათ, რობერტმა დიდი სიკეთე გამოიჩინა, როცა ისინი შეიკვდლა. რუსთაველის თეატრის მხატვარი ვიყავი და სპექტაკლის კეთება რომ დაიწყეს, ყველანაირად ვცდილობდი, აქაური ბაზით დავხმარებოდი. “სრბოლა” დათო ხინიკაძემ დაიწყო, მერე რობიკომ გააგრძელა, რა კონცეფციაც დათოს ჰქონდა, სულ ამოატრიალა. ჩერნოტა დათოს გააზრებით გმირი იყო, სტურუამ კი “პიროკების” მომგროვებლად აქცია, თან ქალების პანელზე გამშვებად. იმ პერიოდში დათო ანდლულაძესთან სტოპარდის პიესას ვაკეთებდი, ცოტა დიდხანს მოვუნდი მაკეტს და

ხინიკაძე მსაყვედურობდა. უნდოდა ტირი ყოფილიყო, სრბოლა, ჩემოდნები, ლტოლვილები... როცა გავაკეთე, დეკორაცია სწორედ ჩემოდნებით ავანყე. — ანდლულაძის მაკეტს ერთი თვე მოვუნდი და ჩემი სამ დღეში გააკეთეო!.. სამ დღეში კი არა, შეიძლება ერთ საათში ისეთი გააკეთო, რომ ყველაფერს აჯობოს... სპექტაკლი სოხუმის და რუსთაველის თეატრების ერთიანი ნამუშევარი იყო, დათო პაპუაშვილი, ლევან ბერიკაშვილი თამაშობდნენ, მაშინ თამაზ ნადარეიშვილი ცოცხალი იყო და შერვაშიძის პრემია მომანიჭეს. სხვათა შორის, პლაკატიც კარგი გამოვიდა, მერე გოგიმ ამერიკაში წაიღო, რობიკომაც სადღაც წაიღო საჩვენებლად...

რაც შეეხება კოსტუმს, იყო პერიოდი სტილიზებულ კოსტიუმებს ვაკეთებდი. კუტიურებს თავისი შემოქმედება პოდიუმზე გამოაქვთ, თეატრში კი გინდა, რომ კოსტუმი ცოტა ორიგინალურიც იყოს, ამავე დროს, გმირიდან გამომდინარე და მსახიობმაც თავისუფლად ატაროს. არ დამავინწყდება, გრიბოედოვის თეატრში გიზო ჟორდანიამ ვარფოლომეევის პიესა დადგა, მე მხატვარი ვიყავი და მსახიობ-მალევიწმა მითხრა — ქერჩის ომს გადაფურჩი, მაგრამ თუ მოკვდი, შენი კოსტუმი

მომკლავსო! ჩემი ხელით დავაკერე რაღაცები და ისეთი მძიმე იყო, მსახიობი ვერ ინძრეოდა, მაგრამ — არა, ასე უნდა იყოს, უნდა ჩაიცვამეთქი!.. მხოლოდ შემდეგ, ნელნელა დაკარგა ამან მნიშვნელობა. სცენოგრაფია, დეკორაცია, ერთიანი დაზგა იცვლება, მაყურებელი კი, მაინც მსახიობიდან გამომდინარე აღიქვამს ყველაფერს და კოსტუმი შესაძლოა მნიშვნელოვან ფერადოვან ლაქად იქცეს. ახმეტელის თეატრის “მილიონერი ქალის ვიზიტში” დიდი თეთრი კაბა, იამამოტოსთან ვნახე და — ვიფიქრე, რა მოხდება რომ გამოვიყენოთქი?... მერე რაღაც წიგნს ვათვალიერებდი და მე-18 თუ მე-17 საუკუნის გრავიურაზე იამამოტოს კოსტუმს არ წავანყდი — იმ თავისი დიდი ქუდით, ჯოხებით რომ უჭირავთ?! “ჰამლეტში”, სათაგურის სცენაში, მსახიობები რომ შემოდიოდნენ, კრინოლინების მხოლოდ კარკასები ეცვათ, მაშინ არსად მქონდა ნანახი, მერე ვნახე ასეთი რამ... ასე რომ არაფერი არ არის ახალი, ყველაფერი დიდი ხნის წინათ არსებობდა, არსებობს და კვლავაც იარსებებს... მსახიობს ყოველთვის აქვს პრეტენზია, თავის თავს მხოლოდ სარკეში ხედავს, და როცა რაღაც არ მოსწონს, ტანზე ისე არ ადგას, ბუზღუნებს, არ გეთანხმება. მე კი პირველხარისხო-





ვანი თუ მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებელს ცალკე არ ვხედავ, ყველაფერი ერთიანობაშია, გვერდიგვერდ... თუ ყველანი თეთრებში არიან, ერთი კონტრასტულად შავში უნდა აღმოჩნდეს... რატომ, რისთვის?.. ზოგი რამ გმირიდანაც გამომდინარეობს. ახლახანს “კულტურის” არხზე ლენინგრადის თეატრის “ჰამლეტს” ვუყურებდი და მივხვდი, რომ მომბეზრდა, ყველანი ან ფრაკებში არიან ან — ჯვალაში. ერთი პერიოდი ყველას ჯინსები ეცვა, თუნდაც “ჭინჭრაქაში” სერგო ზაქარიადის ბაყბაყდევი გავიხსენოთ! “ასერგასის დღე” რომ გავაკეთე, რამაზ ჩხიკვაძეს ჰიტლერის კოსტუმი ეცვა, მაგრამ ოპერის სცენაში სხვა კოსტუმებიც სჭირდებოდათ. ედიშერ მალალაშვილი, გოგი გეგეჭკორი სულ მეკამათებოდნენ, მე კი მათ არ ვუსმენდი, დიდი ხნის შემდეგ მივხვდი, რომ სცენაზე მაინც მსახიობია მთავარი, მას უნდა შეუწყო ხელი. მსახიობებთან ურთიერთობაში ირა, ჩემი ცოლი მეხმარება, მსახიობს რომ რალაცას ვთავაზობ, ირა მათ ჩემს სისწორეში არწმუნებს.

ასე გავიდა დრო და უკვე 58 წლისა ვარ, სულ ახალგაზრდებთან მიწვევს მუშაობა, ძალაუნებურად ყურადღებას ვიკრებ, ბევრს ვკითხულობ, ხშირად ნაცნობ ნაწარმოებს თავიდან გადავიკითხავ ხოლმე. რეპის შესახებაც ბევრი რამ ვიცი და ელინგტონის შესახებაც. ვცდილობ, რალაცას არ გამოვაკლდე, არ ჩამოვრჩე. როცა შევიტყვე, რომ საბჭოთა კავშირში ელინგტონი ჩამოვიდა და ლენინგრადში ჯონცერტი ჰქონდა, ნავედი და მოვუსმინე, დღემდე ბილეთი მაქვს შენახული. ვერ დავივიწყებ ჩემს მეგობარს მიტო მანჯგალაძეს, რომელმაც თვითმფრინავის ბილეთი ამიღო, მართალია, ძვირი არ ღირდა, 34 მანეთი, მაგრამ მაინც მან გამამგზავრა. ასე ვნახე მოსკოვში რაუშენბერგის გამოფენაც, რომლის სახელზეც ახალგაზრდობაში მახოლებდა, ჩემთვის ის ყველაფერი იყო, ჩემი ხელობის გასაღებიც ალბათ მან მომცა, სხვა საქმეა როგორ და რანაირად გამომივიდა...

...გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ წლები გაფრინდნენ. ერთხელ ვთქვი — რაკარგი პროფესია ავირჩიემეთქი! მატისი

ხომ ინვალიდის სავარძელში იჯდა, ფუნჯი ხელზე ჰქონდა მიბმული და ისე ხატავდა... მსახიობი რომ ვყოფილიყავი, ვინ გამაჩერებდა თეატრში, გამაგებდნენ... მაგრამ, გული მაინც არაფერზე მწყდება, იმიტომ რომ ანას, ჩემს უმცროს გოგონას, იურიდიულზე ან სამედიცინოზე რომ ჩაებარებინა, ამის შესაძლებლობა არ მქონდა და ბავშვს ხატვის ნიჭი რომ შევატყე, სულ თეატრში დამყავდა. პირველი, რაც გააკეთა, ჩემი პორტრეტი დახატა, მას აქეთ ვამბობ, რომ მოვკვდები, კედელზე ის ჩამოკიდეთმეთქი... რობიკოს მომბეზრებული აქვს დიდ მატერიებზე საუბარი, უფრო მარტივი ფორმების აზროვნება და გამოხატვა უყვარს და გვითხრა, — ანა მოვიდეს, დამეხმაროსო!.. ანამაც რალაც კონსტრუქცია მოიფიქრა — კიბე. კიბე ხშირად მეორდება რობიკოსთან, კიბე, რომელიც სადღაც მიდის, არც მიდის და საბოლოო ჯამში, განცდას ტოვებს... ყველაფერი ემოციის ხარჯზე ხდება, იაპონელები ამბობენ, ტვინი სარკესავით უნდა იყოს, უღრუბლო ცასავით, სურვილმა შეიძლება გაგაგოგოსო! როგორც მოწმენდილ ცაზე ჩნდება ღრუბელი, ასევე სურვილი ანაგვიანებს შენს ტვინს. სარკეზე არაფერი ჩანს, ჩაიხედავ — გამოჩნდები, ნახვალ — სიცარიელეა... სპექტაკლზე რომ ვმუშაობ, შესაძლოა ისეთი რალაცეები ამოვქაჩო ტვინის უჯრედიდან, ოდესღაც სადღაც რომ მინახავს... სპექტაკლზე მუშაობისას სულ ვფიქრობ, რისი გახსენება მჭირდება, რისი გაშიფვრა. ხელოვნებათმცოდნეები მეკითხებიან, — ამით რისი თქმა გინდოდათო? ვეუბნები — არაფრისმეთქი! შაგალს ჰკითხეს, თქვენ რომელ მიმართულებას ეკუთვნითო? — არც ერთს, მე ვხატავო! მართალია, ეს შაგალმა თქვა... თეატრში ეს არის ცუდი, ყველაფერი იკარგება, ჩაიტან სახელოსნოში და გაქრება... გამოფენაც მქონია, კიდეც რომ დამჭირდეს, ძველებსაც მოვავროვებ, ზოგი ვის მივეცი და ზოგი — ვის, ზოგიც გავყიდე, ყველას გავიხსენებ, მაგრამ ამის სურვილი არა მაქვს, ხანდახან დავაპირებ ხოლმე რალაცის გაკეთებას, მაგრამ ისევ გადავიფიქრებ. რალაც ისეთი დეტალი მინდა მოვძებნო, რომ მხოლოდ ჩემი იყოს.

იქნებ, მათ კდეკ შეკხკდეტ...

პირველ კურსზე ვიყავი, როდესაც დიმიტრი ჯანელიძემ, გაიგო რა ჩემი სვანური წარმომავლობის შესახებ, მთხოვა (რა საოცარი თაობა იყო ძველი დროის პროფესურა, მე, I კურსელ 17 წლის სტუდენტს, კი არ დამავალა, მთხოვა), იქნებ, შენი კუთხის თეატრალურ სანახაობებზე რამე დანეროო. მეც დიდი მეცნიერის "თხოვნით" გათამამებულმა, სასწრაფოდ დავინყე სვანური ხალხური სანახაობების კვლევა და მივაგენი ერთ საინტერესო რიტუალს "ჰერია მიშუს" ანუ "ეშმაკეულთა კვირას". დავწერე სტატია და... ჰოი, საოცრებავ! ჟურნალმა "თეატრალურმა მოამბემ", მეორე დიდი მეცნიერის, ჩემი ჯგუფის ხელმძღვანელის, ვასილ კიკნაძის რეკომენდაციით ეს სტატია დამიბეჭდა.

არასდროს დამავიწყდება ის სიამაყე და ბედნიერება, როდესაც ჟურნალის ნომერი გადავშალე და სარჩევში ცნობილი კრიტიკოსების გვერდით ჩემი გვარი ამოვიკითხე. ეს იყო ყველაზე ბედნიერი წუთები ჩემს ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ამ სტატიას ღიმილნარევი ვკითხულობ, ეს პუბლიკაცია დღემდე რჩება ჩემს უსაყვარლეს ნაწარმოებად.

მე ვერასდროს შევედრები დიმიტრი ჯანელიძეს და ვასილ კიკნაძეს მეცნიერებისადმი ერთგულებასა და სიყვარულში, მაგრამ მინდა ჩემმა სტუდენტებმაც, რომლებიც ახლა ჩემსავით იგივე ჟურნალში პირველ სტატიებს ბეჭდავენ, ისეთივე ბედნიერება იგრძნონ, როგორც მე მაშინ, 1986 წელს. მინდა მათაც სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვით პირველი საჯარო განაცხადით გამოწვეული სიამაყე. მინდა მათაც ისე, როგორც მე, ამ პირველი წერილით შთაგონებულმა-მა უერთგულონ საკუთარ

პროფესიას.

ანა ნონორია, შორენა ჟორჯოლიანი და გვანცა გიორგაძე შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელერადიო ჟურნალისტიკის მმართველების II კურსის სტუდენტები არიან. მიუხედავად იმისა, რომ ისინი პრაქტიკოს-ჟურნალისტობაზე ოცნებობენ და ამ პროფესიაში ოსტატებიან, პირველი ნაბიჯები გადადგეს მეტად მნიშვნელოვან და დეფიციტურ პროფესიაში – ტელეკრიტიკაში. ვინ იცის, შესაძლოა, მომავალში რომელიმე მათგანს სწორედ ამ ჟანრშიც მოუწიოს მუშაობა. ამას მხოლოდ დრო გვაჩვენებს. მაგრამ ამ ეტაპზე, მათი პირველი მცდელობა მინდა წარმატებული იყოს, რადგან ის, რაზეც წერენ, მათ გულწრფელად ალელვებთ და აინტერესებთ. ვფიქრობ, მომავალმა ჟურნალისტებმა საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ ტელემედიის თეორია, პრაქტიკული საქმიანობა რომ გაუადვილდეთ. ამიტომ, იმ ჯგუფში, რომელშიც მე ვცდილობ სტუდენტები მომავალ ტელერადიო ჟურნალისტებად ვაქციო, დიდი ყურადღება ეთმობა ტელემედიის თეორიის და კრიტიკის საკითხებს. მომავალი ჟურნალისტი საკუთარ პროფესიაში განსწავლული და მრავალმხრივ განვითარებული უნდა იყოს.

იმ ჯგუფში, სადაც გვანცა, ანა და შორენა სწავლობენ, კიდეც 20 სტუდენტი ეუფლება მომავალი ჟურნალისტის პროფესიას. ყოველი მათგანი წერს. ზოგი კარვად, ზოგი ძალიან კარვად, ზოგიც ნაკლებად. ამ ეტაპზე მე ამ სამი სტუდენტის ნაშრომებს შემოგთავაზებთ, რადგან მათი სტატიები ყველაზე საინტერესოდ მივიჩინე. მე არ მინდა გათანაბრების პრინციპით ვიხელმძ-

ღვანელო და იმის გამო, რომ ვინმეს გული არ დაწყდეს, ყველას ნაშრომს გავუწიო რეკომენდაცია. როდის, თუ არა ახლა, უნდა ისწავლონ სტუდენტებმა, რომ ცხოვრებაში დაფასებული ღირსეულთა შორის ყველაზე ღირსეული უნდა იყოს. მინდა ამ სამი სტუდენტის ნახალისება მაგალითი გახდეს დანარჩენებისთვის, რათა მომავალში მათი შრომაც ისე დაფასდეს, როგორც მათი მეგობრების.

მე ისე, როგორც 23 წლის წინ, ახლაც დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჟურნალის "თეატრი და ცხოვრება" (რომელსაც მაშინ

"თეატრალური მოამბე" ერქვა) რედაქციას და მის მთავარ რედაქტორს, ბნ გურამ ბათიაშვილს, რომელიც სიამოვნებით უთმობს ჟურნალის გვერდებს ახალგაზრდა დებიუტანტებს.

ჩემი მოსაზრებებით მეტს თავს აღარ შეგანყენთ, უმჯობესია გავეცნოთ გვანცას, შორენას და ანას და ვეცადოთ დავიმახსოვროთ ეს სახელები. ვინ იცის, იქნებ, მომავალში კიდევ არაერთხელ შევხვდეთ მათ ან პრესაში, ან კიდევ ტელერადიო მედიაში.

გიორგი ჩართოლაძე

ჰაღიუი თუ ჰუნდში?!

ანა ნონორია



დილა ეს დღის ის მონაკვეთია, რომელიც ყოველი ადამიანის ცხოვრებაში ახალი ურთიერთობების, ახალი მოქმედებების და ზოგადად, სიახლის საწყისია... დღევანდელ ეპოქაში, როდესაც ცხოვრების რიტმი და ტემპი დაჩქარებულია, ადამიანებს ურთიერთობა უნევთ დაძაბულ რეჟიმში. არა აქვს მნიშვნელობა, რომელ სოციალურ წრეს ეკუთვნით, არც იმას მუშაობთ თუ არა... მთავარია, რომ დილით ადგომისთანავე გჭირდებათ გამოსაფხიზლებელი, ხასიათზე მომყვანი და განწყობის შემქმნელი საშუალება, რისი ფუნქციაც დღესდღეობით ტელევიზიამ და დილის სამაუნებლო პროგრამამ იტვიროთა.

გამომდინარე იქიდან, რომ დილა ყველა ადამიანისთვის საერთო მიზანს: ლოგინიდან ადგომისთანავე დადებითი განწყობის შექმნას ემსახურება, დილის პროგრამა გათვლილია ქვეყნის მოსახლეობის სრულ ნაწილზე, ნებისმიერი ასაკის, თაობის, სქესისა თუ პროფესიის ადამიანზე. შესაბამისად, დილის პროგრამების სამაუნებლო ბადე ჟანრობრივად და თემატურად მრავალფეროვანი უნდა იყოს.

საქართველოს მასშტაბით სულ ოთხი ტელეარხი ცდილობს დილით „გამოაფხიზლოს“ მაყურებელი („იმედი“ – „იმედის დილა“, „რუსთავი 2“ – „დილა მშვიდობისა, საქართველო“, „საზოგადოებრივი მაუნყებელი“ – „ალიონი“ და „აჭარა“ – „დილის ტალღა“), თუმცა, საკითხავია ის, თუ რამდენად სწორად ასრულებენ ისინი ამ ფუნქციას. ამ ტიპის გადაცემებისთვის დადებითი მუხტის გასაძლიერებლად აუცილებელია დინამიკა, განვითარება, მოძრაობა.. გადაცემის ჩამოვყალიბოთ. ფორმულად, რომლის მიხედვითაც იცვლება მაყურებლის ხანგრძლივობა და აქტივობა ტელევიზორთან ჯდომისას, მომხიბვლელი ნამყვანების ყურებისას, საინტერესო ამბების მოსმენისას და, მოწყენილობის შემთხვევაში, სხვა არხის დილის პროგრამაზე გადართვისას. ზოგი ადამიანისთვის დილა 9 საათზე იწყება, ზოგისთვის – მზე. დილის გადაცემების ქრონომეტრაჟი ძირითადად, 2 2,5 საათი გრძელდება. ამ მხრივაც, მეტად რთული მისია აკისრია დილის გადაცემას: ნებისმიერი მომენტი და სიუჟეტი უნდა იყოს მრავალფეროვანი, საინტერესო, რომ ტელევიზორთან ახლად მიმჯდარი ნებისმიერი კატეგორიის მაყურებლის ინტერესები და მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს.

რაც შეეხება თავად დილის გადაცემის ბადეს, ხშირ შემთხვევაში, ეს არის საინტერესო, აქტუალური და, რაც მთავარია, სახალისო თემებზე აგებული სიუჟეტების, რეპორტაჟების, ახალი ამბების ერთობლიობა. აქ ცალკე დრო ეთმობა პატარებისთვის განკუთვნილ მულტფილმებს,

რომლებიც სშირად იმდენად გაურკვეველი შინაარსისაა, ყურადღებითაც რომ უყუროს მოზრდილმა ადამიანმა, ვერ გამოიტანს მთავარ აზრს. პატარებს უნევთ „რობოტუნების“ მსგავსი აბსტრაქტული შინაარსის მულტფილმების ყურება. თუმცა, სხვა რა გზაა, იმდენად, რამდენადაც მულტიპლიკაციური ფილმების ყურების მოთხოვნილება თითქმის ყველა ბავშვშია გამჯდარი, ისინი ამის გამო პროტესტს არ გამოთქვამენ. დილის გადაცემებიც თავიანთ ერთერთ მთავარ ფუნქციას: დაუთმონ ეთერი პატარებს – მაინც ასრულებენ. ყოველ შემთხვევაში, ისინი ასე ფიქრობენ.

მართალია, დილის გადაცემებში პოლიტიკა და მსგავსი მძიმე თემები ნაკლებად უნდა იყოს, თუმცა ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ განვითარებული ახალი ამბები ყოველ ნახევარ საათში ერთხელ უნდა მიენოდოს მაყურებელს. აქ არ საუბრობენ პოლიტიკურ, სოციალურ და სხვა მძიმე საკითხებზე, არ გვთავაზობენ დისკუსიას დამორგუნველ თემებზე, ვინაიდან დილით მაყურებელს სჭირდება ოპტიმისტური, ხალისიანი და შედარებით მსუბუქი პროგრამა, საიდანაც მიღებული ემოციური მუხტი მას დღის განმავლობაში გაჰყვება. შესაბამისად, ქართული ტელეარხების დილის პროგრამებში შემოთავაზებულია, ძირითადად, დღის ანონსი კულტურის სფეროში: მოსალოდნელი კონცერტის, ან გამოფენის თუ რაიმე პრეზენტაციის შესახებ ინფორმაცია. დილის გადაცემების სტუმრებსაც ამის მიხედვით ინვევენ ხოლმე სტუდიაში.

„პირველი არხის“ განახლებულ დილის გადაცემა „ალიონში“ ადგილები შეიცვალეს წამყვანებ-მა და კორესპონდენტებმა, გამოჩნდნენ ახალი სახეები, მაგალითად, ახალი ამბები ახალგაზრდა ტელეწამყვანს, მარიამ ვაშაძეს მიჰყავს, სპორტის ამბები – თათული ბართაიას, რაც საქართველოში განსაკუთრებული შემთხვევაა.. როდესაც სპორტის ახალ ამბებს ტელეეკრანიდან მდებდრობითი სქესის წარმომადგენელი გვაცნობს, ადვილი შესაძლებელია, ამ ფაქტმა მამაკაცებში (განსაკუთრებით, ქართველებში) გალიზიანება გამოიწვიოს. მით უმეტეს, მაშინ, როცა თათული ცდილობს, ყოველი „ნიუსი“ ნაიკითხოს ოპტიმისტურად, დამაჯერებლად და ხალისიანად. ისე, რომ ხაზი გაუსვას ქალის უპირატესობას ამ სფეროში და დაანგრიოს მამაკაცების მიერ შექმნილი სტერეოტიპი, რომ ქალი სპორტულ თემებში ვერ ერკვევა. მერე რა, თუ თათულის ხანდახან ციფრები ეშლება და ოთხი ათას ხუთასის ნაცვლად, ოთხას ხუთათასს ამბობს, ეგ არაფერი. მთავარია, თავისი ოპტიმისტური ფრაზა: „დაინწყეთ ყოველი დილა სპორტით“ დამაჯერებლად წარმოთქვას და ქართველი მამაკაცების უმეტესობას ჯანსაღი წესით ცხოვრებისკენ მოუწოდოს (თუმცა საკითხავია, რამდენად გაითვალისწინებენ ისინი თათულის ე.წ. „კეთილშობილურ რჩევას“).

რაც შეეხება „რუსთავი 2ისა“ და „იმედის“ სპორტის ახალი ამბების წამყვანებს, აქ სტანდარტი დაცულია და ეს ბლოკიც მამაკაცებს მიჰყავთ. შესაბამისად, დათო ფრანგიშვილი და ლევან სალუქვაძე უფრო მისაღები წამყვანები არიან მამაკაცებისთვის.

„ალიონში“ ორი მთავარი წამყვანი ზის სტუდიაში, „იმედის დილასა“ და „დილა მშვიდობისა, საქართველოში“ კი – ერთი. თუმცა, წამყვანები ყოველდღიურად იცვლებიან. სამივე გადაცემის სტუდია გადანყვეტილია ჭრელ ფერებში. სშირად, კონტრასტსაც ვხვდებით. მაგალითად, „იმედის დილის“ სტუდიაში ერთობლივად ჭარბობს ლურჯი და ყვითელი ფერები. სტუდიის ფერთა სიჭრელემ უნდა განაპირობოს მაყურებლის დამოკიდებულება ამა თუ იმ ტელეარხისადმი. როდესაც „იმედის“ დილაში მაყურებელი ყვითელ და ლურჯ ფერებში გადანყვეტილ სტუდიას ხედავს, მისი შთაბეჭდილება, რომელიც ამ გადაცემის ნახვისას გაჰყვება, აუცილებლად იქნება ამ ფერებთან დაკავშირებული. სტუდიის ფერები ცვლის მაყურებლის დამოკიდებულებას გადაცემისადმი. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად მკვეთრია ეს ფერები, რამდენად დასამახსოვრებელია და რამდენად შეეფერება დილის გადაცემას.

რაც შეეხება უშუალოდ მთავარ წამყვანებს, საერთოდ, ორი წამყვანი ბევრად უფრო მომგებიანია დილის პროგრამის მაყურებლისთვის, ვიდრე ერთი. მართალია, „ალიონი“ ამ მხრივ ცდილობს, გაამრავალფეროვნოს დილის გადაცემა და ყოველდღიურად ორ წამყვანს სთავაზობს მაყურებელს, თუმცა, აქ აღსანიშნავია ერთი, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალი: გადაცემის სტუდია არის ძალიან ფართო, ოპერატორი სშირად იღებს შორი რაკურსით, რაც ორი წამყვანის კადრში მოხვედრის სურვილითაა განპირობებული. შესაბამისად, ეს სშირად კარგავს წამყვანის სახეს. არ უნდა დაგვავინყდეს, რომ მაყურებელი წამყვანების ვიზუალურ მხარეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. რამდენად მომხიბვლელია წამყვანი, რა სამკაული უკეთია, როგორი ვარცხნილობა აქვს და ა.შ. ანუ, გადაცემების აღქმის ხარისხი, სშირ შემთხვევაში, დამოკიდებულია წამყვანებსა და მათ ახლო რაკურსზე. ამიტომ წამყვანების კადრი შორი რაკურსით დისკომფორტს უქმნის ცნობისმოყვარე მაყურებელს. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვით, რომ



„ალიონის“ მაყურებელს ეს ფაქტი ინტერესს სრულიად უკარგავს მრავალფეროვანი გადაცემის ყურებისას.

„იმედის დილის“ სტუდიაში წამყვანები: მარიკა ლარიბაშვილი და ნანა ყურაშვილი ყოველდღიურად ერთმანეთს ცვლიან. „იმედის“ პროექტ „დუბლი ორში“ გამარჯვებული მარიკა ლარიბაშვილი დღეს ამავე არხის წამყვანია და თუკი ადრე მას ისე აფასებდა მაყურებელი, როგორც დამწყებ ჟურნალისტს, ახლა უფრო მის პროფესიონალიზმზე ხდება ყურადღების გამახვილება.

„რუსთავი 2ის“ დილის პროგრამაში კი, შეიძლება ითქვას, რომ მართლაც ვეტირანი ჟურნალისტები მუშაობენ. ეს გადაცემა საკმაოდ დიდი ხანია უცვლელი ფორმით გადის ეთერში. მხოლოდ ადგილები შეიცვალეს წამყვანებ-მა და კორესპონდენტებმა. მაგალითად, თუკი ადრე ეკრანიდან გვილიმოდა სტუდიაში მჯდომი ნინო არაზაშვილი, ახლა იგი, არც მეტი, არც ნაკლები, კორესპონდენტის როლში გვევლინება და ყოველ დღით გვაცნობს საქართველოში მოქმედი მუსიკალური ჯგუფების გეგმებს. ამასთანავე, წარმოგვიდგენს კვირის რეიტინგულ ჯგუფებს თავის მუსიკალურ ჩართვაში.

ნინო არაზაშვილის ახალი ამბლუა, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი იყო მაყურებლისთვის, გამომდინარე მისი ასაკიდან. არ უნდა დაგვაინყდეს, რომ იგი წარადგენს ახალგაზრდულ მუსიკალურ ჯგუფებს. ეს პირდაპირი ჩართვაც, ძირითადად, განკუთვნილია ახალგაზრდა მაყურებლისთვის. ამიტომ ნინო არაზაშვილი, ცოტა არ იყოს, შეუფერებელია ასეთი ტიპის ჩართვის კორესპონდენტად. ხშირად, როგორც წამყვანობისას ემართებოდა ხოლმე, ნინო არაზაშვილი აქაც იბნევა და არ უნდა გაგიკვირდეთ, თუკი შემთხვევით, ზედმეტი მონდომებულობისგან, მოსმენის ნაცვლად, კომპოზიცია მიირთვითო გითხრაო...

შედარებით დახვეწილი ტელეწამყვანია ეკა სამხარაძე, რომელიც მაყურებელს ხიბლავს თავისი ბუნებრიობით, უშუალოდ და დადებითი ენერგიით. შედარებით „ახალი“ წამყვანია ახალგაზრდა გვანცა დარასელია, რომლის ღიმილი ზოგ მაყურებელს მომხიბვლელად და შარმიანად ეჩვენება, ზოგი ადამიანი კი პირიქით – მეტად უარყოფითადაა განწყობილი და მის გარეგნობას ეკრანისთვის შეუფერებლად მიიჩნევს.

და ბოლოს, „ალიონის“ წამყვანებს რაც შეეხება, აქ დავარდნილია გადაცემის ტემპი და რიტმი, წამყვანები ხელოვნურად ცდილობენ შევიდნენ კონტაქტში პრესის მიმომხილველთან ან სპორტის, ეკონომიკის წამყვანებთან. მიუხედავად იმისა, რომ წამყვანებს უფრო დიდი შესაძლებლობა აქვთ, დინამიკურად წაიყვანონ გადაცემა (გამომდინარე იქიდან, რომ ორნი არიან), აქ სულ პირიქით ხდება რატომღაც.

რაც შეეხება უშუალოდ რუბრიკებს... დილის პროგრამის ერთერთი მთავარი რუბრიკაა „პრესის მიმომხილვა“. საერთოდ, ეს ის რუბრიკაა, რომელიც სხვადასხვა თავისებურებით ხასიათდება. „პრესის მიმომხილვის“ წამყვანი უნდა იყოს საქმიანი, ინტელექტუალური გარეგნობის, ერუდირებული, აქ ისეთ პატარა დეტალსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც „ალიონის“ პრესის მიმომხილველის ქეთი სტურუას სათვალეა. ეს სათვალე მას აძლევს ინტელექტუალის შესახედაობას. იგივე შეიძლება ითქვას „დილა მშვიდობისა საქართველოს“ პრესის მიმომხილველზე, ოთარ ქირიაზეც, რომელიც მაყურებელს ასევე სათვალით ევლინება და ამით უფრო კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე შესაძლოა, უსათვალოდ დატოვოს. პრესის მიმომხილველმა უნდა იპოვოს მიზეზშედეგობრივი კავშირები ამა თუ იმ მოვლენასთან, დასვას საინტერესო კითხვები და „აიძულოს“ მაყურებელი, პრესას გადახედოს საკუთარი სურვილით. ეს არ უნდა იყოს მხოლოდ მიმომხილვა და რაღაც ამბების და სტატიების გაცნობა მაყურებლისთვის, არამედ აქ უნდა იყოს ინტრიგის მარცვალი ჩაგდებული ტელევიზორის წინ მსხდომი საქმიანი (ან უსაქმური) ადამიანებისთვის, რომლებიც დილით, ადგომისთანავე და ამ რუბრიკის გაცნობისთანავე დაფიქრდებიან, თუ რამდენი რამე ხდება მსოფლიოში მათი ცხოვრების პარალელურად, რომ ზოგან ფილმების დაჯილდოების ცერემონიალია და ზოგან – ეკონომიკური კრიზისი. ანუ აქ არ უნდა იყოს წარმოდგენილი „ნიუსები“ და სტატიები მხოლოდ ერთი ადამიანის (მიმომხილველის) ინტერესების შესაბამისად, არამედ ეს უნდა იყოს საზოგადოების ყველა ფენისთვის საინტერესო. დილის გადაცემებში, რომლებიც ერთერთი ყველაზე ყურებადია საქართველოში (მისი მაუწყებლობის დროიდან გამომდინარე), პრესის მიმომხილვის ფუნქცია არა მარტო საზოგადოების ინფორმირებაა, არამედ დაინტერესება და ჟურნალგაზეთების პოპულარიზაცია, რაც აყალიბებს საზოგადოების გემოვნებას და კითხვის მოთხოვნილებას.

რაც შეეხება „იმედის დილას“, აქ პრესის მიმომხილვის რუბრიკა არ არის შემოთავაზებული. სამაგიეროდ ყოველდღიურად გვაცნობს ასტროლოგიურ პროგნოზს ბატონი მიხეილ ცაგარელი,

„ოქტომბერი“ № 4

რომელიც ვანგასავით ზის სავარძელში, ფეხი ფეხზე გადადებული, მყუდრო გარემოში და ლამის ნათურის მისტიკურ ფონზე „წინასწარმეტყველებს“ სხვადასხვა ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს, თუ რა შეიძლება მოელოდეთ ამ დღეს, რა ფერის ტანსაცმელი უნდა ჩაიცვან და რა სამკაული უნდა გაიკეთონ. ბატონი მიხეილის საუბარს თხრობის ეფექტი არ ახლავს, იგი აშკარად კითხულობს იმასაც, რასაც ამბობს.. შესაბამისად, წინასწარმეტყველებაც დანერგული აქვს. მაყურებელიც, ვინც „დიდი ფანია“ ბატონი მიხეილის და ასტროლოგიის, დაუჯერებს მის პროგნოზს და თუ დღეს კინოში წასვლას და ნითელი კაბის ჩაცმას აპირებდა შეყვარებულთან ერთად, ბატონი მიხეილის რჩევით, გადადებს და სახლიდან ფეხს არ გაადგამს: დღეს ნეგატიური დღე მაქვსო... ჩვენ ვიხუმროთ, რამდენიც გვინდა, ბატონი მიხეილის ყოველდღიური პროგნოზის მიხედვით კი, ადამიანები დღეებს გვეგმავენ...

გარდა ზემოთ ხსენებული რუბრიკებისა, ასევე ცალკე გამოყოფილია რუბრიკა ამინდის პროგნოზისთვის, რომელსაც არა უშუალოდ გადაცემის წამყვანები, არამედ სხვა ჟურნალისტები უძღვებიან (ან შესაძლოა, არ იყვნენ ჟურნალისტები, უბრალოდ ეკრანული ან ამ თემისთვის შესაფერისი გარეგნობა ჰქონდეთ, როგორც ხდება ხოლმე ხშირად საქართველოში). მაგალითად, „იმედის დილაში“ ამინდის პროგნოზის წამყვანად მუშაობს ზაალ ნულუკიძე (ვინი). იგი სხვადასხვა ადგილიდან ერთვება ხოლმე სტუდიაში წამყვანს, იქიდან გვაცნობს ამინდის პროგნოზს დაახლოებით ამ სიტყვებით: „დღეს არ უნდა გაგვიკვირდეს თუ ინივია, რადგან ღრუბლიანობამ აჯობა მზიანობას“ და ბოლოს „ჯანსაღ ამინდსაც“ უსურვებს მაყურებელს.

შესაძლოა, ვინის სხვა ფუნქციაც ჰქონდეს რომელიმე კონკრეტულ გადაცემაში და გაგვაცნოს რომელიმე სკოლის მუსიკალური ანსამბლი, მოგვასმენინოს ვინმე ბავშვის მიერ მოყოლილი პათეტიკით და სამშობლოს სიყვარულით გაჟღენთილი ლექსები, ბოლოს დააყოლოს, თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ჟღერებოდა დამიარაო და მერე უცებ მიაყაროს ამინდის პროგნოზი: სადაა მაღალი ტემპერატურა და სად „აჯობა ღრუბლიანობამ მზიანობას“. ან სულაც, ბოლოს გაგვიღიმებს ტელემაყურებლებს და მართლაც ვინი პუჰივით საქმიანად დაგვემშვიდობება.

პირველი არხის დილის პროგრამას, მართალია, „იმედის დილის“ მსგავსი საქმიანი და ბურდლუნა ვინი არ ჰყავს ამინდის პროგნოზის გასაცნობად, თუმცა, მიუხედავად ამისა, აქ უფრო კარგად და დალაგებულად გაიგებთ, თუ როგორი ამინდი გელით ამ დღეს, რამ განაპირობა ტემპერატურის მატება ან დაცემა და დაგჭირდებათ თუ არა ქოლგა. ამ ყველაფერს ვინისგან განსხვავებით, ბევრად უფრო დალაგებულად და ლოგიკურად ხსნის პირველი არხის ამინდის ბლოკის წამყვანი ნინო ბარათაშვილი. რაც შეეხება „რუსთავი 2ს“, აქ ამინდს ცალკე რუბრიკა არ ეთმობა, მას გადაცემის დასაწყისშივე გვაცნობს მთავარი წამყვანი (გვანცა დარასელია, ან ეკა სამხარაძე) და შემდეგ გადაცემის მსვლელობისას რამდენიმეჯერ გვამცნობს ტემპერატურის ცვალებადობის შესახებ.

გარდა რუბრიკებისა, დილის გადაცემებში აუცილებელი და ერთერთი ყველაზე მთავარი მოვლენა გახლავთ პირდაპირი ჩართვა, რომლის წარმატებულობა არა მარტო თემის საინტერესობაზე, არამედ კორესპონდენტის მოხერხებულობასა და მობილიზაციაზეც არის დამოკიდებული. კორესპონდენტს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ყველაზე რთული მისია აკისრია დილის გადაცემებში: იგი უნდა ჩაერთოს პირდაპირ ეთერში წამყვანს და, გარდა იმისა, რომ ახალი დადებითი ემოცია გადასცეს მაყურებელს, უნდა დააინტერესოს იგი. პირდაპირ ჩართვას რაღაც საერთო წერტილი აქვს პრესის მიმოხილვის რუბრიკასთან, კერძოდ, თუკი პრესის მიმოხილვისას მაყურებელი იგებს და ეცნობა სხვა ქვეყნებში, ან სხვა ადგილებში მომხდარ ამბებს უშუალოდ მიმოხილველის მიერ, ამ ჩართვაში იგი იგებს არა სხვის მონათხრობს, არამედ ვიზუალურად ხედავს, რა ხდება მის ირგვლივ, მის ქალაქში, ან, ვთქვათ, თბილისის რომელიმე მუზეუმში, სკოლაში, სამშობიაროში, სილამაზის სალონში, საცეკვაო სტუდიაში და ა.შ. შესაბამისად, ეს არის პარალელური რეალობა, რომელიც ყველა ადამიანის ცხოვრების პარალელურად ვითარდება და რომლის დამკვირვებლად გვევლინება კორესპონდენტი. ამ შემთხვევაში, კორესპონდენტს ევალება, დაწვრილებითი ინფორმაცია გადასცეს მაყურებელს, შესაძლოა, ასევე ვინმეს ან რაიმეს პოპულარიზაციას ისახავდეს მიზნად ეს ჩართვა. მაგალითად, რომელიმე პოეტის ლექსების კრებულის გამოცემას, რომელიმე სილამაზის სალონის რეკლამირებას და ა.შ. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აქტუალური და საინტერესოა ეს თემა დილის მაყურებლისთვის. ზემოთ უკვე აღვნიშნე და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ არც კორესპონდენტის ჩართვებში არ არის არსად პოლიტიკური თემა, აქ უფრო აქცენტები კეთდება საზოგადოებრივ მოვლენებზე.

ერთია, რამდენად საინტერესო თემებს არჩევენ ქართული დილის პროგრამები ერთგული



მაყურებლისთვის და მეორეა ის, თუ რამდენად კარგად ართმევენ თავს ამ მისიას კორესპონდენტები. „რუსთავი 2ზე“ უკვე რამდენიმე წელია, რაც პირდაპირი ჩართვები ხორციელდება ნატა ნიჟარაძის მიერ, შეიძლება ითქვას, რომ იგი უკვე საკმაოდ „ხანდაზმულია“ ამ საქმეში, თუმცა, მაყურებლისთვის მეტად გამაღიზიანებელია მისი მეტყველება, მოქმედებები. ნატა ნიჟარაძე არის ძალიან თავშეუკავებელი, არ აცლის რესპონდენტს პასუხის გაცემას, საკუთარ პასუხებს და კითხვებს უფრო მნიშვნელოვნად თვლის და თავადვე სცემს ხშირად თავისსავე კითხვას პასუხს. ლაპარაკობს გაუჩერებლად, შეუსვენებლად, ალბათ, ფიქრობს, რომ მაყურებლის გამოღვიძების და გამოფხიზლების საუკეთესო საშუალება რაც შეიძლება ბევრი ლაპარაკია. ყოფილა შემთხვევა, როცა უხერხულ მდგომარეობაში ჩაუგდია რესპონდენტი ამის გამო, თუმცა თვითონ ვერ უგრძენია ეს. იგივე პრობლემა აქვს „იმედის დილის“ კორესპონდენტ თამუნა გომართელსაც, რომელიც მუდამ რთული და დახლართული თანწყობილი თუ ქვეწყობილი წინადადებებით საუბრობს და დადებითი მუხტის გასაძლიერებლად ყოველი ფრაზის ბოლოს იყენებს ეპითეტებს დადებითი მნიშვნელობით, როგორებიცაა: არაჩვეულებრივია, ფანტასტიურია, შესანიშნავია და ა.შ.

რაც შეეხება „ალიონის“ კორესპონდენტს, ნატალი ნოზაძეს, იგი რადიკალურად განსხვავდება ზემოთ ხსენებული ორივე კორესპონდენტისგან. თუ თამუნა გომართელი და ნატა ნიჟარაძე ჩართვისას რესპონდენტების ნაცვლადაც თავად ლაპარაკობენ და ამით მაყურებელზე ეფექტის მოხდენას ცდილობენ (ბევრი ლაპარაკი ხომ ეფექტის მოხდენის უპირველესი საშუალებაა ჟურნალისტისთვის, მით უმეტეს, ქართულ საზოგადოებაში!), ნატალის შემთხვევაში პირიქითაა: იგი, რაც შეიძლება, ნაკლებს ლაპარაკობს და არის ძალიან მოდუნებული, ვერ შემოაქვს ენერჯიულობა და დინამიკა გადაცემაში. კორესპონდენტი ხომ, უპირველესად, ამ ფუნქციას უნდა ასრულებდეს: უნდა ავითარებდეს გადაცემას. ხშირად, დილის გადაცემებში კულმინაციური წერტილი დაკავშირებულია სწორედ რომ პირდაპირ ჩართვებთან, ვინაიდან ეს არის ცოცხალი, პირდაპირი და უშუალო ემოცია მაყურებლისთვის, რომელსაც იგი იღებს ტელევიზიით. ერთი სიტყვით, ორი უკიდურესობა გვაქვს „იმედის“, „რუსთავი 2ის“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ კორესპონდენტების შემთხვევაში: ან ძალიან სტატიკური, ან „ზედმეტად დინამიკური“.

დილის სამაუწყებლო ბადეში ასევე ხშირად ცალკე ბლოკად არის გამოყოფილი ეკონომიკის სიახლეები, რომელსაც სხვა წამყვანები უძღვებიან. მაყურებლისთვის ყოველთვის საინტერესოა რა ხდება როგორც ქართულ, ისე მსოფლიო ეკონომიკურ ბაზარზე, ვინაიდან ეს პირდაპირ კავშირშია მათ მატერიალურ მდგომარეობასთან. შესაბამისად, ამ სფეროში ცალკე ნიშა დაიკავა დილის პროგრამებში. „რუსთავი 2ზე“ ეკონომიკის ამბებს მიშა სესიაშვილი გვაცნობს, რომელსაც საქმიანი ადამიანის გამომეტყველება აქვს ამ სფეროს – ეკონომიკის შესაბამისად. ხშირ შემთხვევაში, მისი ეს საქმიანი გამომეტყველება გადადის ძალიან სერიოზულ გამომეტყველებაში, იგი ერთნაირი სერიოზულობით კითხულობს ყველა ნიუსს, რაც მაყურებელს აბნევენ. ერთნაირი ტონი, მზერა და მონოტონურობა – ამ ყველაფერმა, შესაძლოა, ეკონომიკის ახალი ამბები უარყოფითად მიაღებინოს მაყურებელს, მით უმეტეს, ახლა, ამ პერიოდში, როცა მსოფლიოში ფინანსური კრიზისია. შესაბამისად, აჯობებდა, უფრო ოპტიმისტური ტონი ჰქონოდა მიხეილ სესიაშვილს მაყურებლის დასაინტერესებლად.

ასევე ეკონომიკის ბლოკს უძღვება „ალიონის“ ერთერთი ჟურნალისტი, ნიკა ავალიანი, რომელიც უფრო დამაჯერებელი და, რაც მთავარია, ამ ბლოკისთვის შესაფერისი წამყვანია.

მაყურებლისთვის ერთერთი ყველაზე საყვარელი რუბრიკა დილის გადაცემებში არის სამზარეულო, სადაც იგი ახალი კერძების რეცეპტებს იგებს, ასევე იგებს ამ კერძის წარმოშობის ისტორიას, იმას, თუ რა თანხაა საჭირო კერძის მოსამზადებლად და რამდენი კალორიაა მასში. ეს რუბრიკა, ძირითადად, განკუთვნილია დიასახლისებისთვის, რომლებსაც სამზარეულოში ტრიალი უწევთ. აღსანიშნავი ფაქტია ისიც, რომ დიასახლისებისთვის ტელევიზორი მუდმივად ჩართულია, ისინი პარალელურად აკეთებენ საოჯახო საქმეებს, თან ტელევიზორს უსმენენ. მართალია, არა საფუძვლიანად, მაგრამ მათთვის ესეც მნიშვნელოვანია. შესაბამისად, სამზარეულოს რუბრიკა პირველ რიგში, მიზანმიმართულია მათკენ.

ზემოთ განხილული არხების დილის პროგრამებიდან, ეს რუბრიკა მხოლოდ „რუსთავი 2-ისა“ და „საზოგადოებრივი არხის“ დილის პროგრამებს აქვთ. „ალიონში“ ქეთი კეკელია უძღვება სამზარეულოს რუბრიკას. იგი ყოველდღიურად აცნობს ახალ რეცეპტს გურმანებს და უყვება ამა თუ იმ კერძის წარმოშობის შესახებ. თუმცა, იყო ერთი შემთხვევა, როდესაც ქეთიმ წამყვანების შეკითხვას, თუ საიდან იყო კერძი წარმოშობით, ვერ უპასუხა... ეგ არაფერი.. მთავარია, ეს კერძი გამოგივიდეთ გემრიელი და სხვებსაც ასიამოვნოთ. „ალიონის“ დასასრულს

ნამყვანები ყოველთვის აღნიშნავენ იმას, რომ აპირებენ ქეთისთან ერთად კერძი დააგემოვნონ.

ასევე „რუსთავი 2ზეც“ არის სამზარეულოს რუბრიკა, რომელსაც ვასიკო ოდიშვილი უძღვება ყოველ ხუთშაბათს სტუმართან ერთად. სამზარეულოს რუბრიკას სჭირდება ადამიანი, რომელიც მოუხდება მას. მაგალითად, ისეთი ტიპის, როგორიც მზარეული მანუელი იყო და რომელსაც მიჰყავდა ხოლმე ტელეკომპანია „იმედზე“ ამ ტიპის გადაცემები. მზარეული უნდა ჰგავდეს გურმანს, რომელიც მადას აღუძრავს ტელემაყურებელს, კერძის მომზადებას და დაგემოვნებას მოანდომებს, რასაც ვერ ვიტყვიტ ვამხდარ და „მოლაპარაკე“ ვასიკო ოდიშვილზე. იგი არის სრულიად შეუფერებელი ამ გადაცემისთვის. ის არ ტოვებს გურმანის და კარგი მზარეულის შთაბეჭდილებას.

გარდა საქართველოს მასშტაბით არსებული დილის გადაცემების მაუწყებლობისა, ასევე აღსანიშნავია გადაცემა „დილის ტალღა“, რომელიც აჭარის ტელევიზიის ეთერში გადის ხოლმე კვირის ბოლოს, შაბათკვირას, 10 საათზე. გამომდინარე ამ არხის მაუწყებლობის მასშტაბისა, მისი დილის პროგრამაც, ძირითადად, გათვლილია აჭარის მოსახლეობაზე. დილის გადაცემების ბადაც შესაბამისადაა აწყობილი: აქ ნახავთ მხოლოდ ამ ტერიტორიის მოსახლეობისთვის განკუთვნილ სიუჟეტებს, რეპორტაჟებს და ამინდის პროგნოზსაც კი. ეს ფაქტი შეიძლება შევავსოთ დადებითად, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს რეგიონებში არსებული მოსახლეობის მოთხოვნილებას, მხოლოდ მასზე, მის შესახებ და მის ქალაქში მიმდინარე ამბები მოისმინოს ტელევიზიით. გაამართლებდა, ალბათ, ამ ტელევიზიით მიწოდებული დილის პროგრამის მაუწყებლობა, რომ არა მისი შემქმნელის დიდი შეცდომები, დაკავშირებული არაპროფესიონალ „ყურნალისტებთან“, რომლებიც მთელი ორი საათის განმავლობაში, დილის ეთერში სხედან და რაც თავში მოსდით, იმას ლაპარაკობენ (ხანდახან იმასაც ვერ ალაგებენ სწორად და ლოგიკურად). როგორც ჩანს, პროდიუსერის ჩანაფიქრი იყო, რომ ახალგაზრდა ნამყვანები გიორგი მოისნრაფიშვილი და მინიკო ბერიძე იმიტომ დაესვა პირდაპირ ეთერში, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალგაზრდებისთვის დილის პროგრამის წაყვანა, ბევრად უფრო ეფექტურია მაყურებლის თვალში, ვიდრე გამოცდილი, ხანში შესული ნამყვანები. თუმცა, გიორგი მოისნრაფიშვილს და მინიკო ბერიძეს, როგორც ეტყობათ, არანაირი გამოცდილება, შესაძლოა, არც განათლება აქვთ მიღებული ამ პროგრამის წამყვანის როლის მოსარგებად. ჯერ ერთი, როდესაც სტუმრები ჰყავთ ეთერში მონვეული და ესაუბრებიან, უშვებენ ფაქტობრივ შეცდომებს, მეორე: არ სვამენ საინტერესო კითხვებს. ძირითადად, საუბრობს სტუმარი თავის შემოქმედებაზე (რადგანაც, ჩვეულებრივ, ეს სტუმარი აჭარაში მცხოვრები და საზოგადოებისთვის უცნობი მწერალი, პოეტი, ან მუსიკოსია).

გარდა ნამყვანების არაკომპეტენტურობისა, მონოტონურობისა და უინტერესო დიალოგისა (საკითხავია, რამდენად ჰქვია ამას დიალოგი), გადაცემა „დილის ტალღა“ გვთავაზობს სხვადასხვა რუბრიკას, მაგალითად, მუსიკალურ სალონს, სადაც დაწყები მომღერლები, მოცეკვავეები თუ ამ სფეროს სხვა წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას. ეს არ არის პირდაპირი ჩართვა, ეს არის წინასწარ ჩანერილი და დამონტაჟებული, თუმცა მაყურებელი, წესით, ამას ვერ უნდა მიხვდეს. ასევე ჩანერილი და დამონტაჟებულია სამზარეულოს რუბრიკა, სადაც მიშა ცინცაძე „საინტერესო“ სტუმრებთან ერთად „გვასწავლის“ კერძების მომზადებას. თუმცა, ხშირად, ეს პროცესი ამ სტუმრის რეკლამირებას უფრო გავს, ვიდრე კერძის მომზადებას. არ უნდა ვაგიკვირდეთ, თუ უცებ შუა სამზარეულოში სტუმარმა რამე შემოსძახა თავისი „შემოქმედებიდან“ და მიშა ცინცაძემაც შეუქო ვოკალური მონაცემები და თავისი „კი ბატონო“ ძახილით სტუმარს სიამოვნება მიანიჭა. გადაცემაში რამდენჯერმე ხდება ე.წ. „ჩართვა“ სამზარეულოდან, თუმცა რეალურად მაყურებელი ვერ იგებს, როგორ მზადდება კერძი, პირველ ჩართვაში ბადრიჯნის დაჭრას გაჩვენებენ და სტუმრის სიმღერას მიაყოლებენ ზედ, მეორე ჩართვაში რამეს მაინც მიუმატებენ ამ ბადრიჯანს და საბოლოო ჩართვაში „იხილავთ“ უკვე მზა კერძს და შესაძლოა, ისიც დააფიქსიროთ, თუ როგორ ილოკავს ტუჩებს მაგიდასთან მჯდომი სტუმარი კერძის დაგემოვნების მოლოდინში.

„დილის ტალღაში“ ერთერთი განსაკუთრებული მოვლენა გახლავთ ბაჩო გურაბანიძის ტელევიტორინა, გათამაშება. აქაც ადგილი აქვს ხშირად ხელებით ლაპარაკს, როდესაც ნამყვანები პირდაპირ ეთერში ურთიერთობენ, სიტყვების ნაცვლად ხელებს იყენებენ, რომ უკეთ გააგებინონ ერთმანეთს.

არანაკლებ „საინტერესოა“ ეთუნა ლომიძის ჩართვა ბათუმის ბულვარიდან, სადაც იგი თავისი ვარდისფერი ტანსაცმლით, ბულვარის მწვანე ფონზე „გვანათლებს“, რომ თურმე, მისივე სიტყვებით, სადაც მზე ანათებს, ღრუბელი არსად ჩანს, შესაბამისად, წვიმაც მოსალოდ-

ნელი არ არისო. მერე ამინდის პროგნოზს აცხადებს მხოლოდ აჭარის მასშტაბით და დროებით გვემშვიდობება, რომ მომავალ ჩართვაზე ახალი სიტყვები იპოვნოს იმავე ამინდის პროგნოზის გასაცნობად. ასევე, არც ის დაავინყდება, წვიმის გამოცხადების შემთხვევაში დააყოლოს, რომ ბათუმური წვიმა სასიამოვნოა.

ერთადერთი ბლოკი, რომელიც შეიძლება დადებითად შეფასდეს "დილის ტალღაში", არის საინფორმაციო გამოშვება. აქ მაინც არ იბნევა წამყვანი და კითხულობს ტექსტს სწორად.

ამრიგად, მიუხედავად ჩვენი მიმოხილვის პესიმისტური დასასრულისა, მინდა მაინც დადებითზე გავამახვილო ყურადღება და ვთქვა, რომ საქართველოში, ზოგადად, მაინც არსებობს პოლიტიკის სფეროდან განტვირთვის საშუალება, ისეთი, როგორც დილის სამაუწყებლო პროგრამაა. ბალიშსა და პულტს შორის არჩევანი მხოლოდ თქვენზეა. თუკი დილით ადექით, ტელევიზორი ჩართეთ და იმდენად უინტერესოდ მოგეჩვენათ დილის პროგრამა, რომ ლოგინში დაბრუნება და ტკბილი ძილის გაგრძელება მოგიწოდებდეთ, არ გაგიკვირდეთ: ჩვენთან, საქართველოში, დიდი კონტრასტებისა და მოულოდნელობებით აღსავსე ქვეყანაში, ყველაფერი ხდება...

ესაზვინდი

“თქითქააყოზინდაჯა” ქანთუდ

ცაღაჟაღიაჟი

შვანცა გიორგაჟი



ტელევიზია ინფორმაციის მიწოდების ყველაზე პოპულარული წყაროა მთელს მსოფლიოში. ის აღვიძებს, აძინებს, ართობს, ახალ ამბებს მოუთხრობს და, რაც მთავარია, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში იღებს მონაწილეობას. იგი საკუთარ ფუნქციებს ჟურნალისტიკის მრავალი ჟანრის მეშვეობით ასრულებს, მათ შორისაა საკმაოდ პოპულარული და მოთხოვნადი მხატვრული ჟანრები. მხატვრული ფორმა ჟურნალისტიკურ ნაწარმოებს ესთეტიკური თვალსაზრისითაც საინტერესოს ხდის. მიუხედავად იმისა, რომ მხატვრული ჟურნალისტიკა იყენებს სხვა ჟანრებისთვის დამახასიათებელ ფორმებს მაგალითად, რეპორტაჟს, ინტერვიუს და ა.შ. მას საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფორმებიც აქვს, ასეთებია: ნარკვევი, ჩანახატი, ესსე, და ა.შ. დღევანდელ ქართულ ტელემედიაში მხატვრული ჟურნალისტიკის მრავალი ფორმა და ჟანრი გამოიყენება. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობენ სატირული ჟანრები, რომელთაც განეკუთვნება იუმორისტული

შოუები. ტელეკომპანია "რუსთავი 2", იუმორისტული შოუების მხრივ, წამდვილ ლიდერად შეიძლება ჩავთვალოთ. "ვანო ჯავახიშვილის შოუ", "კომედი შოუ", "კლაბ შოუ" ჩამოთვლილთაგან ყველაზე რეკლამირებული "ვანოს შოუა", რომელიც წესით ტელესატირის ჟანრს უნდა განეკუთვნებოდეს, თუმცა რეალურად არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვი, რომ "ვანოს შოუ" მდარე იუმორამდეა დასული და ვერ ასრულებს თავის ფუნქციას საზოგადოებაში. სწორედ სატირული გადაცემები არის ხშირად საზოგადოებისთვის საინტერესო რაიმე მოვლენის ერთერთი ყველაზე რეალური მაჩვენებელი. დავინყებ თავად გადაცემის ინტერიერით, რომელიც ალბათ მსგავსი შოუსთვის ასე თუ ისე მისაღებია. ასეთი შოუების ინტერიერი არსებითად ვანოს სტუდიისგან არცაა განსხვავებული... სტუდიის ფერები მხიარულია, ბენდიც ასე თუ ისე აცოცხლებს გარემოს, თუმცა პრობლემა თავად წამყვანშია. ვანო

ჯავახიშვილის ხელოვნურად შექმნილი მოსულელი იმიჯი და საკუთარ ხუმრობებზე მაყურებელზე მეტად გადახარხარება (ალბათ იმიტომ რომ ვილაცამ უნდა გაიცინოს) უკვე მომბაზრებელია. კიდევ უფრო დიდ პრობლემას ვაწყდებით გადაცემის შინაარსთან დაკავშირებით. როგორც აღვნიშნე, ამ გადაცემის სცენარისტების მიერ შექმნილი მდარე იუმორი და იმის მაგივრად, რომ შოუმ საზოგადოებას სატირითა და ამით გამოწვეული კრიტიკით ხალხს აქტუალურ მოვლენებზე თვალი აუხილოს მაგალითად, ჰომოსექსუალებს აშარჟებს და ამერიკული დაბალი დონის კომედიების მსგავსი ხუმრობებით ცდილობს ხალხის გაიცინებას, სწორედ გაიცინებას, რადგან ამის გარდა სხვა დანიშნულება დღეს “ვანოს შოუს” არ გააჩნია. იმავეს თქმა შეიძლება “კლავ შოუზეც”, რომელიც ოდნავ მეტი კრიტიკითა და სატირული მიდგომით კი გამოირჩევა, — მაგალითად, მოწვეული სტუმრებისადმი, თუმცა მთლიანობაში გადაცემის დაახლოებით 80 პროცენტი უკავია ზემოთ მრავალჯერ ხსენებულ დაბალი დონის ხუმრობებსა და უნიჭო მსახიობების გამოსვლებს. თავის მხრივ, საინტერესოა “საზოგადოებრივ მაუწყებელზე” მიმდინარე იუმორისტული შოუ “ერისთავის სათავალე”. თავდაპირველად აღვნიშნავ გადაცემის სტუდიას. ჩემი აზრით, სრულიად უსარგებლოა და აშკარად მაგიდის შესავსებადაა აკვარიუმი, არც ეკრანს უნდა ჰქონდეს რამე მიზანი გადაცემაში, რომელშიც არ მონაწილეობს მაყურებელი და ამიტომ თავისუფლად შეიძლება ჩანახატების ეკრანის გარეშეც ჩვენება. რაც შეეხება გადაცემის წამყვანს, ლევან ერისთავს, არც მთლად ბატონი ლევანის ეკრანული იმიჯი და მისი ჩაცმულობა, თუ მის მიერ მრავალჯერ ნახსენები წარმომავლობა უნდა იყოს შესაბამისი იმ ხუმრობებისა და სლენგისა, რომელსაც იგი თითქოს გადაცემის გასაცოცხლებლად ხმარობს და არადა ძალიან ემსგავსება “კლავ შოუს” ახალგაზრდა წამყვანებს. არც შინაარსის მხრივია ეს გადაცემა მაინც და მაინც საინტერესო. ხშირია პათეტიკა, ან მოყოლილ ამბავზე მსგავსი არაიუმორისტული, უბრალოდ რაღაცის თქმის აუცილებლობით გამოწვეული კომენტარები, მაგალითად, ეს რა გავიგე, კაცო; არაა უცნაური? ანდაც უბრალოდ ნნ, ნნ, ნნ... ასევე ხშირია წამყვანის მხრიდან აშკარად დაზეპირებული, მეტიც — გამოხატულად ზეპირად წაკითხვა სტუმრისადმი დასასმელი კითხვებისა. გადაცემა, რომლის მიზანია გაართოს მაყურებელი, იუმორისტულსატირულ ჭრილში დაანახოს არსებული პრობლემები და მოვლენები აშკარად მაყურებლის გართობასაც კი ვერ ახერხებს საფუძვლიანად. შედეგებიც სახეზეა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არცთუ განვითარებული საზოგადოება გვყავს, მათშიც კი იკლო დღევანდელი იუმორისტული შოუების პოპულარობამ. სწორედ პოპულარობამ რომ იკლო, ალბათ იმიტომ ამატებს დავით კიკალიშვილი ახალახალ რუბრიკებს საკუთარ ტელეჟურნალს “კურიერი პ.ს.” სიახლეები კი შეიმჩნევა, თუმცა ხარისხი ნაკლებად. სტუდიაც განახლებულია, უფრო დიდი და გადაცემის წამყვანი ალბათ სწორედ ამიტომ და ხშირ შემთხვევაში უმიზნოდ გადადგილდება სტუდიის ერთი ბოლოდან მეორეში, თუმცა გადაადგილებას არა უშავს იმასთან, რასაც “კიკალა” საუბრობს ხელოვნური დამაჯერებლობით, მუდმივად დამცინავი, ირონიული ტონით მიუხედავად იმისა ოპოზიციის გეგმებია თემა თუ წმინდა ცეცხლის გადმოსვლა. კიდევ უარესია მიმიკა, რომელიც შეუცვლელია ასევე თემის მიუხედავად და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ოდნავ გაღიმებული სახით ჯოკონდას ამოუცნობი ღიმილის არცთუ ნიჭიერ ინსცენირებას აკეთებს. მხატვრული მხარის თითქმის უგულვებელყოფა პროპაგანდის ფონზე, აი ასე შეიძლება დავახასიათოთ ის პორტრეტული ნარკვევები, რომლებსაც ხსენებული ტელეჟურნალი ამა თუ იმ პოლიტიკოსზე აკეთებს. პოლიტიკოსები ძირითადად სახელისუფლებო ფრთიდან არიან და მაშინ ალბათ არცაა გასაკვირი, რატომ იქცევა ამ გადაცემის პროდიუსერი ასე — როგორც ამბობენ, “რუსთავი 2” სახელისუფლებო არხია. დავით კიკალიშვილის გადაცემისთვის არც ერთი შეხედვით, იდენტური ჩანახატების გაკეთებაა უცხო. საინტერესოა, რამდენჯერ შეიძლება გაკეთდეს კახი კავსაძეზე მხატვრული ფორმის ჟურნალისტური ნაწარმოები, თუკი იგი ძირითადად ცნობილი მსახიობის ბიოგრაფიას მოიცავს ხან ვითომ ვარსკვლავის გახსნის, ხან კი მამაშვილობის თემასთან დაკავშირებულს. არც თემების განლაგებაა სწორი, მაგრამ არც ესაა გასაკვირი... მერე რა თუ მრავალფორმატიანი ტელეჟურნალი დღეს კიდევ აგვისტოს მოვლენების, ასე ვთქვათ, გადაღეჭილ ანალიზს მიუბრუნდება და მრავალჯერ გაიმეორებს მთავრობის წარმომადგენელთა სინქრონების დახმარებით, რომ ომი მოვიგეთ. რაც მთავარია, ასეთი შინაარსის სიუჟეტი გადაცემის პირველი თემაა, არადა ბევრად საინტერესოა მხატვრული ფორმით წარმოდგენილი რე-



პორტაჟი მიშელ ლეგრანის სტუმრობასთან დაკავშირებით, თუმცა დაელოდება კი ამ რეპორტაჟს მაყურებელი?! მხატვრული ჟურნალისტიკის საინტერესო სფეროა ტელეთამაშები, რომლებიც მაყურებლის ინტერესს განსაკუთრებულად იწვევენ. აზარტი ადამიანების უმრავლესობის დამახასიათებელი თვისებაა და ტელეთამაშების ძირითადი პრინციპიც. "ვაბანკი"—ერთერთი იმ ტელეშოუთაგანია, რომელიც სიახლეს წარმოადგენს ქართულ მედიაში, თუმცა აღსანიშნავია, რომ ხსენებული თამაში უფრო რეკლამირებულია, ვიდრე პოპულარული, რაშიც, ჩემი აზრით, ერთერთი მთავარი "დამნაშავე" გადაცემის წამყვანი მიშა მშვილდაძეა. ტელეთამაშების წამყვანი უნდა გამოირჩეოდეს ტემპერამენტით, იუმორის კარგი გრძობით, უნდა შეეძლოს გადაცემის მაქსიმალურად გაცოცხლება, მაყურებლის აზარტში ჩაგდება, რასაც ბატონი მშვილდაძე ვერაფრით ახერხებს, არადა თავს წარმატებულ იუმორისტად თვლის. ისე, რა გასაკვირია, "კომედი შოუსა" და "კლავ შოუს" სცენარისტებიც იმავე აზრის არიან საკუთარ თავზე. საქართველოში ასე ხდება, საშუალებას გაძლევენ ასე იფიქრო. სხვაგვარადაა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც წამყვანი ჰოუი მენდელი ქვეყნის ალბათ ერთერთ საყვარელ წამყვანადაა მიჩნეული და სამართლიანადაც. შოუს ექსპრესიულს სწორედ მისტერ მენდელი ხდის და არა მონვეული სტუმრები, როგორც ჩვენთან. წამდვილად არ გამოუვიდა საქართველორუსეთის ომის გმირად წოდებულ ჯარისკაცს ისე გაეცოცხლებინა გადაცემა, როგორც ეს მაგალითად, არველაძეებ-მა და მათმა საქვეყნოდ ცნობილმა იუმორმა მოახერხეს. ისე, ეს ალბათ გემოვნების საკითხია, თუმცა არც 26 მომხიბვლელ გოგონას ვთვლი მთლად მომხიბვლელად. თუკი აშშ-ში საუკეთესო სამოდელიო სააგენტოს "ფორდის" საუკეთესო მოდელები არიან ანალოგიურ შოუში წარმოდგენილი, რატომ არ შეიძლება ასე იყოს საქართველოშიც. იქნებ მამაკაცი მაყურებლების დაინტერესება უფრო გაიზარდოს, როგორც ეს იტალიურ სპორტულ შოუებში ხდება. ასევე აღსანიშნავია, რომ მსგავს გადაცემებს ხშირად ახასიათებთ მაყურებლის დაინტრიგება, რაც ისევე და ისევე წამყვანის ოსტატობაზეა დამოკიდებული. არავითარი ინტრიგა, უბრალოდ კითხვების ერთსა და იმავე ინტონაციაში დასმა და მონოტონურობა, ფარული წამყვანის მხრიდან, მოსაწყენს ხდის კიდევ ერთ ტელეთამაშს "რვანის", რომელიც ტელეკომპანია "იმედის" ეთერში გადის. საინტერესო კითხვების არასაინტერესო ფორმით მიწოდება და არაექსპრესიულობა გვიან სალამოს მიმდინარე გადაცემის მაყურებელს დაძინების საშუალებას აძლევს. სამაგიეროდ, ჩემი აზრით, ბევრად უფრო ცოცხალი და საინტერესო თამაშია "რუსთავი 2"-ის ეთერში სეზონების მიხედვით მიმდინარე "რა? სად? როდის?", რომელსაც მაყურებლის ერთგვარი ჩართულობაც და ცოცხალი აზრის დაბადების პროცესიც პოპულარულსა და ყურებადს ხდის. სტუდია, სხვა დანარჩენი ტელეთამაშების მსგავსად, ამ ტიპის შოუებისთვის ყველა ქვეყანაში ერთნაირია, ხოლო ჩემს მიერ ბევრჯერ ნახსენები ინტრიგა, მოთამაშეების გამოწვევა წამყვანის მხრიდან გადაცემის პოპულარობის საფუძველია სხვადასხვა ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთან ერთად. საინტერესოა, მხატვრული ჟურნალისტიკის კიდევ ერთი სფერო—შოუ, რომელიც დღევანდელ ქართულ ტელემედიაში საკმაოდ ყურებადია. პოლიტიკური შოუებით დაღლილი მოსახლეობისთვის არაპოლიტიკური შოუები, ასე ვთქვათ, შვების მომტანიც კი უნდა იყოს, თუმცა რეალურად ეს ასე არაა. ამას ადვილად მიხვდებით თუკი მაგალითად, "რუსთავი 2"-ის, როგორც ანოტაციაში უნერია, თოქშოუს — "პროფილს" გადახედავთ. შეუძლებელია ეს გადაცემა იყოს თოქშოუ, იმიტომ რომ, მასში არ მონაწილეობს მაყურებელი და მხოლოდ დამსწრე საზოგადოებას შეადგენს. ვფიქრობ, სასიამოვნოა სტუდიაში შექმნილი გარემო, თუმცა იგი სრულიად არ მიესადაგება გადაცემის სახელწოდებას, რომელსაც ასევე არ მიესადაგება თემები. ცალკე და ალბათ ყველაზე განსაკუთრებული თემა ამ გადაცემაში წამყვანია, რომელიც ერთსა და იმავე ტონალობაში სვამს კითხვებს სხვადასხვა თემაზე. დაბალი, ასე ვთქვათ სენტიმენტალური ინტონაციით არ შეიძლება სიყვარულზეც და ქართულ სუფრაზეც საუბარი, ამასთან არც წამყვანის გაურკვეველი პოზებია მისაღები, რითიც შეიძლება მინიმუმ უხერხულობაში ჩააგდო რომელიმე სტუმარი. ამას თან ერთვის ქალბატონი ასათიანის აქეთიქით ზოგჯერ სრულიად უმიზნო სიარული მუდმივად მაღალ ქუსლზე, კლასიკურ სტილში მიუხედავად გადაცემის თემისა. კითხვები ზოგადაა და ძირითადად საინფორმაციო ჟურნალისტიკის ჟანრს განეკუთვნება, რაც კიდევ უფრო უწყობს ხელს რესპონდენტის გაუსხნელობას, ჩვენ ხომ ისედაც საქართველოში ვცხოვრობთ, სადაც რესპონდენტები არ არიან ისე გახსნილები, როგორც მსგავსი ტი-

პის უცხოურ გადაცემებში." პროფილისათვის" ასევე დამახასიათებელია უკვე სხვადასხვა მოქმედ თუ უკვე დახურულ შოუში გაშლილი თემებისა და იმავე სტუმრების მოწვევა. თემა "ქართველები ფლებოიში" ხომ ან უკვე დახურულ "ნანიკოს შოუშიც" იმავე სტუმრებითა და იმავე სტილში გაკეთდა. თითქმის "პროფილის" მსგავსი შოუ არის პირველ არხზე მიმდინარე "ცხოვრება მშვენიერია", რომლის წამყვანიც გახლავთ ეკრანიდან დიდი ხნის გამქრალი ნინო ქაჯაია. ამ გადაცემაში ხსენებული "პროფილის" მსგავსად სრულიად გაურკვეველია სახელწოდების დანიშნულება, პირველი გადაცემა თემაზე ცხოვრება მშვენიერია ასე თუ ისე თემატურად შედგა, თუმცა შოუ ხომ მხოლოდ ერთი გადაცემისგან არ შედგება, ამიტომ სრულიად გაუგებარია, რატომ უნდა ერქვას გადაცემას ეს სახელი, თუკი ვსაუბრობთ მაგალითად, ნიგნის კითხვაზე საქართველოში. თუნდაც დავუბრუნდეთ პირველივე გადაცემას, სადაც წამყვანის ფრაზების შეიძლება ითქვას დაახლოებით 80 პროცენტი იყო ერთი და იმავე მიმიკით, დასკვნის სახით ნათქვამი, რომ ცხოვრება მშვენიერია მიუხედავად სტუმრის მიერ მოყოლილი ამბის სიმძიმისა, ასევე ამ გადაცემის წამყვანს ახასიათებს თემის სრულიად შეუსაბამოდ დასრულება ზემო აღნიშნული ცნობილი ფრაზით. ნინო ქაჯაია აშკარად არაა შოუს წასაყვანად იდეალური კანდიდატურა, რადგან შოუ, თავის მხრივ, მოითხოვს ერთგვარ ექსპრესიას და არა დუნე საუბარს მოწვეულ სტუმრებთან ერთად. არც ამ ჟურნალისტიკის ოსტატობაა მაღალი დონის, რადგან არ შეიძლება ერთი და იმავე კითხვის დასმა ერთსა და იმავე კონტექსტში იმ შემთხვევაშიც კი თუ რესპონდენტი არ გაასუხობს, მით უმეტეს თუ გიპასუხა, როგორც ეს ნარკომანიისადმი მიძღვნილ გადაცემაში მოწვეულმა მამამ გააკეთა. მთლიანობაში ამ გადაცემის უმთავრესი პრობლემა წამყვანთან ერთად ძალიან ცუდი პროდიუსინგია— გადაცემის თემებში პოზიტივის აშკარა ხელოვნურ სიჭარბეში გამოხატული. მხატვრული ჟურნალისტიკის უმთავრესი და ერთერთი ურთულესი სფეროა ნარკვევი. სხვა მხატვრულ ჟანრებთან ერთად ქართულ ტელემედიაში ნარკვევიც გვხვდება. ერთერთი მათგანია "საზოგადოებრივ მაუწყებელზე" მიმდინარე სოფო მოსიძის საავტორო გადაცემა "მოწყვეტი წამი", რომელიც ვფიქრობ, გამართული ტელენარკვევია თითქმის ყველა ასპექტში. დავინყებ თავად მოსიძით, რომელიც ისე დამაჯერებლად და საინტერესოდ კითხულობს ტექსტს, რომ თხრობის შთაბეჭდილებას ტოვებს. გარდა ამისა, აშკარად იგრძნობა ღრმა ინტელექტი ჟურნალისტიკის მხრიდან და იმ საკითხების ცოდნა, რაზეც საუბრობს. ეს გადაცემა ნამდვილად გაძლევს საშუალებას, შენ თვითონ გამოიტანო დასკვნა მოთხრობილიდან გამომდინარე. ჟურნალისტი ნაკლებად გახვევს თავს საკუთარ მოსაზრებებს, თუმცა ალბათ გამონაკლისი იქნება ერთერთ გადაცემაში სოფო მოსიძის მიერ ნათქვამი "გურული იყო, თუმცა პატიოსანი ადამიანი" ასეთმა რადიკალიზმმა და არაკორექტულობამ ვფიქრობ, კონკრეტულ გადაცემას ჩრდილი მიაყენა, თუმცა, ალბათ არა მთლიანად ამ ტელენარკვევს. ერთგვარ ჩრდილს აყენებს ჟურნალისტიკის აშკარა კითხვა და არა თხრობა გიორგი კალანდიას საავტორო გადაცემასაც "ჩვენებურები". გადაცემა საინტერესო თემატიკისაა, თუმცა ვიზუალურად, ვფიქრობ, არც ისე გამართულია, მით უმეტეს ეს ეხება ნარკვევის დადგმით მომენტებს, სადაც ხელოვნობა საკმაოდ შესამჩნევია. გარდა ამისა, ამ გადაცემის ერთერთი მახასიათებელია პათეტიკა, მაგალითად: "ის უყვარდათ, მას აღმერთებდნენ, მისთვის ლოცულობდნენ" ან "მისი გულისთვის გულის გარშემო ცეკვავდნენ" და ა.შ. სხვა მხრივ, ამ გადაცემის არსებობა ჩემი აზრით, საჭიროა, რადგან საქართველოს ისტორიისა და კონკრეტული, ზოგჯერ არც ისე ცნობილი, ისტორიული გმირების გაცნობა ქართველი მაყურებლისთვის საინტერესო და აუცილებელიცაა, მით უმეტეს რომ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" ევალება მსგავსი ტიპის გადაცემების მომზადება ან ეთერში გაშვება, რადგან მის ერთერთ მისიად საზოგადოებრივი მაუწყებლის მხალღება, კულტურული ფასეულობების მინოდება ითვლება. "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მხატვრული გადაცემების თემას გავაგრძელებ დიალოგური ფორმის გადაცემის "დიალოგი როლში", სადაც არაა მუდმივად ერთი წამყვანი და მით უმეტეს ჟურნალისტიკა. ცნობილი მსახიობი ცნობილ პოლიტიკოსს საზოგადოების რომელიმე ფენის წარმომადგენლის როლში ესაუბრება ამა თუ იმ აქტუალურ საკითხზე. ჩემი აზრით, მსახიობები ხშირ შემთხვევაში ზოგიერთ ჟურნალისტზე უკეთ გამოხატავენ საზოგადოების ინტერესს და საინტერესო კითხვებითაც გამოირჩევიან. მიუხედავად ამისა, ალბათ, არცაა გასაკვირი, რომ ზოგჯერ რჩება უპასუხო კითხვები ან ჩასაძიებელი პასუხები და მსახიობებს არ ყოფნით ჟურნალისტიკის ოსტატობა ამ

ყველაფრის გამოსასწორებლად. ასევე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ მსახიობს აშკარად ავიწყდება ან არ გამოხდის კონკრეტულად იმ სფეროს წარმომადგენლის თამაში, რომელსაც წარადგენს. ამის მაგალითია, ვალერი ტორონჯაძე, რომელიც არა კონკრეტულად ყვითელი ავტობუსის მძღოლის როლს ასრულებდა, არამედ საერთოდ ნებისმიერი პოლიტიკით დაინტერესებული მოქალაქის. გასაგებია, რომ მძღოლიც ჩვეულებრივი მოქალაქეა, თუმცა აქ ჩნდება კითხვა—მაშინ რატომ არის ბატონი ტორონჯაძე კონკრეტულად მძღოლების წარმომადგენელი? თუმცა ასეთი, ასე ვთქვათ, გადახვევები ამ გადაცემაში არცთუ ხშირია.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ქართულ რეალობაში მხატვრული გადაცემების უმრავლესობა აშკარად საშუალო და დაბალი ხარისხისაა, საკმაოდ ჩამორჩება მათ უცხოურ ანალოგებსა და არ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. მიზეზი უამრავია, მათ შორისაა არაკვალიფიციური ან გამოუცდელი წამყვანები, სუსტი პროდიუსინგი, მეტიც, ხშირად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ადამიანები, რომლებიც ხსენებულ გადაცემებს ქმნიან, საერთოდ არ არიან პროფესიონალები, თუმცა რა გასაკვირია, დღეს ქართულ ტელევიზიებში ხომ მფლობელის ინტერესები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საერთოდ უმნიშვნელო ხდება მაყურებელი, მისი ინტერესები, მოთხოვნილებები, არადა, მხატვრული ჟანრის გადაცემები საზოგადოებრივი დონის ამალგებაში ერთერთ წამყვან როლს ასრულებს. ყველაფერ ზემოჩამოთვლილზე დაყრდნობით, ადვილი მისახვედრია ანალიტიკურთან ერთად რეიტინგით ერთერთი ყველაზე პოპულარული მხატვრული პროგრამების შედეგი საქართველოშიარც ისე მაღალი განვითარების საზოგადოება...

სადანადიო ქუნანლისტიკა



ზორენა ჟორჟოლიანი

მხატვრული ჟურნალისტიკა: შემოქმედებითი სიმწირე თუ არათანაბარი კონკურენცია პოლიტიკასთან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მოხმარებით ადამიანი პოპულარული კულტურის ანუ პოპკულტურის მომხმარებელი ხდება. პოპულარულის, რადგანაც ხდება კაცობრიობის უმრავლესობის გამოცდილების გაზიარება, ხოლო კულტურის იმიტომ, რომ ეს გამოცდილება ადამიანს ეხმარება საზოგადოებაში ინდივიდუალური ადგილი დაიმკვიდროს. მხატვრული ჟურნალისტიკა, რომელიც ემსახურება ადამიანის შემეცნებასა და გართობას, საკმაოდ დიდი დატვირთვის მატარებელია ქართულ ტელევიზორცეში. ჟურნალისტიკის მხატვრული ფორმა ხასიათდება მოვლენათა დახასიათების მრავალფეროვნებითა და ენის ხატოვნებით. კულტურულ გადაცემებს, შემოქმედებითი პროცესის მრავალფეროვნების გარდა ახასიათებს მიზნის მრავალფეროვნებაც. ამ ტიპის გადაცემების მიზანი შეიძლება შემეცნებითი გასართობი ან თუნდაც პროპაგანდისტული იყოს. თითოეული ტელევიზიის საეთერო ბადეში აუცილებლად შევხვდებით მხატვრულ გადაცემებსა და პროგრამებს, თუმცა მათი რაოდენობით ვერ განსაზღვრავ მათ ხარისხსა და დონეს. ხარისხი უშუალოდ პირდაპირპროპორციულია გადაცემის პოპულარობის, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში არის ერთი დომინანტი ფაქტორი, პოლიტიზირებული საზოგადოება. ქვეყანაში, სადაც პოლიტიკური ცხოვრება მოუწესრიგებელი და ექსცესებით სავსეა, გართობა და კულტურა მეორე პლანზე ინაცვლებს, თუმცა, რა თქმა უნდა, ამის გამო კულტუროლოგიური და გასართობი პროგრამები არსებობას არ წყვეტენ და ცდილობენ საკუთარი როლი შეიტანონ ქართული საზოგადოების განვითარებაში. თუმცა რამდენად შეეფერება ეს გადაცემები მაღალ პროფესიულ სტანდარტებს, ამას ქართული მხატვრული გადაცემების ანალიზი გვიჩვენებს.

გადაცემა "მონყვიტე წამი" პირველი არხის ეთერში კვირაში ერთხელ გადის. იგი 22:00 საათზე იწყება და დაახლოებით ერთ საათს გრძელდება. მისი ავტორი და წამყვანი სოფო მოსიძეა. პროგრამა დოკუმენტურპუბლიცისტური ვიდეოფილმების სახითაა წარმოდგენილი. აგებულია

ერთ ნარმატივულ ადამიანზე და მის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე. თითოეულ გადაცემაში ავტორი უამბობს მაყურებელს მთავარი გმირის განვლილ გზაზე, იმ მეთოდებსა და საშუალებებზე, რომლებითაც ის საკუთარი ოცნებისაკენ ისწრაფვოდა. ფილმები აგებულია მთავარი გმირის ინტერვიუზე და მისი განვლილი ცხოვრების ამსახველ დოკუმენტურ მასალაზე. ინტერვიუ ჟურნალისტსა და მთავარ გმირს შორის ყოველთვის დიალოგის ფორმით მიდის, თუმცა ინტერვიუს პროცესი ფილმში არ ჩანს. ხანდახან იგრძნობა დოკუმენტური მასალის ნაკლებობაც, რომელიც შეძლებისდაგვარად სხვადასხვა მასალითაა შევსებული. ინტერვიუ მიდის ერთ ადგილას, რესპონდენტი ყოველთვის ერთი რაკურსით ჩანს. რიგ შემთხვევაში რესპონდენტის რაკურსი ცუდად არის გადაღებული. მაგალითად, ლევან ნულაძისადმი მიძღვნილ გადაცემაში ის მაყურებლის საპირისპირო კუთხით იჯდა, ამიტომ ამ გადაცემის მსვლელობისას მაყურებელი რიგ შემთხვევებში თავს უგულველყოფილად გრძნობდა. ამგვარი ხარვეზები გადაცემას აკლებს იმ მრავალფეროვნებას, რაც მაყურებელს უფრო მეტად მიიზიდავდა. გადაცემის დასასრული, მისი კულმინაციური მომენტი ისევ სტუმარს ეკუთვნის. იგი თავად აჯამებს ტრიუმფის მომენტში განცდილ გრძნობებსა და ემოციებს. ზოგადად, გადაცემა საყურებლად საინტერესოა, თუმცა ამავედროულად შეიძლება ითქვას, რომ პროგრამას აკლია უშუალოება, რაც ამ ტიპის გადაცემას მეტად ესაჭიროება. ნამყვანის ტექსტი ყოველთვის საინტერესოდ არის აგებული მხატვრული ელემენტების გამოყენების მიუხედავად. ჟურნალისტი ფილმში ყოველთვის გასაგებად და სასაბოვნო ინტონაციით საუბრობს. მიუხედავად იმისა, რომ გადაცემათა ციკლი “მონყვიტე წამი” ახალი დანყებულა და მას თავისი პოტენციალი არ ამოუწურავს, პროგრამა არცთუ ისე დიდი პოპულარულობით სარგებლობს საზოგადოებაში. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, შეიძლება იმ პიროვნებათა არამოთხოვნადობაც იყოს, რომლებზეც ძირითადად იგება გადაცემები, მეორე მხრივ კი, ეს თავისთავად იმ პოლიტიზირებული მდგომარეობის უშუალო გამოვლინებაა, რომელიც ქართულ საზოგადოებაში არსებობს.

მეტი უშუალობით და ბუნებრივობით გამოირჩევა “ჩვენებურები”. მხატვრულდოკუმენტურ გადაცემათა ციკლი თურქეთში, ირანში, საინგილოში, მაკედონიასა და სხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართველების ისტორიული წარსულის შესახებ მოგვითხრობს. მისი ავტორი და ნამყვანი გიორგი კალანდიაა. “ჩვენებურები” კვირაში ერთხელ, საღამოს 22:00 საათზე გადის. იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჟურნალისტი რაღაც უცხო და ამავედროულად ქართულს სთავაზობს მაყურებელს, ეს პროგრამა ყურებადია. გადაცემები საინტერესო ვიზუალური მასალით იგება, აქვს კარგი მონტაჟი და მუსიკალური გაფორმება. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი კი უშუალოდ ქართული სინამდვილიდან არის აღებული, რაც თავისთავად იზიდავს მაყურებელს. აღსანიშნავია ნამყვანის ბუნებრივი ურთიერთობა ეკრანზე მყოფ გმირებთან, რომლებიც თავისებური ქართულით, ინტონაციითა და კილოთი საუბრობენ. მოქმედებათა თავისუფლება, რომელიც თან ახლავს გადაცემებს, მაყურებელს საშუალებას აძლევს თავი იმ სამყაროს წევრად აღიქვას, რომელზეც ავტორი ასე მონდომებით მოგვითხრობს. გადაცემას საინტერესო ელფერს მატებს ის მაძიებლური ელემენტიც, რომელიც თან ახლავს თითოეულ ვიდეოფილმს. ჟურნალისტის ტექსტების საყრდენი ყოველთვის ისტორიული მასალაა, რომელიც გამდიდრებულია ავტორის შთაბეჭდილებებითა და ემოციებით. გადაცემა “ჩვენებურების” ყურებადობა უფრო მეტად იმ უცხო ქართული სამყაროს შეცნობის სურვილითაა განპირობებული, რაც ყოველი გადაცემის თანმხლები ნაწილია.

გადაცემა “წითელი ზონა” ყოველ პარასკევს 00:00 საათზე “პირველი არხის” ეთერში გადის. დროის შესაფერისად, სტუდია მუქ ფერებშია გადანყვეტილი. განათებაც ზომიერია ყოველგვარი სიმკვეთრის გარეშე. სტუდია საკმაოდ საინტერესოდ არის მოწყობილი, იქმნება შთაბეჭდილება, რომ გადაცემის ფორმატის მსგავსად სტუდიის დიზაინიც მაყურებლის ჩასაფიქრებლად არის გაკეთებული. შესაბამისად, მთლიანად გარემო, რომელიც გადაცემის დროს იგრძნობა სრულიად შეესაბამება დროის ფორმატს. გადაცემა დისკუსიის სახით მიმდინარეობს. იგი სულ სამი ნაწილისგან შედგება: მცირე შესავალი, დისკუსია ძირითად თემაზე მონვეულ სტუმრებთან ერთად და თემის შესაბამისი ფილმის ჩვენება. გადაცემის ავტორი და ნამყვანი გოგი გვახარიაა, რომელიც ერუდირებული და საკუთარი საქმის კარგი სპეციალისტია, რაც მის ყოველ გადაცემას ეტყობა. სწორედ ამიტომ, გადაცემის კონცეფცია მეტად აქტუალურია, აქტუალურია გადაცემაში განხილული თემებიც. ნამყვანი საინტერესოდ აკავშირებს ფილმში არსებულ სიმბოლოებსა და მოვლენებს, ძირითად თემას და საზოგადოების დღევანდელი ცხოვრების რეალობას. აქედან გამომდინარე, გოგი გვახარიაა გადაცემა დროსთან შესაბამისობაში მოდის. სტუმრებთან გამართული დისკუსია პროგრამას დინამიურობას სძენს, კარგი დისკუსია კი ისევ ნამყვანის დამსახურებაა. კარგად შერჩეული სტუმრებისა და საკითხის ღრმად ცოდნის საფუძველზე გადაცემა

მეტად საინტერესოა. მართალია ზოგჯერ ნამყვანს საუბართან პრობლემები ექმნება, თუმცა საერთო ჯამში იგი კარგად ჩამოყალიბებული კულტურის ჟურნალისტიკა, რომელმაც მაღალ დონეზე იცის საკუთარი საქმე. მიუხედავად იმისა, რომ გადაცემა მაღალი პროფესიული ოსტატობით იქმნება, არც ამ გადაცემაზეა საზოგადოების მხრიდან დიდი მოთხოვნა. რასაკვირველია, გადაცემას ჰყავს საკუთარი აუდიტორია, რომელიც მას მუდმივად უყურებს, თუმცა არა ისეთი რაოდენობით, რომელიც აქტუალურ გადაცემას სჭირდება. მიზეზი ბევრია. ეს შეიძლება განპირობებული იყოს გადაცემის ღამის საეთერო ბადეში განთავსებით. გადაცემის გაანალიზებას და გაგებას ესაჭიროება ინტელექტი, რაც ქართული საზოგადოების დიდი ნაწილისათვის არაა დამახასიათებელი. მიუხედავად იმისა, რომ დღეს კინო საკმაოდ აქტუალურია ადამიანის ცხოვრებაში, "ნითელ ზონაში" გასული ფილმები უფრო ძველი დროისაა და დამაფიქრებელი, რაც დღესდღეობით არ იზიდავს მაყურებლის დიდ ნაწილს.

ჩვენ პოლიტიკაზე არ ვსაუბრობთ, ჩვენ კონკრეტული ადამიანების ისტორიებს ვიამბობთ. გადაცემა, "პროფილი" ერთადერთი ქართული თოქშოუა დებატებისა და კამათის გარეშეა ამბობენ ამ გადაცემის შემქმნელები. "პროფილში" მართლაც არასოდეს კამათობენ, აქ ყველაფერი სენტიმენტალურ გრძობებზე, ხან კი იუმორზეა აგებული. გადაცემა, სადაც შეგიძლიათ ნახოთ ყველა და ყველაფერი გარდა პოლიტიკისა. იგი ყოველ ხუთშაბათს 22:00 სთზე იწყება. ნამყვანი მაია ასათიანია. "პროფილის" ფორმატიდან გამომდინარე, გადაცემას არასწორი საეთერო დრო აქვს შერჩეული. შესაბამისად, პროფილის ნათელი და დიდი სტუდია არ შეეფერება საღამოს ეთერს. თუ ფორმატის მიხედვით ვიმსჯელებთ, ნათელი ფერები სწორი არჩევანია, თუმცა სტუდიის ზომას ვერც ფორმატი აკმაყოფილებს. სტუდია მეტისმეტად დიდია ერთი ნამყვანისთვის, რომელიც ხშირად იკარგება საერთო ხედში. სწორედ ამ სიდიდის გამო, მაია ასათიანი განუწყვეტილად აქეთიქით დადის. რაც აძნელებს გადაცემის მონტაჟს, ეს კი მის ხარისხზეც აისახება. გადაცემის მსვლელობისას მაია ასათიანი შეიძლება იჯდეს, სიტყაძე კი სხვაგან ნახო ფეხზე მდგომი. მონტაჟის მეშვეობით რიგ შემთხვევაში რესპონდენტს სიტყვა შუაზე უწყდება, რაც მეტისმეტად შესაძინეია უბრალო მაყურებლისთვისაც კი. ზოგს მოსწონს ნამყვანის განსხვავებული ხმის ტემბრი, ჩაცმის მანერა, ვარცხნილობა, თუმცა ბევრს მაია ასათიანი უბრალოდ აღიზიანებს. რიგ შემთხვევებში ეს არცაა გასაკვირი. ერთი და იგივე ფრაზები: ასე იყო? სინამდვილეში როგორ იყო? როდის იგრძენით პირველად? დიდი მადლობა ამ სიტყვებისთვის! უი მართლა?... მაია ასათიანი მეტისმეტად ხელოვნურია. არც ერთი შესტი, მიმიკა, ფრაზა არ არის ბუნებრივი. გადაცემას არ გააჩნია ერთი გარკვეული მიმართულება შინაარსის მხრივ. მიუხედავად ყველაფრისა, დღეს გადაცემა პოპულარულია, რასაც განაპირობებს ცნობილი ადამიანების რეალური ისტორიების, მათი ცხოვრების ტკივილითა თუ სიხარულით აღსავსე პირადი განცდების გაგების სურვილი. ბევრისთვის ეს ისტორიები ახალია, ბევრი, უბრალოდ, ინტრიგას ეძებს, ბევრსაც მისი საყვარელი, ცნობილი სახის ხილვა სურს. სწორედ ამიტომ, "პროფილი" ახერხებს საკმაოდ დიდი აუდიტორიის სურვილებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

"დილოგი როლში" მხატვრული გადაცემაა, რომელიც დილოგის ფორმას იყენებს. პროგრამა "პირველი არხის" ეთერში გადის, ყოველ სამშაბათს 18:30 წუთზე იწყება. გადაცემას ორი მოქმედი პირი ჰყავს. ერთი ყოველთვის საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანია, საზოგადო მოღვაწე ან პოლიტიკოსი. მეორე ყოველთვის მსახიობია სოციუმის რომელიმე წარმომადგენლის როლში. სტუმარი არასოდეს არის ინფორმირებული თუ ვისთან მოუწევს საუბარი, მსახიობი კი ყოველთვის წინასწარ არის მომზადებული და თავიდანვე აქვს განსაზღვრული საუბრის თემა. ამ ერთგვარი დადგმის მიზანია სტუმრებს შორის, მოულოდნელი და იმპროვიზებული საუბარი გამართოს, თუმცა, მთავარი ინტრიგა მაინც მოწვეული სტუმრის ქცევაშია. არც ერთი ამგვარი გამირი მაინცდამაინც ბუნებრივი არ არის, ამიტომ მისი ქმედებები უფრო კამერებზეა გათვლილი და არა გულწრფელობაზე. ამ მხრივ, ყველაზე საინტერესო გადაცემა გიგი წერეთლისა და ალექო მალხაზიშვილის მონაწილეობით იყო. მაშინ გადაცემის ფორმატი ჯერ კიდევ ახალი იყო. სწორედ ამიტომ საუბარი გულწრფელი გამოვიდა. გადაცემა ხალისიანად მიდის, თუმცა იმის გამო, რომ გადაცემის არც ერთი მოქმედი პირი არ არის ჟურნალისტი, მასში იგრძნობა ტემპორითმის რღვევა, ხანდახან არალოგიკური გადასვლები. სტუდიის დიზაინი რამდენჯერმე შეიცვალა. შავი ჩაბნელებული სტუდიიდან, რომელიც დღის ეთერსა და გადაცემის ფორმატს არ შეესაბამებოდა, იგი ლურჯ ფერში გადაწყვეტილ, წარწერებით გაფორმებულ დეკორაციად გადაიქცა, მაგრამ არც ასეთი სტუდია ქმნის იმ ბუნებრიობის საფუძველს, რაც გადაცემის მთავარი პრიორიტეტია. საერთო ჯამში პროექტი საყურებლად საინტერესოა, რაშიც განსაკუთრებული როლი მსახიობს შეაქვს. გადაცემა ცდილობს დაანგრის პოლიტიკოსის, საზოგადო მოღვაწის

თუ სხვა ცნობილ ადამიანსა და ჟურნალისტს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობის სტილი.

“ვანო ჯავახიშვილის შოუ” იუმორისტული თოქშოუა. იგი სატირული ჟანრის გადაცემაა და “რუსთავი 2”-ის ეთერში კვირამი ერთხელ, ყოველ პარასკევს 22:00 საათზე გადის. თუ დროის ფორმატით ვიმსჯელებთ, ამ შოუსაც “პროფილის” მსგავსად, მეტად ნათელი და მკვირალა სტუდია აქვს. გადაცემის ფორმატიდან გამომდინარე, სტუდიის სტილი და პროგრამის ფორმატი ერთმანეთში ჯდება. თოქშოუს წამყვანია ვანო ჯავახიშვილი. შოუ რამდენიმე ნაწილისაგან შედგება: წამყვანის მონოლოგი, სხვადასხვა თემისა და პრესის მიმოხილვა და სტუმრების ბლოკი. იყო დრო, როდესაც გადაცემა დიდი პოპულარობით სარგებლობდა. დღეს ამ თოქშოუს რეიტინგი ბევრად დაბალი აქვს. შეიძლება სწორედ ამან განაპრობა გადაცემის სიხშირის შემცირება და კვირამი ორი გადაცემის ნაცვლად ახლა მხოლოდ ერთი გადის. პროგრამის რეიტინგის ვარდნა გასაკვირი ნამდვილად არ არის, ამ შოუში ხომ პრიორიტეტად გაცვეთილი იუმორი და არაფრის მთქმელი სარკაზმია. ხუმრობენ ყველასა და ყველაფერზე აზრისა და შინაარსის გარეშე. ბევრი თვლის, რომ ვანო ჯავახიშვილს გარეგნობა ხელს უწყობს იუმორისტული გადაცემის წასაყვანად. თუმცა ნებისმიერი გადაცემა, თუ მას რაიმე პრეტენზია აქვს, უნდა იყოს ინტელექტუალური. იუმორისტულ გადაცემაში კი, სადაც არაინტელექტუალურობა ვლინდება, იუმორის ხარისხის პრობლემა ჩნდება, ამგვარად, გადაცემის წამყვანი პირველ რიგში, უნდა იყოს იუმორით და იუმორისთვის საჭირო ინტელექტით გაჯერებული. გარეგნობა კი ამ დროს მეორე პლანზეა. ვანო ჯავახიშვილის შოუ დღეს ყურებადია იმდენად, რამდენადაც საქართველოს სხვადასხვა არხზე უკეთესი არაფერი გადის. ქართულ ტელევიზორცეში მდარე იუმორი და სარკაზმი დომინირებს. შესაბამისად, საზოგადოებაში ისეთი ბუმი აღარ არის იუმორისტული გადაცემების მიმართ, როგორც ადრე. ეს კი თავისთავად შემოქმედებითი პროდუქტის დაბალხარისხიანობამ გამოიწვია.

“მე მიყვარს საქართველო” ინტელექტუალური თამაშია, რომელიც პირველი არხის ეთერში ყოველ შაბათს, 20:30 საათზე გადის. გადაცემა სამ წამყვანს მიყავს. ესენია: მაკა ცინცაძე, დავით გოცირიძე და ნიკოლოზ ქაცარიძე. ეს შემეცნებითი—გასართობი გადაცემა არის ორ გუნდს შორის თამაში, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან საქართველოს ისტორიის, კულტურის, გეოგრაფიის, კინოს, თეატრის, მუსიკის, ენისა და ქორეოგრაფიის საკითხების ცოდნაში. თამაშში მონაწილეობას იღებს ცნობილი ადამიანებისაგან შემდგარი ორი გუნდი რომლებსაც მეთაურობენ დავით გოცირიძე და ნიკა ქაცარიძე. გადაცემას მუსიკალურად აფორმებს ბენდი რომა რცხილაძის ხელმძღვანელობით. გადაცემის სტუდია საკმაოდ ნათელი და ფართოა. თუმცა სტუდია აშკარად საჭიროებს დახვეწას, რათა არ იგრძნობოდეს ის არაორგანულობა, რასაც თუნდაც წამყვანის მეტისმეტად მაღალ ადგილზე დგომა იწვევს. გადაცემის ფორმატიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევებში გაუგებარია წამყვანის სადღესასწაულო ჩაცმულობა. გადაცემის მსვლელობის დროს მაკა ცინცაძეს ეტყობა ხელოვნურობა, რომლითაც იგი ცდილობს მეტისმეტად ბუნებრივად გამოიყურებოდეს, მაგალითად წამყვანის მოძრაობა გუნდებთან დავალების შესრულების დროს. თავად გადაცემის ფორმატი და შინაარსი საინტერესოა. “მე მიყვარს საქართველო” მეტნაკლებად ყურებადია, ეს კი ისევ გადაცემის ინტელექტუალური თამაშის სტილით არის განპირობებული. საზოგადოების დიდ ნაწილს თავად აინტერესებს, რა ინტელექტის მფლობელია თვითონ, ზოგსაც ხიბლავს ცნობილი სახეების დანახვა და მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოცდა.

ზოგადად ქართული გადაცემების ხარისხი არც ძალიან დაბალია და არც მაღალი სტანდარტების მატარებელი. თუმცა, რა თქმა უნდა, არის მაღალი პროფესიონალიზმით გაკეთებული გადაცემებიც. მიუხედავად ამისა, დიდი რაოდენობის მაყურებელი არც ერთს ყავს და არც მეორეს. ქართულ საზოგადოებაში დღესდღეობით ორი ტიპის გადაცემებია აქტუალური. პირველი პოლიტიკური თოქშოუ, დისკუსია თუ საუბრები და მეორე საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველდღიურ პრობლემებზე აგებული პროგრამები. ამ ტიპის გადაცემების პოპულარობა განპირობებულია თავად საზოგადოების როგორც ინდივიდისა და ჯგუფის მოთხოვნილებების საფუძველზე ჩამოყალიბებული ინტერესებით. სწორედ ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ მაყურებლის უმრავლესობას კულტუროლოგიური გადაცემები ნაკლებად იზიდავს, თუმცა მათგან განსხვავებით, დღეს მეტი მაყურებელი ისევ გასართობ გადაცემებს ყავს. გართობა ხომ ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა, რასაც მეტისმეტად პოლიტიზირებული საზოგადოების მიუხედავად, მომხმარებელი ყოველთვის ყავს.

გაერთიანება

მოაზაზა



საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებრიობამ დაჰკარგა გულითადი მეგობარი, თეატრალური ხელოვნების ამაგდარი. 91 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ირინე ალექსანდრეს ასული გოცირიძე.

ირინე გოცირიძემ თავისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში ამაგი დასდო სახელმწიფოს თეატრალურ ხელოვნებას. მისიამაგიგანსაკუთრებით თვალსაჩინო გახლდათ მოზარდი და ახალგაზრდობის თეატრის განვითარების საქმეში. ი. გოცირიძე წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრს და გარდა იმისა, რომ განუხრელად ზრუნავდა თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაზე, იყო ყოველი მსახიობის, რეჟისორის, სცენის მუშისა თუ სცენოგრაფის მეგობარი, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის მზრუნველი.

ბევრ რამეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ შრომითი საქმიანობა დაიწყო როგორც პიონერთა (ამჟამად მოსწავლე ახალგაზრდობის) სასახლის პედაგოგმა და დაამთავრა, როგორც საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ. ამ გრძელი შემოქმედებითი,

სამსახურებრივი ცხოვრების განმავლობაში მან თავი გამოიჩინა როგორც თეატრის საქმის ორგანიზატორმა – მისი ძალისხმევით გახდა შესაძლებელი ის, რომ დღეს თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობას აქვს დუმბაძის სახ. ახალგაზრდული თეატრის შესანიშნავი ნაგებობა. ირინე გოცირიძე წლების განმავლობაში გახლდათ „ასიტყვისა“ და „უნიმას“ საბავშვო და თოჯინური თეატრების საერთაშორისო ორგანიზაციების საქართველოს განყოფილების ხელმძღვანელი. ამ ტრიბუნას იგი დაულალავდ იყენებდა იმისათვის, რომ ქართული თოჯინური და საბავშვო თეატრები ჯეროვანად ყოფილიყო წარმოდგენილი საერთაშორისო ასპარეზზე. ამ მიზანს აღწევდა კიდევ – იმ წლებში ამ თეატრების ნაღვანი კარგად გაიცნო საერთაშორისო თეატრალურმა სამყარომ.

ქ-ნმა ირინე გოცირიძემ თავისი კეთილისმყოფელი კვალი დაამჩნია აგრეთვე სახალხო თეატრების მოძრაობას – არაერთი ქართული სახალხო (მოყვარულთა) თეატრი წაუყვანია საზღვარგარეთ. არაერთი ქვეყნის მაყურებელი მოხიბლულა ქართულ მოყვარულთა თეატრების სპექტაკლებით.

თავისი პიროვნული ხიბლით ირინე გოცირიძე საქართველოს მეგობრებს სძენდა – იგი გახლდათ შესანიშნავი ოსტატი მეგობრობის განმტკიცებისა, შემომატებისა. საკმარისი იყო მისი ერთი შეხმინება, რომ მრავალი ქვეყნის თეატრალური მოღვაწე ქართული თეატრის მეგობრად, თანამდგომად ქცეულიყო. ქ-ნი ირინე გოცირიძე ორ ათეულ წელზე მეტი მსახურობდა საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში, ეს კეთილშობილი ადამიანი ყოველი ჩვენგანის გულშემატკივარი, მეგობარი და თანამოძმე იყო.

ირინე გოცირიძის სსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრების, კოლეგების გულში.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობა.

ჩემო ირინა!

ყველას ძალიან გვიყვარდი. ძალიან დაგვაკლდები. შენც ყველა გვიყვარდა განურჩევლად ეროვნებისა. როგორ იტევდა შენი გული ამდენ სიყვარულს, ამდენ მზრუნველობას. მუდამ სიცოცხლით სავსე და მშვენიერი იყავი. ვერ წარმომიდგენია მსახიობის სახლი უშენოდ. დაე გაგყვეს ჩვენი ცრემლი და სიყვარული შენს მარადიულ გზაზე, რომელიც ასე ლამაზად, ადამიანურად და უშეცდომოდ განვლე. ჩვენც, სანამ ცოცხლები ვართ, მუდამ სითბოთი და სიყვარულით გვემასხოვრები. ძალიან ვწუხვარ, ჩემო ირინა, რომ ვერ გაცილებ უკანასკნელ გზაზე. მუდამ ისეთი მემასხოვრები, როგორიც იყავი — მოხდენილი, ლამაზი, კეთილი და საინტერესო პიროვნება — დიდთან დიდი, პატარასთან პატარა.


მშვიდობით, ჩემო საყვარელო ადამიანო.

ქეთევან კიკნაძე

„თეატრი და ცხოვრება“ № 4

თაოზაბის მასნავლეხელი

მოზარდმაყურებელთა თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი, ყოველთვის დიდი სიფრთხილით და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დრამატურგიული ნიმუშების შერჩევის პროცესს. თეატრის დაარსებიდან, წლების მანძილზე, მოზარდი თაობის დრამატურგ გუგა ნახუცრიშვილის ზღაპრები ითვისებდა სულიერების და ზნეობის გაკვეთილებს. ბატონი გუგა ნახუცრიშვილის გარდაცვალების შემდეგ, მის მემკვიდრედ თეატრს მოეწვინა ნიჭიერი დრამატურგი ბატონი რაფიელ მამულაშვილი მეტსახელად (რაფოფუტკარა), რომელმაც რეალისტური მეთოდით, თავის პიესებში, მაყურებელთა თანატოლების ცხოვრება ასახა. მისი პიესების მიხედვით განხორციელებულ სპექტაკლებში, მაყურებელი თავისი თავის მსგავს თანატოლებს უყურებდა და გულწრფელად ითვისებდა მათთვის აუცილებელ მრავალ სასიკეთო თვისებას. ბატონი რაფიელის პიესებით შექმნილი სპექტაკლები, მრავალი წლის მანძილზე არასოდეს გამოკლებია სარეპერტუარო აფიშას. ბატონი რაფიელი თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის სრულყოფილებიან დრამატურ-



გად იქცა. კოლექტივმა უმაღვე შეიყვარა იგი როგორც დრამატურგი და რაც მთავარია, როგორც პიროვნება. ყველას გაოცებას იწვევდა ამ ადამიანში ორგანულად შერწყმული ადამიანური უთვალავი თვისება, უპირველეს ყოვლისა, თითქოსდა დაავადებად ქცეული, მისი უადრესი თავმდაბლობა, თავისი საქმის დიდოსტატობა, ქართული ენისადმი უდიდესი სიყვარული და მოწინება, ინტელექტი და ცხოვრებისეული გამოცდილება, ამავე დროს გახლდათ დიდებული ფსიქოლოგი, პედაგოგი, მეგობარი, სიკეთით აღსავსე, მუდამ მშვიდი და უპრეტენზიო, აღსავსე პასუხისმგებლობით, სულიერად და ზნეობრივად აღმატებული და არც იყო გასაკვირი, რომ მისი პიესები იყო სახელმძღვანელო, თბილი, ადამიანური, რეალური და აქედან გამომდინარე მისი პიესების გმირები, საყვარელი და მისაბაძი. მოზარდთა მოთხოვნით მრავალი განხილვა იმართებოდა, როგორც თეატრში ასევე, სკოლაში. შემოქმედებით კოლექტივს სიამოვნება ეუფლებოდა, როცა მოზარდებს სურვილი ჰქონდათ ორჯერ ან სამჯერ და მეტადაც ენახათ სპექტაკლები: „ძია ელიოზი“, „როცა მერხებზე ანგელოზები სხედან“, „გამოცდა“. შემოქმედებითი კოლექტივი სიამოვნებას განიცდიდა აგრეთვე, როცა მოზარდი თაობა, აქტიურად მონაწილეობდა სარეპერტუარო პრობლემების გადაწყვეტაში.

მოზარდთა თხოვნის გათვალისწინებით ბატონი რაფიელი აქტიურად შეუდგა ახალი პიესების შექმნას, მაგრამ სამწუხაროდ, მის ახალ ჩანაფიქრებს განხორციელება არ ეწერა, თითქმის მთელი 15 წელი თეატრმა შეწყვიტა მუშაობა, შენობის პრობლემების მოუნესრიგებლობის გამო. დიდ სიამოვნებას მგვრიდა ბატონ რაფიელთან საუბარი და ყოველთვის მრჩებოდა სასიამოვნო შთაბეჭდილება, რომ იგი ცოცხალი ენციკლოპედია იყო. ბატონი რაფიელის ღირსებებზე შეიძლება დაუსრულებლად ისაუბრო და სწორედაც განსაკუთრებით დღეს გეუფლება სურვილი განაზოგადო ასეთი დაუფასებელი პიროვნების ღვაწლი.

მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მათ მესხიერებაში, ვინც კი ახლოს იცნობდა ბატონ რაფიელს.

რეზა თაყარაძე

გარეკანის პირველ გვერდზე:
სცენა რუსთაველის თეატრის სპექტაკლიდან
"სტიქსი"

მეოთხე გვერდზე:
თეიმურაზ ნინუა "როზიკო"

„თეატრი და ცხოვრება“

„ТЕАТР И ЖИЗНЬ“

„THEATRE AND LIFE“

№4, 2009

ტექნიკური რედაქტორი
ნელი თვაური

კორექტორი
მარინე ვასაძე

ფასი სახელშეკრულებო
რედაქციის მისამართი: თბილისი 380007, გ. ლეონიძის ქ. №11.
ტელ.: 999096

აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა გამომცემლობა „თბილისელებში“

2-

n 65/46



F 567
2009

